მუნიციპალური მართვა

ლუარა გვაჯაია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი

ეკონომიკის სახელმწიფო მართვა ითვალისწინებს მთელი ქვეყნის ეკონომიკის მართვას, რაც უშუალო კავშირშია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნების მეურნეობათა მუნიციპალურ მართვასთან. მუნიციპალური წარმონაქმნი ერთგვარი დამოუკიდებელი შტოა, რომელიც უფრო ახლოსაა კონკრეტულ ადმინისტრაციულ პუნქტში მცხოვრები ხალხის, მოქალაქეების, ქალაქის თუ სოფლის მაცხოვრებლების სასიცოცხლო საჭიროებებთან თუ ინტერესებთან.

მუნიციპალური თვითმმართველობა, რასაც ვეძახით აგრეთვე ადგილობრივ თვითმმართველობას, უზრუნველყოფს მოცემულ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი მოქალაქეების მეშვეობით განხორციელებადი ეკონომიკური და სოციალური პროცესების მართვას, რაც უშუალო კავშირშია მუნიციპალურ წარმონაქმნში მცხოვრებთა ინტერესებთან, მათი საყოფაცხოვრებო და სოციალური პირობების გაუმჯობესებასთან. მუნიციპალური მმართველობის ძირითადი ამოცანაა ისეთი პირობების შექმნა და უზრუნველყოფა, რაც განაპირობებს ადამიანთა საქმიანობისა და ცხოვრების, ტერიტორიული წარმონაქმნის ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ფუნქციონირებისათვის ნორმალური პირობების შექმნას.

ადგილობრივი თვითმმართველობა წარმოადგენს ეკონომიკისა და საზოგადოების ერთ-ერთ უძველეს ფორმას, რომელიც წარმოიშვა ჯერ კიდევ სახელმწიფო მართვის დამკვიდრებამდე. ადგილობრივი თვითმმართველობის ფესვები მიდიან ძველ საბერძნეთსა და რომისაკენ, სადაც მან მიიღო სამართლებრივი სტსტუსი და მიიღო „მუნიციპალური“ს სახელწოდება (“municipium” – ლათინურად ნიშნავს თავისუფალ ქალაქს, თვითმართვად ტერიტორიას).

2006 წლიდან „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად , როგორც თვითმმართველ, ისე ტერიტორიულ ერთეულად, ყოფილი რაიონების ფარგლებში ფორმირებული **მუნიციპალიტეტები** გამოცხადდა. მუნიციპალიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირია; გააჩნია დასახელება (თვითმმართველი ქალაქი), რომელსაც გააჩნია ადმინისტრაციული საზღვრები ან დასახლებათა ერთობლიობა (თვითმმართველი თემი) თავისი ადმინისტრაციული საზღვრებით და ადმინისტრაციული ცენტრით. ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება მუნიციპალიტეტებში - თვითმმართველ ქალაქსა და თვითმმართველ თემებში.

2014 წელს მიღებული ახალი ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად ნათლად გაიმიჯნა უფლებამოსილებები ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის, არჩევითი გახდა მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელების - მერის, გამგებლის თანამდებობები. საქართველოში თვითმმართველ ერთეულს მუნიციპალიტეტი ეწოდება და ის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირია.

მუნიციპალური მართვა არ შემოიფარგლება ეკონომიკურ ობიექტებზე ზემოქმედებით, მნიშვნელოვანწილად იგი ვრცელდება სოციალური საკითხების მართვაზე, გავლენას ახდენს რეგიონალისტიკაზე, ანუ მეურნეობის ტერიტორიალურ ორგანიზაციაზე, საწარმოო ძალების განლაგებაზე რეგიონის ტერიტორიაზე, ასევე ბუნებაში და საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებზე. მაგრამ მუნიციპალური

მმართველობის ღერძი მუნიციპალურ წარმონაქმნში განთავსებული ეკონომიკური ობიექტებია და მათში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესები.

იმისათვის რომ მუნიციპალურ მართვაზე ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას, უნდა დავახასიათოთ ამ მართვის ობიექტები და სუბიექტები, აღვწეროთ მართვის ფუნქციები და გადასაწყვეტი ამოცანები.

ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

ა) სოციალური მიზნები და ამოცანები:

ტერიტორიის მოსახლეობისათვის არსებობის ძირითადი პირობების შექმნა;

ხელმისაწვდომობა ცხოვრებისათვის აუცილებელი სიკეთეებისა, როგორიცაა, საცხოვრებელი, საყოფაცხოვრებო მომსახურება, კომუნიკაციის საშუალებები და სხვა;

მოქალაქეთა საგანმანათლებლო, შრომითი , შემოქმედებითი პოტენციალის გამოყენება, განვითარებისათვის თანასწორი სასტარტო შესაძლებლობის უზრუნველმყოფი პირობების შექმნა;

მოსახლეობისათვის ნორმალური შრომის პირობების შექმნა, უმუშევრობის მაქსიმალურად შემცირება ან სრული ლიკვიდაცია და ა. შ..

ბ) ეკონომიკური მიზნები და ამოცანები:

მუნიციპალური წარმონაქმნის ეკონომიკური რესურსების რაციონალური გამოყენება - ბუნებრივი, შრომითი, მატერიალური, ფინანსური, ინფორმაციული რესურსების ჩათვლით, რომელთაც განკარგავენ ხელისუფლების მუნიციპალური ორგანოები;

ეკონომიკური და ფინანსური სტაბილიზაციის უზრუნველყოფა მუნიციპალური წარმონაქმნის ტერიტორიაზე, ეკონომიკური და ფინანსური კრიზისების აღმოფხვრა, წარმოების აღმავლობა-განვითარების ხელშეწყობა;

მეწარმეობის ხელშეწყობა, სხვადასხვა სახის საკუთრების საწარმოთა განვითარება;

რეგიონული ბაზრების განვითარება, საბაზრო კონკურენციის, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისადმი ხელშეწყობა.

მუნიციპალური მმართველობის **ეკონომიკურ ობიექტებს** მიეკუთვნება უპირველესად მუნიციპალური საკუთრების ობიექტები და ასევე მუნიციპალურ მართვაში გადაცემული სახელმწიფო საკუთრების ობიექტები. ობიექტები ძირითადში განკუთვნილია მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად, რომელთაც მიეკუთვნება საცხოვრებელი ფონდი, საყოფაცხოვრებო-კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ადგილობრივი ტრანსპორტის ობიექტები, ასევე საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტები, დასვენების რეკრეაციული ზონები, სოციალური დაცვისა და მოსახლეობის მხარდაჭერის ორგანიზაციები. მუნიციპალური მმართველობის ობიექტებია აგრეთვე სოციალურ-კულტურულ სფეროს მიკუთვნებული კულტურის, განათლების, ჯანდაცვის, ფიზიკური კულტურისა და სპოტის ორგანიზაცია-დაწესებულებები. ასე რომ მუნიციპალური მმართველობის ობიექტებს გარკვეულწილად წარმოადგენენ ტერიტორიული წარმონაქმნის ყველა შემადგენელი სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსი, ასევე მათი ფინანსირების წყაროები.

მუნიციპალური მმართველობის **სუბიექტებია** ადგილობრივი თვით-მმართველობის ორგანოები, რომელთა ამოცანაა ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობის მოთხოვნებისა და სურვილების სწორად აღქმა და აღსრულება. მართალია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები თავისი სტრუქტურით ემსგავსება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, მათი პრინციპიალური განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ მუნიციპალური ორგანოები არ შედიან სახელმწიფო ორგანოების სისტემაში და მოქმედებენ მათგან დამოუკიდებლად საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, რომელიც დადგენილია საკანონმდებლო

და სხვა ნორმატიულ სამართლებრივი აქტებით, რომლითაც განსაზღვრულია მათი სტატუსი. ეს არ გამორიცხავს მუნიციპალური და სახელმწიფო ორგანოების ერთობლივ ქმედებებს იმ პრობლემების ფარგლებში, რომლიც მიეკუთვნება მათ საერთო კომპეტენციას და საერთო ინტერესებს.

მუნიციპალური მმართველობის ორგანოების მიერ განსახორციელებელი ფუნქციები მრავალმხრივია, ბუნებრივად ისინი დაკავშირებულია მუნიციპალური მმართველობის მიზნებთან და ამოცანებთან. მუნიციპალური მმართველობა თავის მოქმედებას ავრცელებს გარემომცველი გარემოს დაცვაზე და მუნიციპალური წარმონაქმნის ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე, სანიტარულ კონტროლზე, თბოენერგო და წყალმომარაგების სისტემების მუშაობაზე, ტერიტორიის კეთილმოწყობაზე, მოსახლეობის სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურულ მომსახურებაზე, შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმებაზე, ადგილობრივი ბაზრების ფორმირებასა და საქმიანობაზე, ისტორიულ-კულტურული ძეგლების დაცვაზე.

მუნიციპალური მართვის ორგანოების ზემოთ აღნიშნულ საქმიანობებთან არის დაკავშირებული ისეთი ფუნდამენტური საკითხები, როგორიცაა, მუნიციპალური საკუთრების მართვა, მუნიციპალური წარმონაქმნის შიგნით ეკონომიკური კავშირების განვითარება, ასევე რეგიონული საგარეო ეკონომიკური კავშირების გაძლიერების მიმართულებით საქმიანობა. უმნიშვნელოვანესია ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის , სოციალური კონფლიქტების რეგულირების მიმართულებით მუდმივი მუშაობის განხორციელება.

მუნიციპალური წარმონაქმნების წინაშე მდგარი ამოცანების განხორციელება, რა თქმა უნდა, უპირველესად დამოკიდებულია **ფინანსურ რესურსებზე**,იგი ყალიბდება საკუთარი საბიუჯეტო საშუალებებიდან, ასევე არასაბიუჯეტო ფონდების, ფულადი საშუალებებიდან, რომელიც გადაეცემათ სახელმწიფოს საბიუჯეტო ფონდიდან. თავის მხრივ ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები, რომლებიც ადგილობრივი ფინანსური რესურსების ძირითადი შემადგენელი ნაწილია, შედგება ადგილობრივი გადასახადებისაგან, ადგილობრივი ორგანოების მიერ მიღებული ჯარიმებისაგან და სხვა. ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ფინანსირდება ჯანდაცვის, განათლების ხარჯების ძირითადი ნაწილი, ასევე ნაწილობრივ ისინი შეიძლება გამოყენებული იქნეს საცხოვრებელი ბინების მშენებლობაში, კომუნალური მეურნეობის საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურისათვის, საინვესტიციო და ინოვაციური საქმიანობის გარემომცველი სამყაროს დაცვისათვის, რაც ქვეყანაში ჯერ კიდევ ერთ-ერთ მწვავე პრობლემად ითვლება. სამწუხაროდ, ფინანსური რესურსების უკმარისობა არ იძლევა მართვის ადგილობრივი ორგანოების მიერ თავიანთი ფუნქციების სრულად განხორციელების, მათ წინაშე მდგარი ამოცანების სრულად გადაწყვეტის საშუალებას.

ევროპის ქარტიაში „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ აღნიშნულია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უფლება აქვთ ნაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩოებში გააჩნდეთ საკუთარი ფინანსური რესურსები, რომელთა განკარგვას თავისუფლად შეძლებენ თავიანთი ფუნქციების განხორციელების პროცესში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონიდან გამომდინარე ადგილობრივ თვითმმართველობებს ჯერ კიდავ არ გააჩნიათ საჭირო ფინანსური რესურსები მუნიციპალიტეტების წინაშე მდგარი ყველა მნიშვნელოვან საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ეს ყველაფერი ძირითადში დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპებით ვერ მოხდება მუნიციპალიტეტების წინაშე მდგარი ამოცანების განხორციელება.

მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობა ,

რაც ძირითადში გამოიხატება მუნიციპალურ წარმონაქმნეში საინვესტიციო კლიმატის ჩამოყალიბებით. საინვესტიციო კლიმატი -ეს არის სოციალური , ეკონომიკური , ორგანიზაციული , სამართლებრივი , პოლიტიკური , კულტურული წინამძღვრების სისტემა, რომლებიც განსაზღვრავენ ინვესტირების მიმზიდველობას და მიზანშეწონილობას მუნიციპალური წარმონაქმნის ეკონომიკაში და ამ შესაძლებლობებს რეალიზაციის ხარისხს. საინვესტიციო კლიმატი განისაზღვრება მისი ორი შედგენილი ნაწილით -საინვესტიციო მიმზიდველობით და საინვესტიციო აქტივობით . საინვესტიციო კლიმატის შეფასებისათვის საჭიროა სათანადო ინფორმაციის მოპოვება და გაანალიზება , რომლის მეშვეობითაც ხდება საინვესტიციო პოტენციალის და საინვესტიციო რისკის შეფასება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დ.ლოსაბერიძე, კ.კანდელაკი, მ. აბულაძე, ო. კონჯარია. ადგილობრივი თვითმმართველობა. ა(ა)იპ მწვანე კავკასია. 2016 წ.;
2. ლ. გვაჯაია. მუნიციპალური წარმონაქმნის საინვესტიციო კლიმატი და მისი შეფასების ტექნოლოგია. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია. 2011 წ.
3. Б. РАЙЗБЕРГ. КУРС УПРРАВЛЕНИЯ ЭКОНОМИКОЙ. 2003 Г.;

რეზიუმე

სტატიაში განხილულია მუნიციპალური (ადგილობრივი) თვითმმართველობის არსი, მიზნები და ამოცანები - როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური მიმართულებით. განმარტებულია და გაანალიზებულია მუნიციპალური მმართველობის ეკონომიკური ობიექტები; გაანალიზებულია მინიციპალური მმართველობის სუბიექტების ფუნქციები და ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია მუნიციპალური მმართველობის მიზნებთან და ამოცანებთან.

უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი

„ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ /2000წ.15ნოემბერი/ და „კორუფციის წინააღმდეგ“ /2003წ. 31 ოქტომბერი/ გაეროს კონვენციების შესაბამისად

ქეთევან ბერესტოვა-გადილია
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს სამართლის დოქტორანტი

არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულება არეგულირებს და ეხება უკანონო შემოსავლებს. განვიხილავთ რამოდენიმეს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობის ჭრილში.

აღნიშნულ კონვენციებში აღწერილი დანაშაულებრივი შემოსავლების გათეთრების შემადგენლობების მოდელები, რომელთა კრიმინალიზაციაც სავალდებულოა ყველა მიერთებული, მონაწილე ქვეყნისთვის. მათში გაგრძელებულია FATF-ის მიერ შემუშავებული პოზიცია, კონვენციის მიხედვით:

1. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი გაფართოებულია როგორც დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლის, ისე უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია;
2. დანასაულის და „ფულის გათეთრების“ შემადგენლობები გამიჯნული არ არის, რაც უარყოფითად მოქმედებს ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაზე /მაგ. რუსეთის კანონმდებლობა/.
3. გამოყოფილია ზოგიერთი პრედიკატული დანაშაული, მაგრამ პრედიკატულ დანაშაულთა წრის განსაზღვრის საკითხი გადაწყვეტილი არ არის.1

რიგ საზღვარგარეთის ქვეყნებში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრობლემის გადაჭრისას ყურადღებას იმსახურებს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა მაგ. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ფულის გათეთრების ნაირსახეობაა თუ ეკონომიკური დანაშაული? მოიცავს თუ არა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია პრედიკიტული დანაშაულის დაფარვას და მასში მონაწილეობას, აგრეთვე დანაშაულის ამსრულებლის მოქმედებებს? ექვემდებარებიან თუ არა პასუხისმგებლობის „ფულის გათეთრებისათვის“ ის პირები, რომლებიც მონაწილეობდნენ პრედიკიტული დანაშაულის ჩადენისათვის /ან მის ჩადენაში თანამონაწილეობისათვის, მაგ. წინასწარ შეპირებული ფულის გათეთრებისას/ უნდა აგონ?

როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ანალიზი გვიჩვენებს, აღნიშნული საკითხები არაერთგვაროვნად წყდება. ზოგიერთ ქვეყანაში პრედიკატული დანაშაულის და „უკანონო შემოსავლის ლეგალიაციის“ უმართლობები გამიჯნული არ არის. მაგ. აშშ-ს კანონმდებლობის თანახმად, ფულის გათეთრება მოიცავს არა მარტო პრედიკატული დანაშაულის დაფარვას, არამედ მასში მონაწილეობასაც. აგრეთვე დანაშაულის ამსრულებლის მოქმედებებს. უნდა მივიჩნიოთ რომ ქვეყნის კანონმდებლობები რომლებშიც გაურკვეველია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შემადგენლობის არსი, ეკლექტიკურია. დანაშაულის შედეგად შეძენილი ფულადი სახსრების ან ქონების ლეგალიზაცია ხშირად პრედიკატული ქმედების შემადგენლობაა. ამიტომ მის შემდეგ განხილული ქმედება არ შეიძლება იყოს ცალკე არებული შემადგენლობა, მაგ. ნაქურდალი ნივთის გასაღება არ შეიძლება იყოს დანაშაულის დაფარვის შემადგენლობა, რადგან ქურდობის დამთავრების მომენტია სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება. პირი ნაქურდალ ნივთს სახლში წაიღებს თუ გაყიდის, მას ქურდობის შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არ აქვს. მაგრამ სხვა პირთა დანაშაულის შედეგად შეძენილი ფულადი

სახსრების ან ქონების ლეგალიზაცია სულ სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე. ჩვენს მიერ მოყვანილ მაგალითში ქურდობა ეკონომიკური დანაშაულია, ხოლო „ლეგალიზაცია“ - სახელმწიფო ორგანოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. არსებითი განსხვავებაა ამ დანაშაულის მიზნებშიც. ეკონომიკური დანასაულისას პირი მიზნად ისახავს სხვისი ნივთის დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო გზით, ხოლო „ლეგალიზაციის“ დროს პირს ამოძრავებს დანაშაულის დაფარვის მიზანი.

ანალოგიურად შეიძლება შეფასდეს საფრანგეთის კანონმდებლობა, რომელშიც „გათეთრებად“ განიხილება ასევე დანაშაულის ან გადაცდომის შედეგად, პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით მიღებული შემოსავლის განტავსების, დამალვის ან სენიღბვის ოპერაციის ხელსეწყობა. პირველ შემთხვევაში ბრალდებამ უნდა დაამტკიცოს,რომდამნაშავეაცნობიერებდა,რომხელსუწყობდამართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენს დანაშაულის შედეგად მიღებული შემოსავლის გათეთრებაში. „გათეთრების“ იმ პირისთვის ბრალად შერაცხვაზე, რომელიც პრედიკიტული დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობდა.

ფულის გათეთრების აღკვეთაში მნიშვნელოვანი როლი უკავია ევროპის საბჭოს, რომელიც 1949წ. ლონდონში შეიქმნა დასავლეთ ევროპის 10 სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ამ ორგანიზაციის წესდების ხელმოწერის შედეგად. 1949-70წწ-ში ორგანიზაციაში გაწევრიანდა დასავლეთ ევროპის კიდევ 8 სახელმწიფო. 1990 წლამდე ევროპის საბჭო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა გაერთიანებად რჩებოდა. 1989წელს მან შემოიღო ქვეყნებისთვის სპეციალური სტუმრის სტატუსის მინიჭების ინსტიტუტი, რითაც ხელი შეუწყო ამ ორგანიზაციის არაწევრ სახელმწიფოსთან ურთიერთობის დამყარებას.

პოსტ-კომუნისტურ სივრცეში განვითარებულმა პროცესებმა ევროპის საბჭოს წევრთა შემადგენლობაზეც იქონია გავლენა. ქ. ვენაში 1933წ. ჩატარდა წევრი სახელმწიფოების სამიტი, სადაც ოფიციალურად დადასტურდა ორგანიზაციის გაფართოების პოლიტიკა, მასში გაწევრიანდა სოციალური ბანაკის მრავალი სახელმწიფო. დღეისათვის დაფუძნებული 10 სახელმწიფოს გარდა, საბჭოს წევრი კიდევ 36 სახელმწიფო, მათ შორის საქართველო. ევროპის საბჭო განიხილავს ევროპის თანამეგობრობის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხს, როგორებიცაა: ადამიანის უფლებები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, თანამშრომლობა სამართლებრივ დარგში, სოციალური და ეკონომიკური საკითხები, განათლება და სხვა.

განსაკუთრებით საინტერესოა ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტი და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მებრძოლი ევრაზიის ჯგუფი, რომელთა საქმიანობაშიც მონაწილეობს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური. ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტი MONEYVAL მოქმედებს ევროპის საბჭოს მანდატით, იგი 1997წ. ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ინიციატივით შეიქმნა. კომიტეტის მიზნად განისაზღვრა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო მექანიზმებთან ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ეროვნული სისტემების შესაბამისობის შეფასება, თავის საშემდარებლო საქმიანობაში MONEYVAL-ის კომიტეტი FATF-ის რეკომენდაციებსა და პრაქტიკას ეყრდნობა. 1999 წლიდან საქართველო ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის წევრი. კომიტეტში საქართველოს წარმოადგენენ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს დელეგაციას.4

1988 წ. დეკემბერში „დიდი შვიდეულის“ ქვეყნების ცენტრალური ბანკების

ხელმძღვანელობამ ბაზელში მიიღო დეკლარაცია, ე.წ. ბზელის დეკლარაცია, რომელშიც აისახა ის პრინციპები, რომლითაც ხელმძღვანელობენ საბანკო სისტემები, ფულის გათეთრების წინააღმდეგ საბრძოლველად.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღმკვეთი ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტია „დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლების გამოვლენის, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია, მიღებული 1990 წ. 8 ნოემბერს სტრასბურგში, რომელიც აახლებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სამართლებრივ შეფასებას მონაწილე ქვეყნების კანონმდებლობაში და შეიმუშავებს საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმებსა და პროცედურებს, 2000წ. პალერმოში გაეროს სამიტზე მიიღეს კონვენცია „ტრანსნაციონალური ორგანიზაციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომლის მიხედვით გათვალისწინებულია საკუთრების კონფისკაცია, როდესაც ქონება მოპოვებულია დანაშაულებრივი გზით. აგრეთვე საბანკო საიდუმლოების უგულვებელყოფის აუცილებლობა, როდესაც ფინანსური ოპერაცია დაკავშირებულია არალეგალური კაპიტალის ლეგალიზაციასთან, გაეროს კონვენცია, რომელიც მიღებულია 2003წ. ამყარებს მჭიდრო სამართლებრივ კავშირს კორუფციასა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას შორის. დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია შემუშავებულია 2005 წ. 16 მაისს. საქართველოს პარლამენტმა მისი რატიფიკაცია მოახდინა 2013წ. კონვენციის მონაწილეა 38 სუბიექტი /მათ შორის ევროსაბჭოს წევრი 37 სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაცია ევროკავშირის სახით/. ვარშავის კონვენცია ეფუძნება ფულის გათეთრების მომართვით არსებული საერთაშორისო გამოცდილებას. მხედველობაში იღებს ევროპის საბჭოს 1990წ. კონვენციას „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა დ კონფისკაციის შესახებ“ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1999წ 9 დეკემბერს მიღებულ საერთაშორისო კონვენციას „ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“ და მისი მიზანია საზოგადოების დაცვისაკენ მიმართული ერთიანი სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის განხორციელება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Unitech Nations convention aqainst Transnational Organited Grime /2000/ New York, 15 November, p 90-91.
2. http//www.nplg.gov.ge./dlibrary/collect /0002/000828/Dis.Shashiashvili % 20G.pdf.
3. https://www.coe.int/en/web/portal/home
4. https://www.fms.gov.ge/geo/page/egmont-group.

რეზიუმე

უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის სწორად განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

გამომდინარე იქიდან რომ საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართალი არაერთგვაროვნად წყვეტს,ზოგიერთ ქვეყანაში პრედიკატული დანაშაულის და "უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის"უმართლობები გამიჯნული არ არის.

უნდა მივიჩნიოთ რომ ქვეყნის კანონმდებლობები რომლებშიც გაურკვეველია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფულადი სახსრების ან ქონების ლეგალიზაცია ხშირად გვევლინება პრედიკატულ ქმედების შემადგენლობად.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტია"დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლების გამოვლენის,ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ"ევროპის საბჭოს კონვენცია, მიღებული 1990 წლის 8 ნოემბერს სტრასბურგში", რომელიც აახლებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სამართლებრიბ შეფასებას მონაწილე ქვეყნების კანონმდებლობაში და შეიმუშავებს საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმებსა და პროცედურებს.

2. 2000 წელს პალერმოში გაეროს სამიტზე მიიღეს კონვენცია"ტრანსნაციონალური ორგანიზაციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ,რომლის მიხედვით გათვალისწინებულია საკუთრების კონფისკაცია,როდესაც ქონება მოპოვებულია დანაშაულებრივი გზით.

3. გაეროს კონვენცია,რომელიც მიღებულია 2003წელსამყარებს მჭიდრო სამართლებრივ კავშირს კორუფციასა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას შორის.

4. დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების,მოძიების,ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ"ევროპის საბჭოს კონვენცია შემუშავებული ა 2005 წლის16 მაისს.საქართველოს პარლამენტმა მისი რატიფიკაცია მოახდინა 2013 წელს.

5. ვარშავის კონვენცია ეფუძნება ფულის გათეთრების მომართვით არსებულ საერთაშორისო გამოცდილებას.მხედველობაში იღებს ევროპის საბჭოს 1990 წლის კონვენციას"დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავალების გათეთრების,მოძიების,ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ"და გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1999წლის 9 დეკემბერს მიღებულ საერთაშორისო კონვენცია ს"ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ"და მისი მიზანია საზოგადოების დაცვის აკენ მიმართული ერთიანი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის განხორციელება.

Resume

Ketevan Berestova-Gadilia

Iv. Javakhishvili Tbilisi State University Doctoral Candidate in Law

Exact determination of criminal responsibility is essential for the purpose of illegal incomes' legalization.

Since criminal law of foreign countries diversely decides, offences of predicate crime and "illegal income legalization" are not differentiated in some countries.

Herein is to be considered that legislations of state, where is unclear the legalization of illegal income, legalization of cash resources or property, frequently appear component of predicate crime.

Principal international legal act directed against money laundering is the Convention of the Council of Europe "on Laundering, Search, Seizure and Confiscation of the Proceeds from Crime" entered into force in November 8, 1990 in Strasbourg renewing legal assessment on legalization of illegal income in the legislation of participating parties and draws out the forms and procedures of international cooperation.

2. On 2000 at United Nations Summit in Palermo was adopted Convention against Transnational Organized Crime under that is considered confiscation of property, when the property is gained through crime.

3. United Nations Convention adopted in 2003 establishes close legal relation between corruption and illegal income legalization.

4. Convention of the Council of Europe on Laundering, Search, Seizure and Confiscation of the Proceeds from Crime and on the Financing of Terrorism was adopted in May 16, 2005. Parliament of Georgia ratified it in 2013.

5. Warsaw Convention is based on international experience under money laundering. It takes into account Convention of the Council of Europe dated by 1990 "on Laundering, Search, Seizure and Confiscation of the Proceeds from Crime and on the Financing of Terrorism and International Convention for the Suppression of the Financing of Terrorism, adopted by the United Nations General Assembly on December 9, 1999 and its purpose is to conduct united criminal policy for the protection of society.

ტექნოლოგიური ინოვაციების გავლენა პოსტსოციალისტური ქვეყნების ეკონომიკაზე პოსტპანდემიის პირობებში

მაია ბენია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასოც. პროფესორი
ლევან გაგვიშვილი
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

საკვანძო სიტყვები: პოსტპანდემია, ინსტიტუციონალური ცვლილებები, ტექნოლოგიური პროგრესი, ეკონომიკური სტაგნაცია, ეკონომიკური რეცესია, ეკონომიკური ზრდა, ინვესტიციური გაშიფვრა, ინოვაციები, ტექნოლოგიური ხაფანგები.

მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებზე დაკვირვებამ გვაჩვენა რომ პოსტსოციალისტური ქვეყნები ეკონომიკური განვითარებით დიდწილად ჩამორჩებიან დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებს. ინოვაციური ეკონომიკის დინამიკაში დაკვირვებისათვის გამოიყენება გლობალური ინოვაციების ინდექსი, რომელიც ასახავს ინოვაციის სხვადასხვა ასპექტს, რაც უნდა იყოს ხელშემწყობი ფაქტორი ეკონომიკური ზრდისა და მწარმოებლურობის ასამაღლებლად, ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად. ზემოხსენებული ინდექსის გათვლით მსოფლიოს 129 ქვეყნის მაგალითზე ჩატარებული კვლევის შედეგები არაერთგვაროვანია 2019 წლისთვის:

შვედეთი 2; გაერთიანებული სამეფო 5; ფინეთი 6; დანია 7; ირლანდია 12; ლუქსემბურგი 18; ესტონეთი 24; ჩეხეთის რესპუბლიკა 26; იტალია 30; რუსეთის ფედერაცია 46; უკრაინა 47; საქართველო 48; მოლდოვა 58; სომხეთი 64; ბელარუსი 72; აზერბაიჯანი 84;

ამისი მიზეზი არაერთია: ისტორიზმი, პოლიტიკური გადანაწილება, ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვა, ომები, პოლიტიკური რეჟიმების ცვლილება, მასების ცნობიერების ამაღლება, კორუფცია, ნეპოტიზმი და სხვ. მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად და ინოვაციების დასანერგად საჭიროა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური გარემო გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველს იძლეოდეს. გლობალიზაციის პირობებში განვითარებადი ქვეყნების ღიაობა წესით იმის წინაპირობა უნდა იყოს, რომ შემოვიდეს ინოვაციები და მოხდეს წარმოების ახალ მოდელებზე გადასვლა, მოიმატოს ეკონომიკურმა ზრდამ. პრაქტიკულად ასე არ ხდება და წარმოიშვა ერთგვარი ტექნოლოგიური ხაფანგების თეორია, რომლის განხილვასაც შევეცდები მიკრო დონეზე. ამავე დროს, კანონზომიერებები განიხილება როგორც კომპანიების სუფთა ტექნოლოგიური სტრატეგიების ფარგლებში, ასევე შერეული სტრატეგიების ფარგლებში. ვეცდები ავხსნა ყველა ეფექტის ეკვივალენტობა იმ ეფექტებთან, რომლებიც ინსტიტუციური ხაფანგების თეორიაში ხდება, აგრეთვე ინსტიტუციების და ტექნოლოგიების სფეროში პროცესების ორგანული ერთიანობა.

შემუშავებული ეკონომიკურ და მათემატიკურ მოდელები და თეორიები, როგორც წესი, ვიწრო პროფილურია და მათი განზოგადება ფართო სფეროებისთვის მარტივი არაა. თუმცა, რიგ შემთხვევაში, ასეთი გაფართოება ჯერ კიდევ შესაძლებელია. ესაა მცდელობა ,,ინსტიტუციური ხაფანგების თეორიის“ ანალიზური შედეგების

ადაპტირებისა ინვესტიციების სფეროსა და ინოვაციურ გადაწყვეტილებებში. ადრე მიღებული მოდელის შედეგები არ ექვემდებარებოდა მოდიფიკაციას, ახლა იცვლება მხოლოდ კონსტრუქციის შინაარსი, ხდება მოდელის ცვლადებისა და პარამეტრების ინტერპრეტაცია ახლებურად. ინსტიტუციური ხაფანგების თეორიის გარკვეულ კორელაციებზე შეიძლება ითქვას, გაირკვა, რომ გამოყვანილი ფორმულები ასახავს გარდამავალი პროცესების უფრო ფართო კლასს, ვიდრე თავდაპირველად იყო ნავარაუდევი. ეს ფაქტი თავისთავად საინტერესოა, რადგან უნივერსალური მათემატიკური კონსტრუქციები, რომლებიც შეგვიძლია ადვილად მოვარგოთ სხვადასხვა ეკონომიკურ მოვლენებსა თუ პროცესებს, თავისთავად ძალიან ღირებულია.

ამასთან, არსებობს სხვა მიზეზები, რომლებიც ზემოხსენებულ საკითხებს აქტუალურს ხდის. პირველი თეორიული მიზეზი უკავშირდება ეკონომიკური თეორიის შექმნის აუცილებლობას, რომელიც გააერთიანებდა ეკონომიკური ზრდის ტექნოლოგიურსაც და ინსტიტუციონალურ ფაქტორებსაც. ამ კუთხით ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა დ. ნორტის მიერ. ამ თვალსაზრისით, მარტივი ანალიტიკური სქემების ძიება, რომელიც საშუალებას მოგვცემს განვიხილოთ ინსტიტუციონალური და ტექნოლოგიური ძვრები ერთი მეთოდოლოგიური ჭრილიდან, წინ წაგვწევს სინთეზური ეკონომიკური თეორიის ჩამოყალიბების გზაზე. მეორე მიზეზი, პრაქტიკული და პოლიტ-ეკონომიკური, უკავშირდება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის მზარდ დიფერენციაციას და შეერთებული შტატების, როგორც მსოფლიო ჰეგემონის ფორმირებას. ეს განაზრება მსოფლიო თანასაზოგადოების სადღეისოდ მოცემულ სოციალურ-ეკონომიკური კონსერვაციის მიზეზების ახსნას იძლევა. ხსენებული მოდელის ინვესტიციურ გაშიფვრას ერთ-ერთი ვარიანტი ეკუთვნის ვ. ლეონტიევს, თუმცა მისი ინტერპრეტაცია წმინდა რაოდენობრივი ხასიათის იყო, ეროვნული ეკონომიკის საინვესტიციო რესურსულ მოცულობაზე აქცენტით, მაშინ როდესაც ჩვენ პრობლემის ხარისხობრივ ასპექტზე ვამახვილებთ ყურადღებას, რის მიხედვითაც ვვარაუდობთ არა უბრალო ზრდას, არამედ წარმოების ტექნოლოგიების თვისებრივ განახლებას.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ტექნოლოგიურად ჩამორჩენილ ქვეყნებში ეკონომიკის ზრდის დინამიზმით ჩამორჩებიან განვითარებულ სახელმწიფოებს. გლობალიზაციის პირობებში არსებული ფინანსური და ტექნოლოგიური გახსნილობის გათვალისწინებით, ამგვარი მდგომარეობა გარკვეულწილად უცნაურია. უფრო ლოგიკურია, რომ ეკონომიკური გახსნილობის პირობებში, ტექნოლოგიური სიახლეების ტრანსსასაზღვრო დიფუზიის პროცესი უნდა დაჩქარდეს, რამაც თავის მხრივ ჩამორჩენილი სახელმწიფოების ეკონომიკური ზრდა უნდა დააჩქაროს. მიუხედავად ამისა, ეს ძალიან იშვიათად ხდება და დიდი მასშტაბისაც არ არის.

ეს ეფექტი განსაკუთრებით გამოხატულია რუსეთისა და ევროკავშირის წევრი პოსტსოციალისტური ქვეყნების მაგალითზე, რომლებიც ეკონომიკური რეფორმების პერიოდში ერთგვარ ტექნოლოგიურ ხაფანგში მოემწყვდა: შრომის ნაყოფიერება და კაპიტალის პროდუქტიულობა მუდმივად კლებულობს, სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის დანერგვას ძირითადად წერტილოვანი ხასიათი ჰქონდა, მოძველებული წარმოების ტექნოლოგიების მასშტაბური ცვლილება არ მომხდარა. რა არის განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნების „ტექნოლოგიური გაყინვისა“ და ეკონომიკური კონსერვაციის მიზეზი?

ამ კითხვაზე პასუხს მარტივად გაგვცემს უბრალო მიკროეკონომიკური კონსტრუქცია. განვიხილოთ სიტუაცია, როდესაც მწარმოებელ ფირმებს “არ სურთ” ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, თუმცა ეს მათი საქმიანობის ეფექტურობის ზრდის გარანტია. მაგალითად, საწარმო, რომელიც მუშაობს ძველი ტექნოლოგიების

საფუძველზე, არ იძენს ახალი მაღალი ხარისხის აპარატურას და განაგრძობს წარმოების არქაული მეთოდებითმუშაობას. რა არის ასეთი საქციელის საფუძველი და როგორ შეიძლება ამ პროცესის ფორმალიზება?

ზოგადად, ერთი ტექნოლოგიური სტრუქტურიდან გადასვლა (ჩვენ მას ძველს ვუწოდებთ) სხვაზე (ახალზე) განისაზღვრება სამი სიდიდის თანაფარდობით: ძველი (CS) და ახალი (CN) მიმდინარე წარმოების ხარჯები, რომლებიც შეესაბამება ძველ და ახალ ტექნოლოგიურ სტრუქტურებს; კაპიტალური ხარჯები (T0), რომლებიც წარმოიქმნება ახალი აღჭურვილობის შეძენიდან ძველიდან ახალ გზაზე გადასვლისთვის. შემდგომში, წმინდა ინვესტიციური (ტექნოლოგიური ან ინოვაციური) სტრატეგიებით ავხსნით სიტუაციას, როდესაც ეკონომიკური აგენტი მუშაობს მხოლოდ ძველი წესის ფარგლებში ან მხოლოდ ახალი ტექნოლოგიური სტრუქტურის ფარგლებში და ერთდროულად არ ახორციელებს მუშაობას ორივე სტრუქტურის ფარგლებში.

ტექნოლოგიური ინოვაციების ლოგიკა ასეთია: მაშინაც კი, თუ წარმოების ახალი მიმდინარე ხარჯები აშკარად დაბალია, ვიდრე ძველი, მაშინ ახალ ტექნოლოგიურ რეჟიმში გადასვლა არ მოხდება, თუ ძველ და ახალ მიმდინარე ხარჯებს შორის კუმულაციური (დაგროვილი) სხვაობა არ გადაფარავს კაპიტალურ ხარჯებს. თუ აღნიშნული პირობა არაა დაცული, მაშინ ინვესტიციები განხორციელდება ახალ აღჭურვილობაში, ახალი ტექნოლოგიური სტრუქტურის შემდგომი დამკვიდრების გზით. იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე ხარჯები მიეკუთვნება მუდმივი (ფიქსირებული) ხარჯების კატეგორიას და კაპიტალური ხარჯები ერთჯერადი ხარჯების კატეგორიას, მათი გაზომვა მხოლოდ დროის გარკვეულ ინტერვალშია შესაძლებელი τ.

გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოები ცდილობენ შეამცირონ წარმოების ხარჯები, ერთი ტექნოლოგიური რეჟიმიდან მეორეზე გადასვლა მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც შემცირდება წარმოების მთლიანი ღირებულება. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ტექნოლოგიური წონასწორობის პირობა, როდესაც ორივე ტექნოლოგიური სისტემა თანაბრად სასარგებლოა, შეიძლება გამოისახოს შემდეგი ფორმულით:

$$\int_0^{\tau}[C_S(t)-C_N(t)]dt = T_0$$

სადაც t არის დრო; τ - პერიოდი, რომლის განმავლობაშიც კომპანია აპირებს გაწეული კაპიტალის ხარჯების ამოგებას. თუ პრაქტიკაში (1) მარცხენა მხარე უფრო დიდია, ვიდრე მარჯვენა, მაშინ ხდება ახალ, უფრო პროგრესირებად ტექნოლოგიურ სტრუქტურაზე გადასვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანია აგრძელებს მუშაობას ძველ არაეფექტურ რეჟიმში.

დასკვნა შემდეგია: რაც უფრო დიდია ეკონომიკური სუბიექტის τ დაგეგმვის ჰორიზონტი, მით უფრო დიდია იმის ალბათობა, რომ მარჯვენა მხარე მარცხენაზე უფრო დიდი იქნება, შესაბამისად, უფრო დიდია ახალ ტექნოლოგიურ სტრუქტურაზე გადასვლის ალბათობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ კომპანიის მენეჯმენტი მოკლევადიანი სპეკულაციური საქმიანობით არის დაკავებული, აპირებს სწრაფად გაინაღდოს ,,ჯეკპოტი", მაშინ ის არაა ორიენტირებული გაწიოს კაპიტალური ხარჯები წარმოების რესტრუქტურიზაციაზე. ამ შემთხვევაში, არსი წინასწარ განსაზღვრულია: ეკონომიკური სტრუქტურა ერთგვარ ტექნოლოგიურ ხაფანგში მოჰყვება, რადგან მას ხარჯების ამოგების დრო არ აქვს. და პირიქით, თუ საწარმო სახავს შორს მიმავალ სტრატეგიულ გეგმებს, მაშინ გამართლებულია ინვესტიცია განახორციელოს წარმოების გაუმჯობესებაში, რათა მომავალში გრძელვადიან დროში დაზოგოს მიმდინარე ხარჯები.

საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების მთავარი პრობლემა ის არის, რომ პერიოდი, რომლის დაგეგმვასაც ეკონომიკური აგენტები ცდილობენ, დამოკიდებულია ზოგადად ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მის სტაბილურობასა და პროგნოზირებადობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ ეკონომიკური განვითარების ადრეულ ეტაპზე მომავალი მოვლენების გაურკვევლობა დიდია, მაშინ დროის ინტერვალი τ ხშირად უმნიშვნელოა. საიდუმლო არაა ეკონომიკური აგენტების უნდობლობა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკისადმი და ეს ერთერთი მთავარი მიზეზია ტექნოლოგიური ჩამორჩენისა. ზოგადი პოლიტიკური ვითარება თუ არაა ოპტიმისტური, მაშინ ეკონომიკური სისტემა შეიძლება დიდხანს დარჩეს ტექნოლოგიურ ხაფანგში.

იმის გათვალისწინებით, რომ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის დამახასიათებელია პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი არასტაბილურობა, შესაბამისად წარმოების სტრუქტურების მიერ პროგნოზირების პერიოდი τ არსებითად უმნიშვნელოა. ეს ფაქტორი განსაზღვრავს ფირმების მოკლევადიანი ინტერესების დომინირებას გრძელვადიანზე აღრმავებს ეროვნული წარმოების ტექნოლოგიურ კონსერვაციას.

ტერმინი ,,ტექნოლოგიური ხაფანგი" კარგად ესადაგება ჩვენი ანალიზის მიზნებს. ხაფანგის ცნება იგულისხმება არა დინამიურ, არამედ სტატიკურ ასპექტში. არაეფექტური ძველი მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ, სისტემა კვლავ მასსი შებრუნებას კი არ ცდილობს, უბრალოდ არაეფექტურ მდგომარეობაში შეიძლება დარჩეს დიდხანს. სახელმწიფოსგან სისტემის ბიძგის მიცემა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეიცვლება წარმოების რეჟიმის ძირითადი ეკონომიკური პარამეტრები. არსებობს გარკვეული ანალოგია სისტემის ნაკლებად ეფექტური ინსტიტუციური მდგომარეობიდან უფრო ეფექტურზე გადასვლაში. ეს გადასვლა ამ პროცესის შეუქცევადობის პოსტულატზეა დაფუძნებული, რაც იწვევს ტექნოლოგიური ხაფანგების სტატიკურობას და აჩვენებს, რამდენად მყარად არის სისტემა "ჩარჩენილი" წარმოების ძველ რეჟიმში. შეიძლება ითქვას, რომ სტატიკური ტექნოლოგიური ხაფანგები, ძირითადად, ასოცირდება ეკონომიკური სისტემის სტაგნაციასთან და ევოლუციის დამუხრუჭებასთან, ხოლო დინამიური თვისებების მატარებელი ხაფანგები - ეკონომიკურ რეცესიასთან (რეცესიას) და ინვოლუციასთან.

ინსტიტუციური და ტექნოლოგიური ხაფანგების სხვაობას და ანალოგიას თუ განვიხილავთ, ინსტიტუციების დინამიკის შესწავლისას, ტექნოლოგიური ძვრებისას წარმოების მიმდინარე ხარჯები გვევლინება როგორც გარიგების ხარჯების ანალოგი, ხოლო ახალ წარმოებაში დაბანდებული კაპიტალი შეესაბამება ტრანსფორმაციის ხარჯებს. ამასთან, დ.ნორტი თავის კლასიკურ ნაშრომში წარმოების ფაქტორების განსაზღვრისას იყენებს ტერმინს ,,ტრანსფორმაციის ხარჯები". ამრიგად,სრულიად განსხვავებული მნიშვნელობებით იხმარება იდენტური ტერმინები და ერთგვარ ბუნდოვანებას ქმნის. ამასთან, გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობის უფრო მკაფიო განმარტებები აგვაცილებს შესაძლო გაუგებრობას, ხოლო ეკონომიკური მეცნიერების ერთიანი და უნიფიცირებული ტერმინოლოგიის ფორმირება დიდ დროს და ჩაღრმავებას მოითხოვს, მაგრამ დროტა განმავლობაში გარდაუვალია.

ამჟამად ეკონომიკური მეცნიერება ცდილობს ეკონომიკის ორი ქვესისტემის - ინსტიტუტებისა და ტექნოლოგიების გაერთიანებას, რადგან ეს ქვესისტემები ერთმანეთზე ურთიერთქმედებენ და ძლიერ გავლენას ახდენენ. ჯერჯერობით შეუძლებელია ამ პროცესის სრულყოფილად ანალიზი და გადმოცემა , ასევე რომელიმე ქვესისტემის უგულებელყოფა. ამ თვალსაზრისით, ანალიზის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს რომ გამოვლინდა ამ შინაგანი კანონების ერთიანობა, რომლის შესაბამისადაც ხდება ტექნოლოგიისა და ინსტიტუციების გადაჯაჭვული და ურთიერთგანმაპირობებელი ცვლილება. ეს პროცესი უნდა გახდეს საფუძველი

ერთიანი ეკონომიკური თეორიის ჩამოყალიბებისა, რომელიც ერთიან ჭრილში წარმოაჩენს ინსტიტუციური და ტექნოლოგიური ძვრების განუყოფლობას.

წმინდა და შერეული ეკონომიკური სტრატეგიების შესახებ ფორმულირებული თეორემების განხილვისას მნიშვნელოვანია ეკონომიკური სისტემის კიბერნეტიკური თვალსაზრისით ანალიზი. ტრადიციული იდეები გულისხმობს ეკონომიკური განვითარების კონკრეტული ხაზის (ეკონომიკური რესურსების ჩათვლით) და ეკონომიკური ზრდის ტემპების (ინსტიტუტებისა და ტექნოლოგიების) ფორმირებას, შედეგები ხაზს უსვამს ეკონომიკური ზრდის პროცესის შუალედურ გავლენას ინსტიტუციებისა და ტექნოლოგიების ფორმირებაზე. მსოფლიო ეკონომიკის სხვადასხვა ნიმუში მხოლოდ ამ ჭრილში არ უნდა იქნას განხილული. საინტერესოა ეკონომიკური ლიდერის პრობლემა, როგორც კონკრეტული კომპანიასთან, ისე მთელ ქვეყანასთან მიმართებაში. ამ მხრივ ბევრი თეორია და მოვლენა გადასაფასებელია თანამედროვე სამყაროს გამოწვევების მიხედვით. ლიდერობის ლოგიკა დაახლოებით ასე გამოიყურება: უფრო პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენება რაციონალურ ინსტიტუციურ ჩარჩოებში ნიშნავს ნაკლებ დანახარჯს და მეტ მოგებას. მსხვილმა ეკონომიკურმა მოთამაშეებმა ინოვაციების დანერგვით მაგალითი უნდა მისცეს და მოტივაცია გაუკეთოს სხვებს სახელმწიფო მხარდაჭერის პირობებში. შესაბამისად, დიდი მოგება საშუალებას იძლევა უფრო მასშტაბური ინვესტიციის განხორციელების, ეფექტურ წარმოების და ბაზარზე მტკიცედ დამკვიდრების. თავის მხრივ, წარმოების ზრდის მაღალი ტემპები ასტიმულირებს უახლეს ტექნოლოგიებსა და მაღალ ეკონომიკურ სტანდარტებზე გადასვლას, რაც გრძელვადიანად განაპირობებს რესურსების დაზოგვას, მოგების ზრდას და ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას. ეკონომიკური ლიდერობის დანერგვა და გავრცელება მოითხოვს შესაბამისი ზუსტი მათემატიკური მოდელირების მეთოდის გამოყენებას და მეტ გამჭვირვალობას. ინოვაციების დანერგვა და ეკონომიკური ზრდის ტემპის ამაღლება ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვის და ინსტიტუციონალური რეფორმების გარეშე შეუძლებელია, ასევე პოლიტ-ეკონომიკური გარემოს საიმედოობის პირობებში მეტია შანსი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებისა და დასაქმების ზრდისა.

2020 წლის იანვრიდან ჩინეთში დაწყებულმა კოვიდ-პანდემიამ გამოიწვია საუკუნის ყველაზე დიდი ეკონომიკური კრიზისი. მსოფლიო ბანკმა (IMF- International Monetary Fund) ეს კრიზისი თავის წლიურ ანგარიშში ,,დიდი ლოქდაუნის" (The Great Lockdown) - სახელით მოიხსენია. პლანეტარული მასშტაბის საფრთხემ დიდი დეპრესიის ნიშნები გააჩინა გლობალურ ეკონომიკაში. ევროზონის ეკონომიკა ერთდროულად მიწოდებისა და მოთხოვნის შოკის წინაშე დგას. ჩინეთის ეკონომიკის წარმოების ეფექტურობა მნიშვნელოვნად შემცირდა, სამომხმარებლო საქონლისა და საწარმოო ნედლეულის იმპორტიც შეფერხებულია. შესაბამისად, ევროპული ბიზნესის მიწოდების ჯაჭვი განიცდის პირდაპირ თუ ირიბ წყვეტას. მოცემული კლიმატი ევროზონის ეკონომიკას რეცესიამდე მიიყვანს და შესაძლოა ევროზონის ეკონომიკური ზრდა 0.5%-ზე ქვემოთაც კი დაეცეს. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) გამოაქვეყნა განახლებული ეკონომიკური მიმოხილვა, რომ 2020 წელს გლობალური ეკონომიკური ზრდა (ძველი პროგნოზით 2.9%) შეიძლება შემცირდეს ნახევარით, ან 1.5%-ით. ჩინეთის ეკონომიკური ზრდა შემცირდება 4.9%-მდე, ევროზონის 0.8%-მდე, ხოლო აშშ-ის 1.9%-მდე. ევროსტატის მონაცემებით, 2019 წლის ბოლოსთვის ეკონომიკური ზრდა ევროზონის ქვეყნებში უფრო დაბალი იყო ვიდრე წინა კვარტლებში. 2019 წელს ევროზონის ქვეყნების ეკონომიკა მხოლოდ 1.2%-ით გაიზარდა. პანდემიის ფონზე არც 2020 წელი იქნება მაღალი ეკონომიკური ზრდის მომტანი ევროზონის ქვეყნებისთვის. ბევრი რამ ამ კრიზისში კვლავ ბუნდოვანია. იმ დაშვებით (დაშვებებიცა და ვარაუდებიც IMF-ს ეკუთვნის), რომ ქვეყნების უმრავლესობაში პანდემია და „ლოქდაუნი" პიკს მეორე

კვარტალში მიაღწევდა, მერე კი შესუსტდებოდა, მსოფლიო ეკონომიკის ზრდის პროგნოზი 2020 წელს 3% ივარაუდება, ეს ბევრად მეტია, ვიდრე 2009 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროს, როცა ვარდნა მხოლოდ 0.1% იყო. წლის დასაწყისში ნავარაუდებ ეკონომიკურ ზრდასთან შედარებით განსხვავება 6.3 პროცენტულ პუნქტს შეადგენს, მაშინ IMF 3.3% ზრდას ვარაუდობდა.

კოვიდ-პანდემიის ეპოქა პრაქტიკულად სამ ეტაპად შიძლება დაიყოს: ლოქდაუნში შესვლა, გამოსვლის პროცესი, ვაქცინის შექმნის და საყოველთაობის გრძელი ფაზა. ბევრი ქვეყანა უკვე მეორე ეტაპზეა - გაიხსნა და ნაწილობრივ აღადგინა ბიზნესპროცესები, თუმცა ინფიცირების მეორე ტალღის რისკები კვლავ რჩება. ლათინური ამერიკის 1980-იანების და აზიის 1990-იანების კრიზისები ღრმა იყო მაგრამ მასშტაბით ვერ შეედრება კოვიდის კრიზისს. მსოფლიო ბანკი მზადაა ფინანსური დახმარება აღმოუჩნოს G20 ქვეყნებს. თუ ეკონომიკის მხარდასაჭერად გატარებული ღონისძიებები ეფექტიანი აღმოჩნდება, მაშინ 2021 წელს გლობალური ზრდა იქნება 5.8%. მიუხედავად იმისა, რომ ეს რიცხვი ბოლო წლების საშუალოს მნიშვნელოვნად აღემატება, მსოფლიო მაინც ჩამორჩება განვითარების ტრენდს. პროგნოზის გაკეთება ძალიან რთულია, ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, როგორიცაა პანდემიის ხანგრძლივობა, ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობა. ადამიანებს უნდა შეუნარჩუნდეთ პირველ რიგში, სიცოცხლე, შემდეგ - სამსახური და შემდეგ - მომავლის იმედი. ეკონომიკური ვარდნა შეიძლება იყოს 9% 2020 წელს, ვარდნა 2021-შიც შეიძლება გაგრძელდეს. ფაქტია, რომ კორონავირუსის პანდემია მსოფლიო ეკონომიკაზე დიდ გავლენას იქონიებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Балацкий Е.В. Функциональные свойства институциональных ловушек// «Экономика и математические методы», №3, 2002.

2. Балацкий Е.В. Экономический рост и технологические ловушки// «Общество и экономика», №11, 2003. С. 53–76.

3. Леонтьев В. Темпы долговременного экономического роста и перевод капитала из развитых в развивающиеся страны/ В кн.: Леонтьев В. Экономические эссе. Теории, исследования факты и политика. М.: Политиздат. 1990.

4.Форд Г. Сегодня и завтра. Екатеринбург, ИД «Урал Юр Издат». 2004. С.50.

5. Норт Д. Институты, институциональные изменения и функционирование экономики. М.: Фонд экономической книги «Начала». 1997.

6.https://www.bloomberg.com/news/articles/2020-04-16/the-imf-s-chief-economist-on-lessons-from-the-great-lockdown

7. https://blogs.imf.org/2020/06/16/the-great-lockdown-through-a-global-lens/

8.https://blogs.imf.org/2020/06/24/reopening-from-the-great-lockdown-uneven-and-uncertain-recovery/

რეზიუმე

ეკონომიკური ზრდის ტემპების (ინსტიტუტებისა და ტექნოლოგიების) ფორმირების შედეგები ხაზს უსვამს ეკონომიკური ზრდის პროცესის შუალედურ გავლენას ინსტიტუციებისა და ტექნოლოგიების იმპლემენტაციაზე. მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი ქვეყნები ეკონომიკის ზრდის დინამიზმით ჩამორჩებიან განვითარებულ სახელმწიფოებს. სტატიკური ტექნოლოგიური ხაფანგები, რომლებიც დამახასიათებელია არაოპტიმისტური ეკონომიკური გარემოსთვის, ასოცირდება ეკონომიკური სისტემის

სტაგნაციასთან და ევოლუციის დამუხრუჭებასთან. კოვიდ-პანდემიამ მსოფლიო ეკონომიკა რეცესიაში შეიყვანა, რაც პრაქტიკულად სამ ეტაპად შიძლება დაიყოს: ლოქდაუნში შესვლა, გამოსვლის პროცესი, ვაქცინის შექმნის და საყოველთაობის. ეკონომიკური ვარდნა შეიძლება იყოს 9% 2020 წელს, ვარდნა 2021-შიც შეიძლება გაგრძელდეს.

ABSTRACT

INFLUENCE OF TECHNOLOGICAL INNOVATIONS ON THE ECONOMY OF POST-SOCIALIST COUNTRIES IN THE CONTEXT OF POST-PANDEMIC

Maia Benia,
Georgian Teqnical University, Associate Professor
Levan Gagvishvili,
Georgian AgrarianUniversity, Associate Professor

The results of the formation of economic growth rates (institutions and technologies) emphasize the intermediate impact of the economic growth process on the implementation of institutions and technologies. Observations on the development of the world economy show that technologically backward countries lag behind developed countries in the dynamism of economic growth. Static technological traps, which are characteristic of a non-optimistic economic environment, are associated with stagnation of the economic system and the inhibition of evolution. The pandemic has put the world economy in a recession, which can be divided into practically three stages: entry into the lockdown, the exit process, the creation of a vaccine, and universality. The economic downturn could be 9% in 2020, the decline could continue into 2021.

Key words: Post-pandemic, institutional changes, technological progress, economic stagnation, economic recession, economic growth, investment decipherment, innovation, technological traps.

გრამატიკულ სტილთა ფუნქციონალური განლაგება

ეკატერინე მარუაშვილი
ფილოლოგიის დოქტორი

ჩვენ შესაძლოა ავღნიშნოთ, რომ სხვადასხვა ავტორები ადგენენ ერთსა და იმავე კატეგორიებს, რომ განასხვაონ სხვადასხვა მასალები: ინტერვიუსა და პროზაულ პასაჟში, რომელიც წაკითხული იქნა ხმამაღლა შესაძლოა განვიხილოთ, როგორც "spontanoes speech" სხვადასხვა მკვლევარების მიხედვით მრჩევლიან ინტერვიუში და თავისუფალ საუბარში არის თანაბარი კატეგორიები "spontanoes". თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ "connected speech" კატეგორიას, აღმოჩნდება, რომ ის შეიცავს ყველა სამეტყველო მასალას, როცა ვკითხულობთ ხმამაღლა, მაგრამ ასევე განსაკუთრებულია ფონოლოგიურად ორიენტირებულ სწავლებაში, ის აძლიერებს მკვლევარის კომპეტენციას, როგორც მშობლიურ ენაზე მოლაპარაკისას.

ასევე გასაოცარია, რომ ტერმინი "casual speech" არ გამოჩენილა მანამდე. აღწერს მას, როგორც "fast" და "stylistically marked as intimate, informal and the like", რომ ჩაითვალოს როგორც "Casual speech need not to be fast; some speakers […] use a quite informal speech even at fairly slow rates of speech, while others […] give the impression of great precision even in hurried speech". შესაძლოა ორაზროვნება ამ განმარტებებისა ხელს უშლიდეს ექსპერიმენტულად ორიენტირებულ მკვლევარებს გამოყენებულ კატეგორიებში.

საბოლოოდ, მე განვიხილავ ზოგიერთ წინადადებას, რომ განვსაზღვროთ სამეტყველო სტილები. ორი მათგანი ამ კითხვარში სპეციფიკურია და მესამე უფრო არამთავარია, თუმცა შესაბამისი ამ შემთხვევებისათვის. ფაქტია, რომ ისინი წამოწიეს წინ სოციოლოგებმა და არ არის ტრივიალური. ჩემთვის ნათელია, რომ ნებისმიერი მიახლოვება ამ პრობლემასთან, სამეტყველო სტილებში არ უნდა იქნას დავიწყებული წინა და თანამედროვე სოციოლოგიურ კვლევაში, მას შემდეგაა, რომ სტილის ვარიაციულობა დაკავშირებულია ენის გამოყენებასთან. უფრო მეტიც, თანახმად ერთი შესაძლოა იყოს გონებაში, როგორც "sociolinguistics is really socio-psycho-lingyistics".

მე დავიწყებ ლაბოვის (1972) კლასიფიკაციით, რომელიც ხაზგასმულია. მან გამოაშკარავა "reading style", "careful speech", "casual speech" და "spontaneous speech". ეს არის ლაბოვის მიხედვით კონტინუუმი: "are all ranged along a single dimension of attention paid to speech, with casual speech at one end of the continuum and minimal pairs at the other".

საყურადღებოა ის, რომ კრიტიკული ზომები მოიცავს სტილების იდენტიფიკაციას. თითოეული სტილი ასოცირდება კონტექსტის სერიებთან, რომელშიც ის უფრო აშკარაა. ეს კონტექსტები შესაძლოა გამოყენებულ იქნას თითოეული სტილის განსაზღვრისათვის და ასევე გზამკვლევი ისეთ სიტუაციებში, სადაც მკვლევარს უხდება იყოს კრეატიული მონაცემთა ფაზაში.

თუ ჩვენ შევადარებთ კონტექსტს, რომელშიც "spontanoes speech" ივარაუდება, როგორც გამოავლინა ლაბოვმა, ჩვენ მალე გავაანალიზებთ, რომ ის საკმაოდ განსხვავებულია იმისაგან, რაც ფონეტიკოსებმა განსაზღვრეს, როგორც "spontanoes speech". უმეტეს მაგალითებში განსაზღვრულია "spontanoes speech" ლაბოვის კრიტერიუმით, როგორც "casual speech". ჩვენ შესაძლოა მივიჩნიოთ "casual speech" ზოგიერთ შემთხვევებში როგორც "spontanoes", მაგრამ აშკარაა, რომ ჩვენ შორს ვართ "excited, emotion-

ally charged speech”-გან, რომელსაც ლაბოვი განიხილავს, როგორც “spontanoes”. კონ-ფლიქტი, სოციოლინგვისტიკის კრიტერიუმსა და სხვა კრიტერიუმს შორის რომლე-ბიც ფონეტიკოსებმა გამოყენეს აქ აშკარავდება.

ერთის მხრივ შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ეს არის შედეგი დამკვირვებლის პარადო-ქსისა, რომელიც წინაზე მოვიხსენიეთ, რომელიც გაღრმავებულია მაღალი ხარისხის ჩანაწერებში. ყველა ეს ალბათობა, როდესაც ფონეტიკოსი აკუთვნებს “spontanoes” იარლიყს იმ მეტყველებას, რომელიც მიიღწევა ინტერვიუთი, რომელიც ჩატარდა ლაბორატორიულ პირობებში, ის ადარებს მას ტრადიციულ “laboratory speech”-ს, რო-მელიც შედგება იზოლირებული სიტყვებისაგან, ან იმ სიტყვებისაგან, რომლებიც აღმოჩნდნენ საკომუნიკაციო ან პრაგმატულად რეალიზირებულ კონტექსტებში. ეს მეცნიერული ტრადიცია შესაძლოა ავხსნათ, როგორც სახესხვაობა კატეგორიებში.

მოდით ახლა გამოვცადოთ მეორე და მეტად არასრული წინადადება, რომელიც ფორმულირებულია ჯოუს მიერ (1968) და წარმოდგენილია. სამწუხაროდ, იგი არ აღწ-ერს, თუ რას გულისხმობს ის “intimate” და “frozen”. დანარჩენი სხვა სამი სტილის აღ-წერა არ არის დასრულებული.

INTIMATE	Has only the most sort of accidental sort of connection s with is com-monly called “correctness”
CASUAL	Ellipsis Slang
CONSULTATIVE	Absence of those markers which are characteristic of the other styles
FORMAL	Restricted to the imparting of information
FROZEN	Has only the most sort of accidental sort of connection with is commonly called “correctness”

სტილისტიკას ყოველთვის იყენებდნენ სტილისტიკუტი კვლევისას, მაგრამ იგი არასოდეს ასცილებია არითმეტიკიკის დონეს, დღეს კი მკაცრი მათემატიკური აპარა-ტის საშუალებით ხდება მეტყველების სტილისტიკური სტრუქტურების დადგენა და აღწერა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვიკიპედია, თავისუფალი ენციკლოპედია.
2. ვ.ლაბოვი 1972. “The isolation of contextual styles” in Sociolinguistic Patterns. Oxford: Basil Blackwell, 1978. Pp. 70-109.

რეზიუმე

ეს ნამუშევარი ეხება გრამატიკაში ფუნქციურ სტილთა განლაგებას. ჯერჯერობით სტილისტურად არ გამოუყენებიათ ისეთი საშუალებები, რომლებმაც ლინგვისტური მათემატიკური და კიბერნეტიკური მეთოდები მიიტანეს. ამ მეთოდების სტილისტიკა იღებს მხოლოდ ორი წყაროდან: ერთი არის მათემატიკური სტილისტიკა, მეორე კი ინფორმაციის თეორია (კიბერნეტიკის თეორია).

RESUME

"FUNCTIONAL LAYOUT OF GRAMMATICAL STYLES"

This work refers to the functional styles in Grammar. Till recreantly stylistic have not use such means, which brought to linguistic Mathematical and Cybernetic methods. These methods stylistic takes from only two sources: one is mathematical stylistic, another is theory of information (theory of cybernetic).

პრუსია და გერმანიის გაერთიანების საკითხი

ვაჟა ჩოჩია
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

გერმანიის ისტორიისათვის მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენდა ცვლილებები XIX ს. ბოლო მესამედში, რომლის შედეგადაც დასრულდა გერმანიის ეროვნული გაერთიანება და აღმოცენდა იმპერია, მაგრამ ყველაფერი ეს მოხდა უხეში ძალის გამოყენებით - ომების გზით, რამაც თავისი დაღი დაასვა გერმანიის შემდგომ განვითარებას. 1866 წელს ავსტრიის დამარცხების შემდეგ, პრუსია იწყებს საფუძვლიან მზადებას გერმანიის გაერთიანებისათვის, რასაც ხელს უწყობდა ევროპის დიდ სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობანი. თითოეული მათგანი ყოველმხრივ ცდილობდა ძლიერი გერმანული სახელმწიფოს გამოყენებას მოწინააღმდეგის ნეიტრალიზებისათვის. ამას კარგად ხედავდა პრუსიის ხელმძღვანელობა ბისმარკის მეთაურობით, რომელიც მეთოდურად ამზადებდა ომს საფრანგეთის წინააღმდეგ. მალე შეიქმნა კიდეც ხელსაყრელი სიტუაცია, რომელიც კარგად გამოიყენა პრუსიის კანცლერმა ბისმარკმა ომის გაჩაღებისათვის. საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ III-ის პოლიტიკური სიბეცე და თვითდაჯერებულობა, ხელს უწყობდა ბისმარკს თავისი გეგმები განეხორციელებინა.

პრუსიის კანცლერი ბისმარკი კარგად ხედავდა, რომ იუნკრობას და ჰოჰენცოლერნების დინასტიას სერიოზული საფრთხე დაემუქრებოდა, თუ გერმანიის გაერთიანება დემოკრატიული გზით მოხდებოდა. მისი აზრით, გაერთიანება უნდა განხორციელებულიყო "სისხლითა და მახვილით" ე. ი. ომების გზით (2: 546), რაც გადააქცევდა გერმანიას ძლიერ და აგრესიულ იუნკრულ-ბურჟუაზიულ სახელმწიფოდ პრუსიის მეთაურობით. გაზეთი "კვალი", ეხებოდა რა ბისმარკის მისწრაფებას რეაქციულ საფუძველზე მომხდარიყო გერმანიის გაერთიანება, სამართლიანად მიუთითებდა, რომ ბისმარკის გეგმების განხორციელება გერმანიის გაპრუსიელების მომასწავლებელი იქნებოდა (2: 546).

1866 წელს ავსტრიაზე გამარჯვების შემდეგ, პრუსიამ საბოლოოდ აიღო თავის ხელში გერმანიის გაერთიანების საქმე. მმართველი წრეების წინაშე წამოიჭრა ახალი ამოცანა: გაეთქვიფათ მონარქიაში ახალი ქვეშევრდომები, განემტკიცებინათ თავისი ძალაუფლება ჩრდილოეთ გერმანულ სახელმწიფოებზე და მოემზადებინათ სამხრეთ გერმანიის სახელმწიფოები, რომელთა დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი იყო ხელშეკრულებით, ეცნოთ პრუსიის სიუზერენობა. მეფე და მმართველი ზედაფენა ბისმარკს უმადლოდნენ, რომ პრუსია უძლიერესი სახელმწიფო გახდა და გაიზარდა მისი გავლენა ევროპაში (10: 231).

პრუსიის გამარჯვება ავსტრიაზე კმაყოფილებით აღიქვეს ინგლისში, რადგან მიაჩნდათ, რომ პრუსიის გაძლიერება ხელს შეუშლიდა მომავალში, ინგლისის მეტოქის საფრანგეთის ძლიერების და გავლენის ზრდას (1: 1866 წ. № 24). რაც შეეხებოდა საფრანგეთისა და რუსეთის პოზიციას, მათ განახორციელეს დიპლომატიური ზეწოლა, რამაც რამდენადმე გაურთულა მდგომარეობა პრუსიას. არსებობდა საფრთხე, რომ ანტიპრუსიულ საფუძველზე შესაძლო იყო დაახლოება საფრანგეთსა და რუსეთს შორის, რისი სიმპტომებიც გამოჩნდა (9: 138).

პრუსიის დიდმა წარმატებამ უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა პარიზში. ამას დაემატა წარუმატებლობა ლუქსემბურგის საკითხში. საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ III-ის მთავრობამ მიაღწია ჰოლანდიის მთავრობის პრინციპულ თანხმობას

მოეხდინა ლუქსემბურგის ანექსია, მაგრამ იქ პრუსიის გარნიზონი იდგა. პარიზის გაზეთ "Siécle"-ის ცნობით, საფრანგეთი ვერ მოითმენდა ლუქსემბურგში პრუსიის გარნიზონის ყოფნას, რადგან ლუქსემბურგი უშუალოდ საფრანგეთს ეკვროდა (1: 1867 წ. № 17). უფრო მკვეთრი ტონით გამოდიოდა გაზეთი "Liberté". ის მოუწოდებდა პრუსიას გამოეყვანა ჯარი ლუქსემბურგის ციხესიმაგრიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ომით ემუქრებოდა, რადგან "ფრანცია თავის ღირსების ამგვარად შეურაცხყოფას ვერ მოითმენს" (1: 1867 წ. № 17). საგაზეთო პოლემიკაში არც გერმანული პრესა ჩამორჩებოდა და მუქარას მუქარითვე პასუხობდა (1: 1867 წ. № 17). რაც შეეხებოდა მშრომელ ხალხს, მათ ომი სძულდათ და აშინებდათ მისი გაჩაღების საფრთხე (1: 1867 წ. № 21).

1867 წლის იანვარში საფრანგეთის ელჩი ბერლინში ბენედეტი ეწვია ბისმარკს და სთხოვა გამოეთქვა აზრი ლუქსემბურგის საკითხზე. ბისმარკმა ეშმაკურად გამოიყენა ის გარემოება, რომ რაიხსტაგი წინააღმდეგი იყო ლუქსემბურგის ყოველგვარი დათმობისა და ბენედეტის განუცხადა, რომ რაიხსტაგის ოპოზიცია საშუალებას არ აძლევდა, რათა ხელი შეეწყო საფრანგეთის მიერ ლუქსემბურგის ანექსიისთვის (10: 234; 8: 733). საბოლოოდ, ლუქსემბურგის საკითხი გადაწყდა დიდი სახელმწიფოების ლონდონის კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა 1867 წლის 7-11 მაისს. კონფერენციის გადაწყვეტილებით, გერმანიას ჯარი უნდა გაეყვანა ლუქსემბურგიდან, მისი ნეიტრალიტეტი კი გარანტირებული იქნებოდა ევროპის დიდი სახელმწიფოების მიერ (8: 733). ლუქსემბურგის საკითხში წარუმატებლობის შემდეგ ნაპოლეონ III ცდილობს დაუახლოვდეს ავსტრიას, მაგრამ სამხედრო კავშირის დადება არც ისე ადვილი იყო. შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა მოლაპარაკებები საფრანგეთსა და ავსტრიას შორის, მაგრამ უშედეგოდ (8: 734-735). საფრანგეთი იზოლირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

1866 წლის შემდეგ საფრანგეთი და ავსტრია, ისე როგორც რუსეთი და ინგლისი მხარს უჭერდნენ სტატუს კვოს შენარჩუნებას ცენტრალურ ევროპაში (13: 89). ლონდონსა და პეტერბურგში მმართველი წრეები არ ეწინააღმდეგებოდნენ მომავალში პრუსიულ-გერმანულ გაერთიანებას, მაგრამ ორივე მათგანი ესწრაფვოდა ბისმარკის მხარდაჭერის მოპოვებას საკუთარი ბალკანური და ახლოაღმოსავლური პოლიტიკის მიმართ (13: 89).

ნაპოლეონ III-ს საგარეო-პოლიტიკური კურსი გულისხმობდა, რომ ხელი შეეშალა პატარა გერმანული სახელმწიფოების გაერთიანებისათვის. როგორც საფრანგეთში ისე პრუსიაში მთავრობების მიერ გაშლილი იყო კამპანია, რათა დაერწმუნებინათ საზოგადოება, რომ ომი გარდაუვალი იყო. მას შემდეგ, რაც პრუსიამ დაასრულა სამხედრო მზადება, ბისმარკს რჩებოდა მხოლოდ საბაბის მონახვა საფრანგეთთან ომის დასაწყებად (13: 98). თავის მოღვაწეობაში, ბისმარკი ყოველთვის პრუსიის ინტერესებს იცავდა ის ამბობდა - "რა ჯანდაბად უნდა ვემსახურო წვრილ {გერმანულ} სახელმწიფოებს? ...ჩემი ერთადერთი საზრუნავია პრუსიის ძლიერების გადიდება და შენარჩუნება" (ციტ., 5: 115).

1870 წლის 1 ივლისს გაზეთებში გამოჩნდა ცნობა, რომ ესპანეთის გათავისუფლებულ ტახტზე დასვეს პრინცი ლეოპოლდ ჰოჰენცოლერნ-ზიგმარინგენი გვერდითი შტოდან. ის დაქორწინებული იყო პოტუგალიის მეფის ასულზე. სინამდვილეში, პრინცი თანახმა იყო დაეკავებინა ესპანეთის სამეფო ტახტი იმ შემთხვევაში, თუ ამაზე თანახმა იქნებოდა ჰოჰენცოლერნების გვარის მეთაური ვილჰელმ I. პრინცი მოითხოვდა აგრეთვე ეცნობებინათ ეს ნაპოლეონ III-თვის. მაგრამ ეს არ გააკეთეს, რადგან იცოდნენ რომ ნაპოლეონ III არ დაუშვებდა ჰოჰენცოლერნების წარმომადგენელს ესპანეთის ტახტზე. ამიტომაც იყო, რომ ბისმარკი ყოველმხრივ ცდილობდა საიდუმლოების

დაცვას. უფრო მეტიც, გარკვეული დროის მანძილზე, თვით პრუსიის მთავრობამაც არ იცოდა შემოთავაზებული წინადადების თაობაზე (12: 258).

როდესაც ვილჰელმ I-მა თავისი თანხმობა განაცხადა, მარშალმა პრიმმა აცნობა საფრანგეთის ელჩს, რომ ლეოპოლდ ჰოჰენცოლერნმა დაიკავა ესპანეთის ტახტი (1: 1870 წ. □ 28). მეორე დღეს მთელმა ევროპამ გაიგო, რომ ნაპოლეონ III მტკიცე პროტესტს აცხადებდა მომხდართან დაკავშირებით. პარიზში დაუშვებლად მიაჩნდათ, რომ ერთი და იგივე დინასტია ჰოჰენცოლერნებისა, ყოფილიყო ტახტზე როგორც ესპანეთში ისე გერმანიაში, რაც საფრანგეთს საფრთხეს შეუქმნიდა ორივე მხრიდან.

გაზეთმა "დროებამ" ჯერ კიდევ საფრანგეთ-პრუსიის ომის დაწყებამდე იწინასწარმეტყველა მისი გარდაუვალობა. ნ. ნიკოლაძე წერდა: "საფრანგეთი სადოვის ბრძოლის შემდეგ ცუდი თვალით უცქერის პრუსიას. ბისმარკმა თავისი დანაპირები ვერ აასრულა და ნაპოლეონს რაინის მარცხენა ნაპირი ვერ მისცა. ამ საგანზე საფრანგეთი ძლიერ ნაკლული დარჩა და წლევანდელ ომს მეტი საფუძველი არ აქვს რა. ეს ომი მძიმე და საშინელი უნდა იყოს" (1: 1870 წ. № 31).

1870 წლის 6 ივლისს საკანონმდებლო კორპუსის სხდომაზე, საფანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გრამონმა რიხიანად განაცხადა, რომ საფრანგეთი არ მოითმენდა მეზობელი სახელმწიფოს ჩარევას ესპანეთის საქმეებში და თუ საჭირო იქნებოდა დაიცავდა საკუთარ ღირსებას ყოველგვარი მერყეობის გარეშე (4: 81; 8: 736). იმავე დროს, გერმანიის ელჩს პარიზში განუცხადეს, რომ ესპანეთის ტახტზე ჰოჰენცოლერნების დინასტიის წარმომადგენლის ასვლას საფრანგეთი არ მოითმებდა (1: 1870 წ. № 28).

ასეთ დაძაბულ ვითარებაში, ვილჰელმ I-მა ურჩია ლეოპოლდს და მის მამას ანტონ ჰოჰენცოლერნ-ზიგმარინგენს უარი ეთქვათ შეთავაზებულ ტახტზე, რაც მათ გააკეთეს კიდეც. ამის შესახებ აცნობეს პარიზს (1: 1870 წ. № 28). როდესაც ბისმარკმა შეიტყო, რომ პრინცმა უარი თქვა ტახტის დაკავებაზე, ნათელი გახდა, რომ ხელსაყრელი მომენტი ომის წამოწყებისათვის იკარგებოდა და თავის გადადგომაზეც კი ფიქრობდა (4: 82). პრინცის უარი დაეკავებინა ესპანეთის ტახტი, საფრანგეთის სრულ დიპლომატიურ გამარჯვებას მოასწავებდა. თითქოსდა, კონფლიქტი ამით უნდა ამოწურულიყო, მაგრამ აქ თავი იჩინა ნაპოლეონ III ავანტიურიზმმა და უგნურებამ (5: 132). საფრანგეთის მმართველ წრეებში იმ აზრის იყვნენ, რომ ევროპული პოლიტიკა პარიზიდან უნდა განხორციელებულიყო (13: 90). ფრანგები მოითხოვდნენ მშვიდობას და რესპუბლიკის შექმნას. ამის საწინააღმდეგოდ ბონაპარტისტული რეჟიმი ომს ესწრაფვოდა: "მას ესაჭიროებოდა საგარო-პოლიტიკური წარმატება პრუსიის კურსის მიმართ გერმანულ საკითხში (გაერთიანების შესახებ - ვ. ჩ.). რაც ახალ ბრწყინვალებას მიანიჭებდა რეჟიმს" (13: 112).

1870 წლის 12 ივლისს შედგა საფრანგეთის მთავრობის სხდომა ნაპოლეონ III-ის თავმჯდომარეობით. სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება მოეთხოვათ ვილჰელმ I-გან კიდევ უფრო დამაჯერებელი პასუხი ლეოპოლდის კანდიდატურის შესახებ. ასეთი მოთხოვნა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული (8: 738), მაგრამ პარიზში ამის არ ეშინოდათ, რადგან დედოფალი ევგენია, სამხედრო მინისტრი ლებეფი და საგარეო საქმეთა მინისტრი გრამონი, პრუსიასთან ომის დაწყების მომხრენი იყვნენ (6: 344). მთავრობის თავმჯდომარე ოლივიე კოლეგების საომარ განწყობილებას ეთანხმებოდა.

საფრანგეთის ელჩს ბერლინში ბენედეტის დაავალეს, რომ დასასვენებლად ემსში მყოფი ვილჰელმ I-თვის განეცხადებინა პარიზის მოთხოვნა, რომ მომავალშიც არ დაეთანხმებოდა ლეოპოლდის მიერ ესპანეთის ტახტის დაკავებას (1: 1870 წ. № 28; 10: 123). ეს მოთხოვნა არა მარტო უტაქტო იყო და დიპლომატიურ ჩარჩოებში არ ჯდებოდა, არამედ პროვოკაციული ხასიათისაც იყო. ეს ნიშნავდა, რომ პარიზი

აშკარად ეძებდა მიზეზს ომისათვის. ბონაპარტისტული პოლიტიკის ავანტიურიზმი არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ დიპლომატიის შეცდომებით. ის წარმოადგენდა პირდაპირ შედეგს ღრმა კრიზისისა, რომელშიც აღმოჩნდა საფრანგეთის იმპერია XIX ს. 60-იან წლებში და თვითონ ბონაპარტიზმის ბუნებით, რომელსაც თავისი არსებობისათვის ესაჭიროებოდა საგარეო-პოლიტიკური და სამხედრო წარმატებანი. მით უმეტეს, რომ "საფრანგეთში, მიუხედავად ლიბერალური რეფორმების გატარების ცდებისა, შინაგანი მდგომარეობა სახარბიელო არ იყო" (3: 259).

13 ივლისს ბენედეტი შეეცადა შეხვედროდა ვილჰელმ I-ს, მაგრამ მიღებაზე უარი უთხრეს. 14 ივლისს, როდესაც ვილჰელმ I ემსიდან კობლენცში მიემგზავრებოდა, ბენედეტი სპეციალურად მივიდა სადგურზე, რომ ვილჰელმ I ენახა, მაგრამ მისგან მიიღო პასუხი, რომ მეტი არაფრის თქმა არ შეეძლო (10: 265), გარდა იმისა, რაც ითქვა ლეოპოლდის კანდიდატურის შესახებ (იგულისხმებოდა პრინცის უარი დაეკავებინა ესპანეთის ტახტი-ვ. ჩ.) და შესთავაზა ბენედეტს მოლაპარაკება განეგრძოთ ბერლინში. ვილჰელმ I-მა საგარეო საქმეთა მრჩეველს ფონ აბეკენს უბრძანა, რომ ემსში იმ დღის მოვლენები აესახა და ტელეგრამით ბისმარკისთვის ეცნობებინა ბერლინში (11: 265-266).

ბისმარკი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს ბენედეტის ვიზიტს ემსში. ის კარგად ხედავდა, რომ ფრანგები პროვოკაციაზე მიდიოდნენ, ვილჰელმ I-ს კი ომის გაჩაღება არ უნდოდა და მზად იყო დამცირებაც კი აეტანა (8: 739). ბისმარკი კარგად ხედავდა ნაპოლეონ III-ის მისწრაფებებს და საჭირო იყო მისთვის მიზეზის მიცემა, რათა მას ომი დაეწყო: "ბედის ირონიაა, მაგრამ ბისმარკი სწორედ იმ ადამიანების მცირე რიცხვს ეკუთვნის, ვინც მიხვდა რომ ნაპოლეონს ეშინოდა ომისა და არ სურდა ის. მაგრამ, ბისმარკი იმასაც ხედავდა, რომ არსებობდა ძლიერი ომის პარტია, რომელმაც კარგად იცოდა როგორ გამოეყენებინა ადამიანთა სწრაფვა (ნაპოლეონ III-ის, - ვ. ჩ.) დიდებისა და თავგადასავლებისაკენ, რაც მსოფლიოს ყველაზე ჭკვიანი ერის აქილევსის ქუსლს წარმოადგენდა. ბისმარკი იმასაც მიხვდა, რომ ნაპოლეონი ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა ჩაბმულიყო ომში, რათა ტახტი შეენარჩუნებინა იმ მრისხანე აფეთქებების მოლოდინში, საფრანგეთის პოლიტიკური სცენის დამახასიათებელ თვისებად რომ იქცა" (12: 268).

13 ივლისის საღამოს, ბისმარკი თავის სახლში მასპინძლობდა სამხედრო მინისტრს ფონ როონს და პრუსიის გენერალური შტაბის უფროსს ფონ მოლტკეს. ამ დროს, მან მიიღო აბეკენის სასწრაფო დეპეშა (4: 83). როდესაც დეპეშის შინაარსი გაიგეს სამივეს ხასიათი წაუხდა. ბისმარკი შეეკითხა მოლტკეს, პრუსიის არმია მზად იყო თუ არა ომისათვის. მოლტკემ დადებითად უპასუხა (11: 315), რასაც როონიც დაეთანხმა. ბისმარკი მცირე ხნით მეორე ოთახში გავიდა და დეპეშის სახეცვლილი ტექსტით დაბრუნდა, რომელიც თავის სტუმრებს წაუკითხა (13: 124). ახალი ტექსტი შეურაცხმყოფელ ხასიათს ატარებდა, თითქოს ნაპოლეონ III-ის ელჩს ვილჰელმ I-თან მიღების ნაცვლად კარზე მიუთითეს (11: 316). სტუმრები ძალიან აღაფრთოვანა ბისმარკის ეშმაკობამ (4: 86).

გაყალბებული ტექსტი ბისმარკმა პრესას გამოსაქვეყნებლად გადასცა (იხ. 4: 85-86). საქმე უკვე გაკეთებული იყო. საფრანგეთის ეროვნული ზეიმის დღეს, 14 ივლისს მიღებულმა ამ ცნობამ მოახდინა "წითელი ნაჭრის შთაბეჭდილება გალურ ხარზე" (13: 128). მოსალოდნელი ფრანგული ტრიუმფი, ერთ ღამეში, დამამცირებელ დამარცხებად გადაიქცა (13: 128).

ბისმარკის მიერ გაყალბებული ემსის დეპეშა დიდხანს საიდუმლოდ რჩებოდა და მაშასადამე, ის როლიც, რაც მან ითამაშა ომის გჩაღებაში. 1891 წელს კარლ ლიბკნეხტმა გამოაქვეყნა ბროშურა - "ემსის დეპეშა, როგორ ჩაღდება ომები",

რომელსაც დიდი წარმატება ჰქონდა (11: 319). 1892 წელს კი დეპეშის გაყალბების ფაქტი ოფიციალურად დადასტურდა: ბისმარკის მემკვიდრემ კანცლერის პოსტზე, ფონ კაპრივმა, რაიხსტაგის ტრიბუნიდან ამცნო ქვეყანას აბეკენის დეპეშის ნამდვილი ტექსტი (11: 320).

საფრანგეთის წინააღმდეგ ომს რომ ამზადებდა, ბისმარკი ითვალისწინებდა ნიადაგის შემზადებას დიპლომატიური არხებით. რაც შეეხებოდა მოლტკეს, ის გადამწყვეტ მნიშვნელობას არმიის ძლიერებას ანიჭებდა (7: 70). რეალურად კი, წარმატება ორივე ასპექტის ერთიანობაში იყო. "პრუსიის მეფის მანტიის საფარქვეშ ჩამოყალიბდა მილიტარისტული ტრიუმვირატი, რომელმაც ძალადობის მეშვეობით უზრუნველყო პრუსიის მეთაურობა გაერთიანებულ გერმანიაში" (7: 48). სამხედრო და ბიუროკრატიული მონარქიის პირობებში ბისმარკს ესაჭიროებოდა არა პოლიტიკური პარტიების და ლანდტაგის უსიტყვო მხარდაჭერა, არამედ პრუსიის მეფისა და მისი უახლოესი სამხედრო მრჩევლების მხარდაჭერა (7: 48).

1870 წლის 14 ივლისს, პარიზის საღამოს გზეთები სპეციალურ ნომრებად გამოვიდა და აჭრელებული იყო მყვირალა სათაურებით."მთელი ღამის მანძილზე პარიზელები საომრად მიიჩქაროდნენ. ხალხით სავსე ქუჩებში დემონსტრანტები ისტერიულად გაჰკიოდნენ "ბერლინისკენ"! საფრანგეთში, იმავე დღეს, საომრად გაიწვიეს სათადარიგო სამხედრო ძალები, გერმანიაში კი ლანდვერი უკვე საიდუმლოდ იყო მობილიზებული (12: 268). 15 ივლისს, საკანონმდებლო კორპუსში, საფრანგეთის მთავრობა გამოდის სესხების მოთხოვნით და აკეთებს განცხადებას მომავალი ომის შესახებ (5: 346). როგორც მთავრობის მომხრე, ისე ოპოზიციაში მყოფმა დეპუტატებმა, ყოველგვარი კრიტიკის გარეშე, დიდი უმრავლესობით, ხმა მისცეს სესხების გამოყოფას და მოიწონეს პრუსიისათვის ომის გამოცხადება, რომელიც ფორმალურად მოხდა 1870 წლის 19 ივლისს.

გამოყენებული ლიტერატურა

1.გაზ. "დროება".
2.გაზ. "კვალი", 1898 წ. □ 33.
3.მენთეშაშვილი ალბ. საერთაშორის ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორია, წიგნი II. 1799-1918. თბ., 2002.
4.Бисмарк О. Мысли и воспоминания, т. II, пер. с нем., М., 1941.
5.Бриггс Э., КлэвинП. Европа нового и новейшего времени с 1789 года и до наших дней. Пер. с анг., М., 2006.
6.Дебидур А. Дипломатическая история Европы. 1814-1878. Т. II. Ростов-на-Дону, 1995.
7.Ерусалимский А. С. Бисмарк. Дипломатия и милитаризм. М., 1968.
8.История дипломатии, т. I. М., 1959.
9.Косев К. Бисмарк. Източният въпрос и Българското освобождение. 1876-1878. София, 1978.
10.Палмер А. Бисмарк. Пер. с анг., Смоленск, 1998.
11.Чубинский В. Бисмарк. Биография. Санкт-Петербург, 1997.
12.Crankshaw E. Bismarck. London, 1981.
13.Seeber G., Wolter H. Die Preußisch-Deutsche Reichsgründung von 1870-1871. Köln, 1981

RESUME

PRUSSIA AND THE QUESTION OF GERMAN UNIFICATION

Vazha Chochia

The work shows the events surrounding the unification of Germany and Prussia's attempt to start a war against France. The great international importance of the unification of Germany was emphasized from the outset, which was further confirmed by subsequent events. It is interesting , that many important materials were published in the Georgian press in relation to these events, the main characteristic of which was the objective coverage of events. Thus, they do not lose their importance today. After the conquest of Austria in 1866, Prussia finally took the unification of Germany. There remained one major opposition in the form of France, which opposed the unification of Germany without a rival on the European continent. Prussia was fully prepared for the war with France to complete the process of German reunification. Chancellor Bismarck acted diplomatically, doing everything in his power that France was the beginning of the war, that would patrioticize the whole of Germany and defeat the French.

Bismarck conveniently used the intrigue surrounding the liberated Spanish royal throne and pushed France to the war, especially as emperor Napoleon III did not shy away from provocations, that Bismarck conveniently used. He knew that the chief of the General Staff of Prussia von Moltke and the military minister von Rhone were supporters of the war with France, suggesting victory. There was a need to find a pretext for war and that role was played by a Bismarck-fueled telegram which was accepted as an insult in Paris. Both the government and parliament and the masses of people demanded that Prussia be punished. In Paris, they did not even know that the Prussian Landscape had already been secretly mobilized. On July 15, 1870, the French government issues loans in the legislative corps and announces the coming war. Deputies overwhelmingly voted for loans and approved the declaration of war for Prussia on July 19, 1870. Bismarck achieved his goal, all of Germany embracing patriotism. The Norh German Union mobilized its troops to join it as well as the Southern German states. Such a patriotic ascendancy was ruled by the reckless act of Napoleon III in Germany.

გასაყიდი საქონლის შიდა და საერთაშორისო ფასები

დევიძე თამარი
ეკონომიკის დოქტორი, ს ტ უ ასოცირებული პროფესორი
შოშიტაშვილი დავითი
ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი
შოშიტაშვილი გიორგი
ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი

საერთაშორისო ვაჭრობის შესაძლებლობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიების ქცევებზე შიდა სასაქონლო ბაზარზე. რიგ შემთხვევაში სასაქონლო ბაზრებზე კომპანიის საფასო პოლიტიკის შესწავლამ და საერთაშორისო შედარებების ჩატარებამ შეიძლება მოგვცეს დამატებითი ინფორმაცია აღნიშნული ბაზრების ფუნქციონირების თავისებურებათა, მწარმოებლების მიერ საბაზრო ძალაუფლების ფლობისა და საერთაშორისო კონკურენციის ინტენსიურობის შესახებ.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ თუ რა გავლენა აქვს საერთაშორისო კონკურენციას სარეალიზაციო საქონლის შიდა ფასებზე აუცილებელია ვნახოთ, თუ როგორ შეიცვალა საქონლის ფასები საქონელზე, რომელიც კონკურენციას უწევს იმპორტირებულ საქონელს შიდა ბაზარზე. თეორიულად, ქართული ფასები შეიძლება იყოს გარკვეულწილად უფრო მაღალი, ვიდრე მსოფლიო ბაზარზე, რაც განპირობებულია სავაჭრო ხარჯების არსებობით, მაგრამ ეს სხვაობა არ უნდა იყოს მნიშვნელოვნად დიდი - ეს იქნებოდა სიგნალი, რომ ქართველ მწარმოებლებს არ ეშინია უცხოურ პროდუქციასთან კონკურენციის. შემდგომი გათვლების დროს, ჩავთვლით, რომ შიდა ფასების 40%-ით მუდმივი მეტობა კონტრაქტით გათვალისწინებულ ფასებზე (კონტრაქტით გათვალისწინებული უცხოური კვლევების შედეგების მიხედვით) წარმოადგენს ერთიანი ფასების კანონის დარღვევას.

მაღალ საბაზრო კონცენტრაციას, ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად ინტეგრირებული სტრუქტურების არსებობას და ბაზარზე შესვლის მაღალ ხარჯებს გარკვეულ პირობებში შეუძლიათ ქართველი მწარმოებლების ხელშეწყობა შიდა ბაზარზე ძალაუფლების მოსაპოვებლად. ქართულ ინდუსტრიაში საექსპორტო პოტენციალს ფლობს ისეთი დარგები, როგორიცაა: ქიმიური მრეწველობა, შავი მეტალურგია, აზოტის მრეწველობა, ღვინის, წვენებისა და ხილ-ბოსტნეულის, სხვა საკვები პროდუქტების წარმოება. თუმცა, ეს არშეიძლება განვიხილოთ, როგორც კონკურენტუნარიანობის უპირობო მტკიცებულება. ანალიზის ფარგლებში ნაჩვენებია, რომ საექსპორტო საქონლის შიდა ბაზარზე არასრულყოფილი კონკურენციის ერთ-ერთი მანიშნებელი შეიძლება იყოს შიდა ბაზარზე ჩამოყალიბებული ფასები, მსოფლიო ბაზარზე არსებული ფასების მიმართ არსებული სისტემური და მნიშვნელოვანი გადაჭარბება.

ანალიზი განხორციელდა საქსტატის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე. საქართველოში შიდა ფასების სახით გამოიყენება ცალკეულ სამრეწველო საქონელზე მწარმოებლების მიერ დადგენილი საშუალო ფასები. მსოფლიო ფასების შეფასებისას გამოყენებული იქნება საექსპორტო კონტრაქტების საშუალო ფასები, რომლებიც გამოითვლება საქსტატის მონაცემების საფუძველზე. შესაბამისი კლასიფიკაციის (ან განზომილების ერთეულების) განსხვავებასთან დაკავშირებით ზოგიერთი პროდუქტი ამოვარდება განხილვიდან. ანალიზი ასევე არ არის ჩატარებული ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიისთვის, რადგან ამ საქონლის შიდა ფასები რეგულირდება სახელმწიფო მარეგულირებლის მიერ.

რიგ შემთხვევაში, თუ ხდება ფასების კლასიფიკაციაში მონაცემების არასრული შესაბამისობა, მსოფლიო და შიდა ფასების კორელაცია შეუძლებელი ხდება, მაგრამ

მაინც შეიძლება შეფასდეს საქართველოში ფასის ელასტიურობა კონტრაქტის მიხედვით საშუალო ფასების მიხედვით. ერთ ვალუტაში ფასების გადათვლის დროს გამოიყენება აშშ დოლარის საშუალო თვიური კურსი, რომელიც გამოითვლება ეროვნული ბანკის მონაცემების საფუძველზე.

ნავარაუდებია, რომ პროდუქციის მსოფლიო ბაზარი სრულყოფილი კონკურენციით ხასიათდება, ამის საფუძველზე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ შემდეგი ჰიპოთეზები, რომელთა სამართლიანობის ანალიზი წარმოადგენს ერთგვარ ინტერესს სამუშაოს მიზნების თვალსაზრისიდან გამომდინარე:

1. ერთგვაროვანი პროდუქტის იმპორტის არსებობის დროს, მიუხედავად შიდა ბაზრის სტრუქტურისა, შიდა ფასი მსოფლიო ბაზრის ფასს უნდა ჭარბობდეს. გარდა ამისა, ფასთა სხვაობა უნდა შეესაბამებოდეს ერთეულ პროდუქციაზე იმპორტის ხარჯების საერთო ღირებულებას (პირველ რიგში, ეს არის სატრანსპორტო ხარჯები და იმპორტის გადასახდელები). ფასების ინვერსიული (უკუ) თანაფარდობა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ საქონლის უცხოელი მომწოდებლები მთელ ბაზარზე ფლობენ საბაზრო ძალაუფლებას.

2. თუ არსებობს ერთგვაროვან საექსპორტო პროდუქტზე შიდა და მსოფლიო ფასებს შორის დადებითი დიფერენციაცია, ეს შეიძლება ჩაითვალოს შიდა ბაზარზე ადგილობრივ მწარმოებლებს შორის კონკურენციის არასრულყოფილების სიგნალად. სრულყოფილად კონკურენტული შიდა ბაზრის შემთხვევაში, პროდუქციის შიდა ფასი უნდა იყოს მსოფლიო ფასზე ნაკლები და ფასთა სხვაობა უნდა შეესაბამებოდეს საქონლის ერთეულის ექსპორტთან დაკავშირებულ საერთო ხარჯებს.

ხელმისაწვდომი სტატისტიკურმა მონაცემებმა საშუალება მოგვცა შევადაროთ ქვეყანაში 14 იმპორტირებული საქონლის შიდა ფასების დონე და სავაჭრო კონკურენტების საქონლის საშუალო ფასებს (მათ შორის 3 სასაქონლო პოზიციის მუხლებთან არასრული შესაბამისობა) 20 ექსპორტირებულ პროდუქციასთან მიმართებაში.

იმპორტული საქონლის ჯგუფში, რომელშიც შედის ცხოველური წარმოშობის კარაქი, ღვინო, ქერი, მზესუმზირის ზეთი, შოკოლადის ნაწარმი, სამშენებლო მასალები, ტყე, მსუბუქი მანქანები (რეიმპორტი), სატვირთო მანქანები (რეიმპორტი), თუჯისა და ფოლადის მილები. ამასთანავე, ფასების შედარება აგრეთვე მოხდა შემდეგი პროდუქტებისათვის: “ხორცი” და “ფრინველის ხორცი”.

იმპორტული საქონლის ჯგუფის პროდუქტების შიდა ფასების დონის ცვლილების დინამიკა მსოფლიო ფასთან მიმართებაში





საარბიტრაჟო ოპერაციების შესაძლებლობის თავიდან აცილების მიზნით, უნდა განხორციელდეს ერთი ფასის კანონი:

$$P_1^{\text{შიდა}} = P^{\text{მსოფლიო}} + C_1 ,$$

სადაც $P_1^{\text{შიდა}}$ და $P^{\text{მსოფლიო}}$ არის საქონლის შიდა და მსოფლიო ფასები, i, და C - არის საქონლის ერთეულ პროდუქციაზე საერთაშორისო მოწოდების დანახარჯები.

კვლევაში იმპორტის კონტრაქტების საშუალო ფასები გამოიყენება, როგორც მსოფლიო საბაზრო ფასი. მოსალოდნელია, რომ კონტრაქტების ფასები უკვე კორექტირებულია მიმწოდებლების მიერ სავაჭრო ხარჯების გათვალისწინებით. ამ მოსაზრებით

$$P^{\text{იმპორტ კონტრაქტი}} = P^{\text{მსოფლიო}} + C_1 .$$

სატესტო ჰიპოთეზა იმპორტირებული საქონლის ჯგუფთან მიმართებაში მდგომარეობს იმაში, რომ შიდა ფასების დონე და იმპორტის კონტრაქტების საშუალო ფასები იქნებიან დაახლოებით თანაბარი

$$P_1^{\text{იმპორტ კონტრაქტი}} = P_i^{\text{შიდა}} .$$

ამ თანაფარდობიდან გადახრა არ უნდა აღემატებოდეს დანახარჯების სიდიდეს, რაც დაკავშირებულია ერთეული პროდუქციის საერთაშორისო მოწოდებასთან (C_i). ვინაიდან, ეს უკანასკნელი უცნობია, მათი შეფასებისთვის ჩვენ გამოვიყენებთ მსოფლიო ფასის 40%-ს, რაც გარკვეულ უცხოურ კვლევებში შეესაბამება საერთაშორისო სავაჭრო ბარიერების სიმაღლეს. გაანგარიშების შედეგები (დიაგრამა) მიუთითებს, რომ საქონლის ნახევარზე მეტისათვის შიდა ფასი მართლაც, სისტემატურად აღემატება იმპორტის ხელშეკრულების საშუალო ფასს. ამავე დროს, ფასთა სხვაობა ხშირად არ აღემატება მსოფლიო ფასის 40%-ს. ამ შესწორების გათვალისწინებით, შეიძლება ვისაუბროთ იმაზე, რომ ერთიანი ფასის კანონი ხორციელდება.

პროგნოზირებული თეორიული მოდელირების საპირისპიროდ ფასების თანაფარდობა გამოვლენილია ღვინის, მზესუმზირის ზეთისა და ავტომობილებისათვის: ადგილობრივი მწარმოებლების ფასი უფრო დაბალია, ვიდრე იმპორტის ხელშეკრულების საშუალო ფასითაა გათვალისწინებული. ამრიგად, იგრძნობა, რომ საქართველოს ეკონომიკაში არსებობს ფაქტორები, რომლებიც ამ საქონლის ფასების ზრდას ზღუდავს, პირველ რიგში იგულისხმება მანქანების რეიმპორტი. ეს შეიძლება იყოს შიდა ფასების რეგულირების სახელმწიფო პოლიტიკა ან საქონლის მომხმარებელთა საბაზრო ძალაუფლება (სავაჭრო ჯაჭვის შემდეგი ეტაპის ქვეყნები).

სხვაგვარად იქცევიან ფასები შოკოლადის ნაწარმის შემთხვევაში. განსახილველი პერიოდის დასაწყისში, შიდა ფასი მსოფლიო ფასებზე დაბალი იყო. თუმცა, 2012 წლის დასაწყისიდან სიტუაცია შეიცვალა და 2018 წლის დასაწყისიდან შეიმჩნევა განსხვავების

მატების მყარი ტენდენცია, მსოფლიოსა და შიდა ბაზარზე არსებულ ფასებს შორის. ფასებს შორის განსხვავებამ მაქსიმუმს მიაღწია 2015 წლის ბოლოს, რის შემდეგაც კვლავ დაიწყო მისი შემცირება. განსახილველი პერიოდის დასასრულს, ფასებს შორის განსხვავება 30%-ით შემცირდა და ადგილობრივი ფასი მსოფლიო ფასებთან თითქმის გათანაბრდა. შიდა ფასების ასეთი დინამიკა შეიძლება იყოს წარმოდგენილი როგორც დიფერენცირებული საქონლის ადგილობრივი მწარმოებლების საბაზრო ძალაუფლების გამოვლინება; აღნიშნული ასევე შეიძლება იყოს სავაჭრო ბარიერების ამაღლების შედეგი (მაგალითად, სახელმწიფო საგარეო ვაჭრობის რეგულირება). ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია არასაკმარისია იმისათვის, რომ გამოვლინდეს ერთიანი ფასის კანონის დარღვევა მოცემული საქონლისათვის ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

იმპორტული საქონლის ჯგუფში, ხელმისაწვდომი სტატისტიკის გათვალისწინებით, შეუძლებელი იყო შემდეგი საექსპორტო საქონლის ფასების დონის შედარება: ამიაკი, მრგვალი ხე-ტყე, აზოტის სასუქები, შერეული სასუქები, თუჯი, ნაგლინი.

ისევე როგორც იმპორტირებული საქონლის შემთხვევაში, გამოვდივართ იმ წინასწარი დაშვებიდან, რომ საარბიტრაჟო ოპერაციების თავიდან აცილების მიზნით უნდა აღსრულდეს ერთიანი ფასების კანონი:

$$P_1^{\text{შიდა}} = P^{\text{მსოფლიო}} - C_1$$

სადაც $P_1^{\text{შიდა}}$, $P_1^{\text{მსოფლიო}}$ არის პროდუქციის შიდა და მსოფლო ფასები, i, და C - არის საქონლის ერთეულ პროდუქციაზე საერთაშორისო მოწოდების დანახარჯები. იმის გამო, რომ საექსპორტო კონტრაქტების ფასი სავარაუდოდ კორექტირებულია მომწოდებლის მიერ ვაჭრობის დანახარჯების გათვალისწინებით; ფასები სწორედ ამდენითაა მომატებული. ამ შემთხვევაში სატესტო ჰიპოთეზას შემდეგი სახე აქვს:

$$P_1^{\text{შიდა}} = P^{\text{მსოფლიო}} - C_1$$

ვარაუდის გათვალისწინებით, პროდუქციის ერთეულზე საერთაშორისო მიწოდების (C_1) დანახარჯები შეადგენს მსოფლიო ფასის 40%-ს, ამ შემთხვევაში ერთიანი ფასის კანონის რეალიზაცია შემდეგ სახეს მიიღებს:

$$P_1^{\text{შიდა}} = P^{\text{ექსპორტის კონტრაქტი}} \text{ რაც ექვივალენტია } - = 0,6$$

ამგვარი თანაფარდობა არ აუნდა აღემატებოდეს საქონლის ერთეულ პროდუქციაზე საერთაშორისო მოწოდების დანახარჯების სიდიდეს (C_1). საქონლის ექსპორტის შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს შიდა ბაზრის სტრუქტურა. ადრე გამოყოფილი თანაფარდობა გულისხმობს სრულყოფილ კონკურენციას. მაგრამ სიტუაცია იცვლება, როცა ადგილი აქვს შიდა ბაზარზე მწარმოებლების მიერ საბაზრო ძალაუფლების ფლობას. მონოპოლიის შემთხვევაში, რომელიც ახდენს საბაზრო დისკრიმინაციის პოლიტიკის გატარებას შიდა ბაზარსა და პროდუქციის სავსებით კონკურენტულ მსოფლიო ბაზარს შორის, ფასებს შორის თანაფარდობა წარმოდგენილი იქნება შემდეგი სახით:

$$P^{\text{შიდა}} \rangle MR_i^{\text{შიდა}} = 0,6P_i^{\text{საექსპორტო კონტრაქტი}},$$

რაც გულისხმობს პროდუქციის შიდა და საექსპორტო მოწოდებიდან ზღვრული შემოსავლების თანაბრობას. ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზის თვალსაზრისით ეს ნიშნავს, რომ $0,6P^{\text{ექსპორტის კონტრაქტი}}$ სიდიდეზე შიდა ფასების მნიშვნელოვანი (40%-ზე მეტი) მატება შეიძლება იყოს იმის სიგნალი, რომ საექსპორტო საქონლის შიდა ბაზარზე ადგილი აქვს არასრულფასოვან კონკურენციას: › 1. აღნიშნული შეიძლება განპირობებული იყოს კონკურენციის არასრულყოფილებით საექსპორტო საქონლის შიდა ბაზარზე.

საექსპორტო ხელშეკრულების საშუალო ფასში ექსპორტირებული საქონლის შიდა

ფასის თანაფარდობის გაანგარიშების შედეგები ახდენენ იმ ფაქტის ილუსტრირებას, რომ პრაქტიკულად ყველა საქონლისთვის შიდა ფასი ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე საბაზრო კანონის გათვალისწინებით ნაწინასწარმეტყველები ერთიანი ფასი. ზოგიერთ შემთხვევაში ფასების თანაფარდობა აღემატება ერთს (აზოტი და შერეული სასუქები, თუჯი), სხვა ყველა საქონლის შემთხვევაში ისინი ახლოს არიან 1-თან. ამასთანავე, ხშირ შემთხვევაში, ფასების თანაფარდობა ასახავს ზრდის ტენდენციას განსახილველი პერიოდის განმავლობაში. წარმოდგენილი მონაცემები ილუსტრირებას უკეთებენ იმ ფაქტს, რომ განსახილველი პერიოდის ბოლოს, საქონლის ნახევარზე მეტი აჩვენებს, რომ შიდა ფასმა გადააჭარბა მოწოდებული საქონლის საშუალო საექსპორტო ფასს, რომელიც არ შეესაბამება ფასწარმოქმნის მოდელს სრულყოფილი კონკურენციის პირობებში. უმეტეს შემთხვევაში, ფასთა შორის განსხვავება არ აღემატება 40%-ს, თუმცა არსებობს გამონაკლისი: აზოტის სასუქები და შერეული სასუქები. ერთიანი ფასის კანონის დარღვევასთან ახლოს არის ამიაკი და თუჯი.

საინტერესოა, რომ სამთო მრეწველობის (მანგანუმის) ფასების თანაფარდობა არ ეწინააღმდეგება სრულყოფილი კონკურენციის ჰიპოთეზას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ სამთო მოპოვებითი მრეწველობის პროდუქციის შიდა ფასები მნიშვნელოვანწილად ინარჩუნებენ დინამიკას, რომელიც აღწერილია სრულყოფილი კონკურენციის მოდელში; ხოლო მაშინ, როცა მსოფლიო ბაზრის ფასებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქტების შიდა ფასების თანაფარდობა იზრდება, წარმოიქმნება გონივრული ეჭვი, რომ ტარდება ფასების დისკრიმინაციის პოლიტიკა. ეს დასკვნა საკმაოდ დამაჯერებელი და დასაბუთებულია. ვერტიკალურად ინტეგრირებულ კომპანიებში შუალედური პროდუქტების ფასები ტრანსფერტულია და ასახავს კომპანიის შიდა პოლიტიკას მოგების განაწილების სფეროში, რომელიც წარმოიქმნება ღირებულების შექმნის პროცესში, წარმოების ეტაპებს შორის. საგადასახადო ტვირთის მინიმიზაციის პრინციპიდან გამომდინარე, ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანიებისთვის ხელსაყრელია ტექნოლოგიური პროცესის ჯაჭვის პირველ ეტაპზე დამატებული ღირებულების მინიმუმამდე შემცირება, რაც სავსებით შეესაბამება შუალედური მოხმარების საქონლის ყველაზე დაბალი ფასის მიღების მიზანს. ამრიგად, საბოლოო პროდუქციაზე საბაზრო ძალაუფლების დემონსტრირება მეტად შესაძლებელია, რომ აღმოვაჩინოთ საბოლოო პროდუქციის ბაზრებზე, ამიტომ ანალიზის შედეგები კარგად ასახავენ წარმოდგენილ დასკვნას.

გასული ბოლო ათი წლის განმავლობაში, შეიმჩნევა მსოფლიო ბაზრის ფასების და საქონლის შიდა ფასების დაახლოება. თუმცა, ერთიანი ფასის კანონი ყოველთვის არ არის აღსრულებული: ანალიზის პროცესში გამოვლინდა საქონელი, რომელიც გვიჩვენებს, როგორც გადაჭარბებულ (აზოტისა და კომპლექსურ სასუქებზე, ხე-ტყეზე და მილებზე), ასევე შემცირებულ (ქერი, ხილი, მანგანუმი) ფასებს შიდა ბაზარზე. როგორც თეორიული და პრაქტიკული ანალიზი გვიჩვენებს, ეს შეიძლება იყოს შესაბამისი საქონლის შიდა ბაზრებზე არსებული კონკურენციის არასრულყოფილების სიგნალი. კანონიდან ფასის კიდევ ერთი გადახვევის მიზეზი შეიძლება იყოს სახელმწიფო საგარეო ვაჭრობის რეგულირების თავისებურება.

გამოყენებული მასალა:

1. საქსტატი - www.geostat.ge
2. საქართველოს ეროვნული ბანკი - www.nbg.ge

რეზიუმე

ამ სტატიაში ჩატარებული ანალიზის მიზანია ურთიერთკავშირების დადგენა მსოფლიო სავაჭრო ფასებსა და პროდუქციის შიდა ქართულ ფასებს შორის. იმის გამო, რომ ეს საკითხი არ შეიძლება გაანალიზდეს ვაჭრობის ურთიერთდაკავშირებული მიმართულების გარეშე, გამოვყავით საექსპორტო საქონლის ჯგუფები, რომლებიც კონკურენციას უწევენ იმპორტულ პროდუქციას შიგა ბაზარზე.

ექსპორტირებული საქონლის ჯგუფი საშუალოდ ასახავს საერთაშორისო სავაჭრო კონტრაქტების მიხედვით შიდა ფასების უფრო მაღალ ელასტიურობას, ვიდრე იმპორტირებული საქონლის ჯგუფები. ეს ნიშნავს, რომ საქონლის ექსპორტიორი კომპანიები შიდა ბაზარზე საკუთრ საფასო პოლიტიკის წარმართვისას უფრო მოქნილად რეაგირებენ საერთაშორისო ვაჭრობის პირობების ცვლილებაზე, ვიდრე პროდუქციის მწარმოებელი კომპანიები, რომლებიც კონკურირებენ იმპორტთან, როცა ადგილი აქვს იმპორტული საქონლის ფასების ცვლილებას.

SAMMARY

DOMESTIC AND INTERNATIONAL PRICES FOR GOODS FOR SALE

Devidze Tamari
Shoshitashvili Daviti
Shoshitashvili Giorgi

The purpose of the analysis Conducted in the article is to establish relationships between the world trade prices and domestic Georgian prices for products. Because this issue cannot be analyzed without the trade's interconnected direction, we picked out exported groups of goods, which are competing with the imported products in the domestic market.

The group of exported goods on average reflects higher flexibility of domestic prices according to the international trade contracts, than the imported groups of goods. This means that commodity exporting companies in the domestic market when leading their own pricing policy respond more flexibly on changes in international conditions of trade, than the producing companies, which compete with Imports, when there is a place for the price change for imported goods.

საზოგადოებრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ევროპეიზაციის მცდელობა XIX საუკუნის 30-იან წლებში

ნინო გომართელი, პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქართველ მამულიშვილთა მრავალწლიანი მოღვაწეობა სათანადოდაა შეფასებული ქართულ საზოგადოებაში, სამეცნიერო ლიტერატურასა თუ მწერლობაში. დროთა მსვლელობისას სახელოვან ერისკაცთა ღვაწლი მეტ მომხიბვლელობას იძენს და ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ დიდი წინაპრების გმირული საქმენით. ღირსეულ მამულიშვილთა შორის არიან ქართველი მოაზროვნენი, თავად-აზნაურთა ის მოწინავე წარმომადგენლები, რომლებიც მედგრად იბრძოდნენ ქართული სახელმწიფოებრივი წყობილების განახლება-გაუმჯობესებისათვის.

ერის კულტურის, მეცნიერების, საზოგადოდ, ქვეყნის ცივილიზაციის დონე ყოველთვის განისაზღვრებოდა იმით, თუ რა მონაწილეობას იღებდა ის განმანათლებლურ მოძრაობაში, როგორ ითვისებდა და იყენებდა განმანათლებელთა იდეებს თავისი ქვეყნის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებას ყოველთვის ჰქონდა ევროპული გზით განვითარების გარკვეული ტენდენცია. ასეთი მიდრეკილება იგრძნობოდა XVIII-XIX საუკუნის I მეოთხედის ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში. ქართველი მოაზროვნენი არა მარტო ეცნობოდნენ ევროპელთა თეორიებს, მოძღვრებებს, ახალ იდეებს, არამედ თავისებურად ეხმიანებოდნენ მათ. ქართველ მოაზროვნეთა მიზანი იყო თავიანთი ქვეყნის უკეთესი მომავალი და სწორედ ამიტომ ისინი ცდილობდნენ ევროპის მოწინავე ქვეყნების კულტურისა და მეცნიერების მიღწევები საკუთარ ეროვნულ ტრადიციებზე დაყრდნობის გზით გამოეყენებინათ ქვეყნის საკეთილდღეოდ. შემთხვევითი როდია, რომ XVIII საუკუნემ უდიდესი გავლენა იქონია შემდგომი პერიოდის პოლიტიკური აზრის ფორმირებისა და განვითარების პროცესზე.

საქართველო არასოდეს მდგარა ევროპაში მიმდინარე პროგრესული პროცესებისაგან განცალკევებით. პირიქით, იყო პერიოდი, როდესაც ქართველი ერი თავისი ნააზრევითა და იდეებით წინ უსწრებდა მსოფლიოში მიმდინარე გონებრივი და კულტურული განვითარების პროცესს, რის ნათელ დადასტურებასაც "ოქროს ხანა" (XII-XIIIსს.) წარმოადგენდა.

სამწუხაროდ, ის დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც XVIII საუკუნის დასაწყისში ნაყოფიერად წარმოებდა საქართველოში, თითქმის მთლიანად ჩაკვდა ვახტანგ VI-ის რუსეთში გადახვეწისა და შემდგომ პერიოდში საქართველოში გამეფებული ძნელბედობის შედეგად. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მოღვაწეთა გადაწყვეტილებით და მონდომებით დაიწყო შეწყვეტილი კულტურულ-საგანამანათლებლო საქმიანობის აღდგენა, რასაც უდიდესი ყურადღება დაუთმო მეფე ერეკლე II-მ და საქართველოს კათალიკოსმა ანტონ I-მა. ეს უკანასკნელი კარგად იცნობდა ბერძენ ფილოსოფოსთა პლატონისა და არისტოტელეს თხზულებებს, კლასიკური ხანის ქართულ ფილოსოფოსთა მოძღვრებებს, თანამედროვე ფრანგ და გერმანელ ფილოსოფოსთა იდეებს. მანვე თარგმნა გერმანელი განმანათლებლების ქრისტიან ვოლფისა და ბაუმაისტერის თხზულებები. ერის აღორძინების საქმეში ანტონ კათოლიკოსი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა განათლებას, ამიტომ თავისი მოღვაწეობის პერიოდში დიდ ყურადღებას უთმობდა სამეცნიერო და

სასწავლო ლიტერატურის თარგმანებს. ერეკლე II-ის მეფობის ხანა ქართლ-კახეთის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური აღმავლობის პერიოდს წარმოადგენდა. ქვეყანაში თვალსაჩინოდ განვითარდა ქართველი ხალხის კულტურული ცხოვრება, რომელმაც შეითვისა ევროპული კულტურის მნიშვნელოვანი მახასიათებლები. კულტურული განვითარების ეს პროცესი სწორედ ეროვნული ტრადიციების დაცვის საფუძველზე მიმდინარეობდა. ქართველი ახალგაზრდობა სწავლა-განათლებას ძირითადად ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში იღებდა. ერეკლე მეფის თაოსნობით, 1749 წელს მოხდა ქართული სტამბის აღდგენა-განახლებაც. საგანმანათლებლო-კულტურულ კერებს საკუთარი ბიბლიოთეკებიც გააჩნდა. მაგალითად, დავით გარეჯის მონასტრის, თბილისის სიონის, მცხეთის შიომღვიმის წიგნთსაცავები და სხვ. ერეკლე II-ის შთამომავალნი და ქართველი ბატონიშვილები უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ ევროპული კულტურის შესწავლასაც. ამ პერიოდში ითარგმნა "მსოფლიო ისტორიის სპეციალური კურსი", "ისტორიული ნარკვევები საბერძნეთის ისტორიიდან", კვინტოს კურციუსის "ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრება", შარლ როდენის "ძველი ისტორია", გილმარ კურასის "საყოველთაო ისტორია", რუდოლფ ოსტრაპტოს "ევროპის მეგზური" და სხვ. (7, 786). ევროპული კულტურით დაინტერესება პასუხობდა როგორც ეპოქის მოთხოვნილებას, ისე იმდროინდელ მკითხველთა და მთარგმნელთა იდეურ განწყობილებებს, რაც უდავოდ გულისხმობდა ქვეყნის კულტურულ-იდეურ პროგრესს. ვენეციაში დაიბეჭდა "შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ქვეყნები"-ს რუკა, რაც ნათლად მოწმობს იმ დიდ ინტერესს, რომელსაც იჩენდნენ უცხოელი მეცნიერები საქართველოს მიმართ.

ქართველმა მოაზროვნეებმა შეიმუშავეს საკუთარი ეროვნული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები, რაც სათავეს იღებდა, როგორც ქართული სინამდვილიდან, ისე ევროპისა და რუსეთის განმანთავისუფლებელი იდეებიდან. ქართველ ინტელიგენტთა ერთ-ერთ მთავარ მიზანს ევროპულ სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარება წარმოადგენდა. პეტერბურგში მყოფ დავით ჯორჯაძის გადმოცემით, მას ყოველთვის ესმოდა "ბაასი თავისუფლების შესახებ, მოჰყავდა რა სანიმუშოდ ხან საფრანგეთი და მათი კანონები, ხან (ევროპის) თავისუფალი ქალაქები..."(2, 39). ევროპა ქართველ მოაზროვნეებს ორი ფაქტორის გამო აინტერესებდათ: პირველ შემთხვევაში, ევროპის წამყვანი სახელმწიფოები განიხილებოდა, როგორც მოკავშირე და დამხმარე ძალა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, მეორე შემთხვევაში კი _ ევროპა მათთვის იყო სოციალურ-ეკონომიკური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ინტელექტუალური წინსვლის საუკეთესო ნიმუში, რომლის მიხედვითაც უნდა განვითარებულიყო ქვეყანა. კერძოდ, კონსტიტუციური მონარქიის ფორმით უნდა მომხდარიყო ქართული სახელმწიფოს დემოკრატიზაცია, მისგან გამომდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული შედეგებით (8, 58). "არა თვისა თავისათვის... არამედ სიყვარულისათვის მამულისა, რათა ევროპამან ოდესმე ჰსცნოს ივერია საშუალობით წერილითა სარწმუნოთ".

ქართველი არისტოკრატია XIX ს. 30-იან წლებში სერიოზულად იწყებს მოქმედებას თავისუფლებადაკარგული საქართველოს გადასარჩენად. გავიხსენოთ ივ. აფხაზისადმი გრ. ორბელიანის მიმართვა: "საქართველო შევიწროებულია ყიზილბაშებისა და ოსმალოთაგან, მეზობელ რუსეთთან დაკავშირება აღარ აძლევს ქვეყანას მოსთხოვოს მფარველობა რომელიმე ძლიერსა სახელმწიფოსა ევროპასა შინა" (6, 237). პროფ. დ. შველიძე სრულიად მართებულად მიიჩნევს, რომ ახალგაზრდა ქართველი თავადიშვილები იმპერიის მსახურები იყვნენ მანამ, სანამ ისინი არ გამოაფხიზლეს და ეროვნული აზროვნებით არ დამუხტეს რუსეთში გადასახლებულმა

ბატონიშვილებმა (8, 25), ევროპულად განათლებულმა თავადებმა გიორგი, ელიზბარ, დიმიტრი ერისთავებმა, დიმიტრი ორბელიანმა, ალექსანდრე ჩოლოყაშვილმა, ვახტანგ ორბელიანმა და სხვ. მათ პეტერბურგსა და მოსკოვში გადასახლებულ სხვა ქართველ ბატონიშვილებთან ერთად... მიზნად დაისახეს დაგეგმილი და ორგანიზებული შეთქმულების გზით ქვეყნის განთავისუფლება. შეთქმულები ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის აღდგენის საკითხზე მსჯელობისას უპირატესობას ანიჭებდნენ იმდროინდელი საფრანგეთის სახელმწიფოებრივ წყობილებას, კონსტიტუციურ მონარქიას, თუმცა, არსებობდა განსხვავებული რამდენიმე მოსაზრებაც (რესპუბლიკური მმართველობა, ავტონომია...). შეთქმულთა თვალწინ ჩაიარა არა მარტო 1825 წლის დეკაბრისტთა აჯანყებამ, არამედ ევროპაში იმხანად მიმდინარე ყველა მოვლენამ – საფრანგეთის 1830 წლის ივლისის რევოლუციამ, 1830 წლის პოლონეთის აჯანყებამ, ავსტრია-უნგრეთსა და გერმანიაში არსებულმა ვითარებამ და სხვ... დ. ყიფიანი აღნიშნავდა, რომ 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი ხშირად მსჯელობდნენ "ევროპაში მიმდინარე თანამედროვე პოლიტიკურ ამბებზე..." (7, 947).

ქართველი მოაზროვნენი ევროპული იდეოლოგიას კათოლიკე მისიონერთა მეშვეობითაც ითვისებდნენ. პროფ. შ. ლომსაძე აღნიშნავს: "ჩვენში შემოსულ მისიონერთა დიდი ნაწილი... იცნობდა ევროპის ახალ მიღწევებს მეცნიერების სხვადასხვა დარგში და მათ მიერ გახსნილ სასწავლებლებში საღვთისმეტყველო საგნებთან ერთად, ამ ახალ მიღწევებზეც ესაუბრებოდნენ ქართველ ახალგაზრდობას. ქართველი მეფე-მთავრები და საეკლესიო მოღვაწენი მისიონერთა ამგვარ საქმიანობას ხელს უწყობდნენ და ახალისებდნენ". კათოლიკური მისიების წარმომადგენლებმა, რომლებიც საქართველოს კარგი მემატიანეებიც აღმოჩნდნენ, შემოგვინახეს უტყუარი ცნობები ქვეყნის პოლიტიკური თუ სამხედრო მოღვაწეობის შესახებ, აღწერეს ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრება. პროფ. ალ. ფირცხალაიშვილის ინფორმაციით საქართველო-კავკასიის საკითხი, ამ რეგიონში მიმდინარე პროცესები მხოლოდ რუსეთის და ირან-ოსმალეთის გარდა, ევროპის ძლიერ სახელმწიფოთა ინტერესსაც იწვევდა. "1763 წელს ფრანგი კონსული წერდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ აუცილებელი იყო რუსეთისათვის დაბრკოლების შექმნა აზიის საზღვრებთან, რითაც იგი იძულებული გახდებოდა ხელი აეღო ევროპის საქმეებზე. ბერანჟე დასძენდა, რომ ამ მიზნით მას ხელსაყრელად მიაჩნდა კონტაქტის დამყარება "პრინც ერეკლესთან". იოანე ბატონიშვილი წერდა: "50-იანი წლებიდან ევროპა გაეცნო ერეკლეს, როგორც ეპოქის გამოჩენილ სარდალსა და სახელმწიფო მოღვაწეს".

არ შეიძლება არ აღინიშნოს ქართველ მოაზროვნეთა შეხედულებები ფრანგ განმანათლებელთა ვოლტერის, ჟან-ჟაკ რუსოს, მონტესკიეს და სხვ. უდიდესი გავლენის შესახებ. მაგალითისათვის დავასახელებთ ქართული განმანათლებლობის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ წარმომადგენელს – ალექსანდრე ამილახვარს, რომელიც თეათინელთა ორდენის ბერების მეშვეობით, ერთ-ერთი პირველი ეზიარა დასავლეთის განმანათლებლურ იდეოლოგიას და სიცოცხლის ბოლომდე მისი ერთგული დარჩა (4, 15-16). ასევე, უნდა მოვიხსენიოთ დიმიტრი ბატონიშვილი, რომელსაც თანამედროვენი "ვოლტერად" იხსენიებდნენ. საქართველოში აშკარად შეინიშნებოდა ვოლტერის იდეალიზაცია, რომელიც მაშინდელ პროგრესულ მსოფლიოში აღიარებული იყო კულტურის მოღვაწის მწვერვალად, ფილოსოფიური აზრის სიდიადედ, მხატვრული გემოვნების სრულყოფად და დრომოჭმული სახელმწიფოებრივი წყობილებისადმი პროტესტის განსახიერებად. ალ. ჩოლოყაშვილი სოლომონ დოდაშვილისადმი მიწერილ ბარათში აღნიშნავდა: "რუსო და შენ გამონაკლისი ხართ"-ო (3, 49-444-5).

ზემოთ მოყვანილი ამონარიდებიდან ნათლად ჩანს, რომ ქართველ თვადაზნაურებს თავიანთი ვოლტერი და ჟან-ჟაკ რუსო ჰყავდათ. ცხადია, აღნიშნულ ისტორიულ

პიროვნებებს შორის გარკვეული იდეური ნათესაობა იგულისხმება.

ფრანგ განმანათლებელთა იდეებით ქართველთა დაინტერესება იმითაც იყო განპირობებული, რომ ისინი ეროვნული საკითხის გადაწყვეტას ახლებურად უდგებოდნენ, მოითხოვდნენ ერთა თანასწორუფლებიანობას, ყველა ერის სუვერენიტეტის დაცვას, ერთა კულტურულ თანამშრომლობას, საყოველთაო მშვიდობის დამყარებას, ყოველივე ეს კი პირდაპირ ემთხვეოდა ქართველ მოაზროვნეთა ინტერესებს. XIX საუკუნის პირველი მეოთხედის მოვლენების შესახებ პროფ. გ. გოზალიშვილი მართებულად აღნიშნავს, რომ "XIX ს. პირველი ნახევრის საქართველო მსოფლიო პროგრესის საერთო ფერხულიდან გამორიცხული არ ყოფილა" (3, 32). მკვლევარი დასძენს, რომ ელიზბარ და გიორგი ერისთავები, ვახტან ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი, ფილადელფოს კიკნაძე, ზაქარია ჩოლოყაშვილი და სხვა ევროპული ტიპის მოაზროვნეები ღრმა განათლების ადამიანები იყვნენ, რომლებიც ნამდვილად არ ჩამორჩებოდნენ თავიანთი საქმიანობითა და იდეებისადმი ერთგულებით იმდროინდელი მსოფლიოს პროგრესულ მოღვაწეთა პლეადას (3, 32).

ქართველ მოაზროვნეთა შეხედულებებმა და გამოსვლამ არსებული მდგომარეობის შეცვლის მიზნით "უდიდესი როლი ითამაშა ქართველი ხალხის განმანთავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში. ქართული სახელმწიფოს ტიპი _ კონსტიტუციური (საპარლამენტო) მონარქია და რესპუბლიკური მმართველობა იმ დროისათვის სახელმწიფო მმართველობის პროგრესულ ფორმებს წარმოადგენდა და მეტყველებდა ქართველ მოღვაწეთა მაღალ საზოგადოებრივ აზროვნებასა და ევროპული ღირებულებების ერთგულებაზე.

XIX საუკუნის 30-იანი წლების ქართველმა მოაზროვნეებმა თავიანთი შემოქმედებითა და მოღვაწეობით არაერთ ისეთ იდეას ჩაუყარეს საფუძველი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ამავე დროს, თავისი ცხოველმყოფელობით გაუძლო ჟამთა გამოცდას და დღესაც, მესამე ათასწლეულის პირველ მეოთხედშიც ინარჩუნებს აქტუალობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარამია ლ. 1832 წლის შეთქმულების შესახებ საქართველოში, თბ., 1951, "განათლება";
2. ბენდიანიშვილი ალ. ეროვნული საკითხი საქართველოში 1800-1921, თბ., 1986, "მეცნიერება";
3. გოზალიშვილი გ. 1932 წლის შეთქმულება, თბ., 1970, "მერანი";
4. გაფრინდაშვილი მ. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ნარკვევები, თბ., 1988;
5. მაკალათია ს. ერეკლე მეორის გმირობა და თავდადება, თბ., 1942;
6. ორბელიანი გრ. "საღამო გამოსალმებისა", თბ., 1988;
7. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973. "საბჭოთა საქართველო";
8. შველიძე დ. 1932 წლის შეთქმულებრივი მოძრაობის ისტორიიდან, თბ., 2014, "უნივერსალი";
9. ჯოლოგუა თ. "ერთი უმართებულო მტკიცებულების გამო", იხ.: ჟურნ. "კლდეკარი", #1, თბ., 1992.

SUMMARY

Nino Gomarteli,
Professor,Georgian Technical University

The long-term work of Georgian patriots has been duly appreciated in Georgian society, scientific literature or writing. Over time, the affairs of famous people become more exciting, and we are rightfully proud of the heroic deeds of our great ancestors. Among worthy patriots are Georgian thinkers, leading representatives of the aristocracy itself, who tirelessly fought for the renewal and improvement of the Georgian state system.

The level of culture, science and civilization of the nation as a whole has always been determined by how he participated in the Enlightenment movement, how he assimilated and used the ideas of the Enlightenment in the national interests of his country. Public opinion in Georgia has always had a definite tendency to develop in a European way. This tendency was felt in Georgian political thought in the first quarter of the 18th-19th centuries. Georgian thinkers were not only familiar with European theories, doctrines, new ideas, but also helped them in their own way. The goal of the Georgian thinkers was the better future of their country, and therefore they tried to use the cultural and scientific achievements of the advanced countries of Europe for the good of the country, relying on their own national traditions. It is no coincidence that the eighteenth century had a great influence on the formation and development of political thought in a later period.

შედარებითი სტილისტიკა

ეკატერინე მარუაშვილი
ფილოლოგიის დოქტორი
მეგი ხურციძე-მანდარია
ფილოლოგიის დოქტორი

შედარებით სტილისტიკაში ახალი მეთოდების პირველი გამომყენებელია გ. ბარტი. მისი შრომა სამი თვალსაზრისით განსხვავდება შედარებითი სტილისტიკის იმ შრომებისაგან, რომლებიც მას უსწრებდა: 1. ბარტმა თავისი შემოფარგლა მეტყველების ნაწილებით, 2. იგი ერთმანეთს ადარებს სამ ენას (და არა ორს, როგორც წინა შრომებში), 3. ეყრდნობა სტატისტიკურ მონაცემებს. როგორც გ. ჰერდანი აღნიშნავს, ბარტის შრომა გამართულია ლინგვისტური თვალსაზრისით და ამავე დროს, ზუსტად აკმაყოფილებს სტატისტიკურ მოთხოვნებს.

სამი სხვადასხვა ენა, რომელთაც ავტორი ადარებს, არის ფრანგული, ინგლისური და ესპანური. ყოველი ენისათვის ბარტი იღებს სამ-სამი ავტორის სამ-სამ მოთხრობას და მათ თარგმანს დანარჩენ ორ ენაზე. იგი აკვირდება მხოლოდ მეტყველების ნაწილებს (ტრადიციული დაყოფით), არ ითვალის ნაწევრებს, რადგან ნაწევარი მოცემულ სამივე ენაში ერთნაირად გვხვდება, ვინაიდან მისი გამოყენება გრამატიკით არის გამოწვეული. გამოთვლა ხდება მეტყველების ნაწილებით და არა სიტყვებით.

სტატისტიკური დაკვირვება წარმოებს 1. მეტყველების ნაწილთა სიხშირეზე ტექსტში და 2. მეტყველების ყოველგვარი ტრანსპოზიციების რაოდენობაზე თარგმანში. კერძოდ, სათარგმნი ენის ესა თუ ის მეტყველების ნაწილი მეტყველების რა ნაწილით ითარგმნება. დაკვირვების შედეგები მოცემულია ცხრილებში, სადაც განხილულია არსებითი სახელი, ზმნა, ზედსათავი სახელი, ზმნიზედა, წინდებული და მათი გადასვლები სხვა ორ ენაში. წარმოდგენილია ტრანსპოზიციათა გამოთვლების რიცხობრივი შედეგებია. ლინგვისტური თვალსაზრისით ეს არის მიმართებები და ფაქტები, რომლებიც ანალიზისას ამოტივტივდა. მათ საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ რომანულ ენებში შეიმჩნევა არსებითი სახელისათვის უპირატესობის მინიჭება, მაშინ როცა, ინგლისურში სემანტიკური დატვირთვა განაწილებულია უფრო მეტად ზმნიზედაზე, ზმნაზე, ზედსათავსა და წინდებულზე. ეს იმას ნიშნავს, რომ რომანული ენები ნაკლებ მოქნილია, ვიდრე ინგლისური. აღსანიშნავია ისიც, რომ ინგლისურში მოქმედებისა და მოძრაობის გამოხატვა ზმნიზედასა და წინდებულების საშუალებით ხდება, მაშინ როცა, რომანულ ენებში, ფრანგულსა და ესპანურში, ეს იდეები უმეტესად ზმნით გამოიხატება. ამიტომ უდიდესი სემანტიკური დატვირთვა რომანულ ენებში აქვს ზედსათავებსა და ზმნებს.

ინგლისურიდან ფრანგულსა და ესპანურზე თარგმნისას გამოირკვა, რომ ესპანური ენა არ არის განწყობილი ზმნიზედური სტრუქტურებისადმი ორივე ტიპის თარგმნისას. სახელდობრ, ბევრად დაბალია ზმნიზედის სიხშირე ესპანურში, ვიდრე ინგლისურსა და ფრანგულ სათარგმნ ტექსტებში.

ეს ისეთი თავისებურებებია, რომლებიც თითქმის არ იყო ცნობილი, ან თუ იყო, ზუსტად და მტკიცედ არ დადგენილა. ამდენად ამ შედეგებს დიდი მნიშვნელობა აქვს ლინგვისტური თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ ბარტმა რაოდენობრივი მახასიათებლები აიღო აბსოლუტური სახით, მათემატიკური ანალიზის გარეშე. ჰერდანი დაინტერესდა ბარტის მონაცემების სტატისტიკური დამუშავებით: დაემთხვა თუ არა ბარტის დასკვნები მათემატიკური ანალიზის შედეგად მიღებულ დასკვნებს?

ბარტის მონაცემებში კარგად ჩანს ტრანსპოზიციის ცალკეულ ტიპთა შეფარდებითი

სიხშირის სტაბილურობა წყვილ-წყვილი ენებისათვის. მაგალითად, სათარგმნ ენაში – ფრანგულში – სახელთა ტრანსპოზიციის პროცენტი, თუ თარგმნა წარმოებს ინგლისურად, არის დაახლოებით 38%, ზმნისა – 43%, ზედსართავისა – 11%, ზმნიზედისა – 6% და ნაცვალსახელის და კავშირებისა ერთად – 2%. მეტყველების ამ ნაწილთა რედისტრიბუცია თარგმანში გვაძლევს არსებითი სახელებისათვის დაახლოებით 26%, ზმნიზედისათვის – 16%, ზედსართავისათვის – 33%, ზმნიზედებისათვის – 25%, ნაცვალსახელებისა და კავშირებისათვის – 2%. ამ პროცენტთა სტაბილურობა ისეთივეა, რომ შეიძლება ითქვას – ენათა შორის თარგმნა არის ტრანსპოზიციათა გარკვეული კანონების საგანი.

მეტი სიზუსტისა და პრობლემის ალბათური თვალსაზრისით გაშუქებისათვის ჰერდანი ადგენს მოცემული ტრანსპოზიციების ალბათობას, რაც იმას ნიშნავს, რომ მთარგმნელს გააჩნია ტრანსპოზიციათა სივრცე და ამ სივრცეში იგი უპირატესობას ანიჭებს ტრანსპოზიციათა გარკვეულ ტიპს. ეს იგივეა, რომ განსაზღვრული სტატისტიკური კანონები მართავენ თარგმნის სტილს. მთარგმნელს აქვს მეტყველების მსგავსი ან გასხვავებული ნაწილების არჩევანი. ტრანსპოზიციათა გარკვეული ტიპისათვის უპირატესობის მინიჭება მის საქმეა. სწორედ ეს არის მთარგმნელის სტილი, რომელიც აქ პოულობს გამოხატულებას [3; გვ. 192].

ჩვენ არ განვიხილავთ ჰერდანის მიერ დამუშავებულ ბარტის მონაცემებს, მხოლოდ ავღნიშნავთ, რომ ჰერდანი იძლევა ოთხ რაოდენობრივ მონაცემს (P1, P2, ƶ1, ƶ2), რომლებიც სავსებით განსაზღვრავენ ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმნას. ეს მაჩვენებლები ალბათურია. იყენებს რა გრაფიკულ ანალიზს, ჰერდანი მიღებული შედეგების საფუძველზე ასკვნის, რომ არსებობს სტატისტიკური კანონები, რომლებიც მართავენ თარგმნას და რომ ამ კანონების ცოდნით შეიძლება ავიცილოთ თავიდან მრავალი ალგორითმის აგება კომპიუტერული თარგმნისას, რაც ხდება იმ მიზნით, რომ გათვალისწინებულ და თარგმნილ იქნეს ყოველი შესაძლო სათარგმნი ფრაზა. თარგმნის სტატისტიკური კანონების დადგენა ენის ინჟინერს შესაძლებლობას მისცემს ობიექტურად გადწყვიტოს რომელი ტრანსპოზიცია არის ღირებული ალგორითმისათვის და რომელი არა. ასე, მაგალითად, თუ მეტყველების განსაზღვრული ნაწილის ტრანსპოზიციის სიხშირე 2%-ს არ აღემატება (შესაბამისად დაბალი იქნება ალბათური მაჩვენებელიც), მას არ მიექცევა ყურადღება და თარგმნა იწარმოებს ტრანსპოზიციის გარეშე.

ტექსტების ქრონოლოგიური განლაგება

მეტყველების სტილზე სტატისტიკური დაკვირვებები, რასაც ენათმეცნიერები აწარმოებდნენ, თავდაპირველად ატარებდა იმ მიზანს, რომ დადგენილ იყო პიესებისა თუ პოეტური ნაწარმოებების ადგილი იმავე ავტორების ქრონოლოგიურად განლაგებულ ნაწარმოებთა რიგში.

ასეთი ცდებისას, ჩვეულებრივ მკვლევარი ადგენს გარკვეულ ფორმათა სიხშირეს ყოველ გნსხვავებულ ტექსტში. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ცალკეული ფორმების ხმარება მწერლის შემოქმედებითი პერიოდისათვის იყო დამახასიათებელი, რაც აძლევს საშუალებას ნაწარმოებები განალაგოს ქრონოლოგიურად.

ასეთი კვლევის ნიმუშად მოვიტანთ პ. გიროს მიერ ა. რემბოს ლექსების ციკლის “ილიმინაციების” დათარიღებას. არსებობდა მოსაზრება, რომ ეს ლექსები დაწერილია ““Saison en Enfer” - ის შექმნის შემდეგ.

დააკვირდა რა “ილუმინაციებს” და შეისწავლა რა მისი ლექსიკა, გირომ დაადგინა, რომ ეს ლექსიკა ძალზე მდიდარია, უფრო მდიდარი, ვიდრე “ბოროტების ყვავილების”, მალარმეს პოეზიისა და კლოდელის ხუთი ოდის ლექსიკა. ეს უკვე იყო “ილუმინაციების” სტილის ერთი თავისებურება. საჭირო გახდა რემბოს ყველა ნაწამოების შესწავლა ლექსიკის სიმდიდრის თვალსაზრისით. გირომ შეისწავლა

პოეტის მთელი შემოქმედება სტატისტიკურად და დაადგინა ყოველი ქრონოლოგიური პერიოდისათვის სიტყვათა მთელი ხდომილებანი და განსხვავებულ სიტყვათა რაოდენობები (რაც გამოხატა ბილოგარითმული გრაფით), მეორე მხრივ, გამოთვალა იმავე პერიოდებისათვის ორი კოეფიციენტი – ლექსიკური და სინტაქსური. პირველი აღნიშნავდა სიტყვის საშუალო სიგრძეს (ითვლებოდა მხოლოდ მარცვალთა რაოდენობა), მეორე აჩვენებდა არსებითი სახელის დამატებათა ტიპისა, შეფარდებას თვისობრივი ზედსართავი სახელების რაოდენობასთან.

გადაზომა რა ლექსიკური მაჩვენებლის მნიშვნელობები ორდინატზე, ხოლო სინტაქსური მაჩვენებლის მნიშვნელობები აბსცისთა ღერძზე, გირომ მიიღო მრუდი, სადაც "ილუმინაციებმა" ისეთივე ადგილია დაიკავა ქრონოლოგიურად განლაგებულ ნაწარმოებთა მიმდევრობაში, როგორც ლექსიკის სიმდიდრის გამომხატველ ბილოგარითმულ გრაფაში. მრუდმა უჩვენა, რომ რემბოს სტილის ევოლუცია სავსებით რეგულარული და ჰომოგენურია და, რომ "ილუმინაციები" მოთავსებულია ამ ევოლუციის გამომხატველი მრუდის იმ წერტილზე, რომელიც მოსდევს 1873 წელს. ეს თარიღი კი აღნიშნავს "Saison en Enfer" შექმნის დროს. ე.ი. "ილუმინაციები" უფრო გვიან ყოფილა დაწერილი. ასეთი იყო ჰიპოთეზაც.

რემბოს შემოქმედების ზოგად კანონზომიერებას არღვევდა მხოლოდ 1872 წელს დაწერილი ლექსები. სახელდობრ, ისინი აგრძელებდნენ სინტქსურ ევოლუციას, მაშინ როცა, სიტყვათა სიგრძე რეგრესს უჩვენებდა. ამ გამონაკლისს გირო ასე ხსნის: ამ პერიოდში (1872) რემბო იმყოფებოდა ვერლენისა და ის პოეზიის გავლენის ქვეშ, რაც ბეჭდად აზის 1872 წელს დაწერილ ყველა ლექსს. ამ ლექსებსა და "უსიტყვო რომანსებს" (Romances sans parols) შორის აშკარა სტილისტიკური ანალოგიაა.

რემბოს შემოქმედების ზოგადი კანონზომიერებიდან ამ გადახრამ გირო მიიყვანა დისპერსიის გამოყენებამდე. ამ ახალი მაჩვენებლის მიმართ "ილუმინაციებმა" განსაკუთრებული ადგილი დაიკავა, მან უჩვენა ცვალებადობის მაღალი კოეფიციენტი, ე.ი. ლექსების ეს ციკლი ნაკლებად ჰომოგენიური აღმოჩნდა, ვიდრე რემბოს ეგონა. იგივე დაადასტურა სხვა სერიების შესწავლამ. დადგინდა, რომ "ილუმინაციები" იმ ლექსების კრებულია, რომლებიც დაიწერა 1872 და 1874 ან 1875 წლებში, ხოლო 43 ლექსიდან რომელი რომელ წელს დაიწერა, ამის დადგენა ვერ მოხერხდა. გირო წერს, რომ მხოლოდ სტატისტიკური ანალიზის ფარგლებში ეს ყოვლად შეუძლებელია. როგორც ჩანს, მსგავსი სამუშაოები დიდ შრომას მოითხოვს, სანამ რაიმე დადებით შედეგს მივიღებდეთ. თვითონ გიროს რემბოს ნაწარმოებთა ქრონოლოგია დამთავრებულად არ მიაჩნია, რასაც ხშირად აღნიშნავს ხოლმე.

ტექსტების დათარიღებასთან დაკავშირებით, საყურადღებოა ჰერდანის ცდა შეემოწმებინა ჩოსერის ნაწარმოებთა ქრონოლოგიური განლაგება მერსანდის ჰიპოთეზის მიხედვით. ეს ჰოპოთეზა გულისხმობს, რომ ჩოსერის ლექსიკაში რომანული სიტყვები მოგვიანო წლებში შევიდა. ჰერდანი იყენებს რა მერსანდის მონაცემებს, ალაგებს ტექსტებს იმ ქრონოლოგიური რიგით, რასაც სხვადასხვა სპეციალისტებიც იზიარებდნენ მათ შორის მერსანდიც. მაგრამ მონაცემთა მათემატიკურმა დამუშავებამ გამომაჟღავნა, რომ რომანული სიტყვების ხმარების პროცენტი იზრდება ტექსტის სიგრძის ზრდასთან და არა ქრონოლოგიასთან დაკავშირებით. ჰერდანმა დაადგინა, რომ მერსანდის ჰიპოთეზას არ ამაგრებს სტატისტიკური მონაცემები. საყურადღებოა ჰერდანის მსჯელობა: სტატისტიკური კვლევისას არ უნდა აირიოს ორი ასპექტი – სტატისტიკური და ფილოლოგიური. ტექსტის დახასიათება ლინგვისტიკურ ფორმათა გამოყენებითი პროპორციებით დესკრიფციული სტატისტიკის საქმეა, მაგრამ მიღებული რიცხობრივი მაჩვენებლების დაკავშირება მწერლის სტილის განვითარების განსაზღვრულ პერიოდთან არის არა სტატისტიკის, არამედ ფილოლოგიის ამოცანა. თუნდაც სტატისტიკური დახასიათება ზედმიწევნით სწორი იყოს, ეს სრულიად არ ცვლის საქმის ვითარებას, რადგან

სტატისტიკა თავისი აპარატით მხოლოდ იარაღია ფილოლოგიური კვლევებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პ. გირო „Problems et methods de la statistique Linguisique“, Paris, 1960
2. პ. გირო „L’evolution statistique du style de Rimbaund et le probleme des Iluminations, Mercure de France“, Oct. 1954.
3. ვიკიპედია, თავისუფალი ენციკლოპედია.

რეზიუმე

სტილისტური კვლევისას ინდივიდუალურობა, თუ თავისებურებათა რაღაც კომპლექსი, ხშირად ,,დაუჭრელი'' ხდება, ან წინასწარ გვგონია მწერლის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი, კვლევისას გამოირკვა, რომ ეს არ ყოფილა თავისებური და ტიპობრივი, რომ ამ ,,თავისებურებით'' ერთი მწერალი სრულებით არ გამოირჩევა სხვა მწერლებისაგან.

RESUME

“Comparative Stylistics

In stylistic research, individuality, if some complex of peculiarities, often becomes “unbreakable”, or we think in advance characteristic of the writer’s work, the study revealed that it was not peculiar and typical that one writer is not completely different from other writers. A more ambitious goal may even be sought: the standardization in the definition of the labels conventionally applied to different speaking styles. If the same label was consistently applied to the same material, cross-style and cross-language comparisons could be easier to make, since, at least, each researcher will use the same term to define the same reality

ელექტრონული შესყიდვა, როგორც რეინჟირინგული პროცესი

ეკატერინე ვეფხვიაშვილი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვა; რეინჟირინგი; შესყიდვის პროცესი; ელექტრონული შესყიდვების სარგებლიანობა.

შესავალი

ეკონომიკის გლობალიზაციამ და ბაზარზე კონკურენციის გაძლიერებამ აჩვენა, რომ გადაუდებლად აუცილებელია ბიზნეს-პროცესების სრულყოფა. ძირითადად, ამას სამი მიზეზი განაპირობებს. ერთი, რომ დროთა განმავლობაში ბიზნეს-პროცესების მართვის დონე ქვეითდება, მეორე, რომ თუ კომპანია არ იზრუნებს ბიზნეს-პროცესების სრულ¬ყოფაზე, მას ამ საქმეში აჯობებს კონკურენტი და, მესამე, რომ მომხმარებელს კომპანიისგან სულ უფრო უკეთესი მომსახურების მოლოდინი აქვს, რომელიც მხოლოდ ბიზნეს-პროცესების გაუმჯობესებით მიიღწევა.

სახელმწიფო შესყიდვები ჩვეულებრივი ბიზნეს-პროცესებია. მასში ჩართულია მყიდველიც და გამყიდველიც. მართალია, ეს პროცესი შეზღუდული კონკურენციის პირობებში მიმდინარეობს, მაგრამ, ეს დიდად არაფერს ცვლის, რადგან, როცა ეს პროცესი უმჯობესდება, ორივე მხარის სარგებლიანობა იზრდება.

წინამდებარე სტატიაში საქონლის (მომსახურების, სამუშაოს) სახელმწიფო შესყიდვის პროცესის გაუმჯობესებაზე, ანუ რეინჟირინგზე არის საუბარი. რეინჟირინგად მიჩნეულია ელექტრონული შესყიდვა.

ძირითადი ტექსტი

მეურნეობის მართვის საერთო სისტემაში ელექტრონული ვაჭრობა (ელექტრონული წესით მომსახურება) შედარებით ახალი საქმეა. იგი შეეხო როგორც ფიზიკური საქონლის (ტანსაცმელი, მანქანები და სხვა), ისე ციფრული საქონლის (ფინანსური ინფორმაცია, საცნობარო მასალა, გასართობი და მულტიმედიანური პროდუქტები და მრავალი სხვა) ყიდვა-გაყიდვას.

ელექტრონული ვაჭრობის განვითარება დაიწყო გასული საუკუნიდან, თუმცა, მისი აქტივიზაცია მიმდინარე საუკუნის პირველ ათწლეულში მოხდა, რაც შესაძლებელი გახდა ინტერნეტის დახმარებით ანუ „მთელი მსოფლიო ქსელით (www)“. ინტერნეტის გავრცელებამ, რომელიც გაცვლა-განაწილების ახალი არხის როლშიც მოგვევლინა, სავაჭრო ორგანიზაციებიდან ძალაუფლება გადასცა მყიდველებს (მომხმარებლებს). მყიდველებს ინტერნეტით შეუძლიათ ადვილად მოიძიონ საქონელი, მომსახურება და გაიგონ თუ ვინ ყიდის და რას ყიდის. ამ შემთხვევაში, ელექტროქსელი ხდება შესყიდვის პროცესის ნაწილი, სწრაფად იზრდება ქსელის გამოყენება ყიდვამდე და ყიდვის შემდეგ, საქონლის შეძენის წყაროდან დამოუკიდებლად [1].

ელექტროვაჭრობა არის სამი სახის [2, გვ. 352-355]:

1. საწარმოებს და მომხმარებლებს შორის (B-t-C).
2. მომხმარებლებს შორის (C-t-C).
3. მომხმარებლებსა და საწარმოებს შორის (C-t-B).

წინამდებარე სტატიაში ჩვენ ვიხილავთ C-t-B ტიპის ელექტროშესყიდვებს. ეს არის შესყიდვა, რომლის ინიციატორი მწარმოებელი (საწარმო) კი არ არის, არამედ, არის მყიდველი. სახელმწიფო შესყიდვებში ეს სწორედ ასეა. მყიდველი არის შესყიდვების სააგენტო და სწორედ ის უკეთებს ინიცირებას შესყიდვის ტრანსაქციას. ის ელექტრო¬ქსელის საშუალებით აქვეყნებს საკონკურსო განაცხადს, რომელშიც

ჩანს, რა საქონელს შეისყიდის, რა რაოდენობით და რა „სავარაუდო ფასად“.

სახელმწიფო შესყიდვებში დანერგილი ეს სიახლე თავისი არსითაც და ფორმითაც არის რეინჟირინგი. შესყიდვების პროცესის გაუმჯობესება ძირითადად, რეინჟირინგით მიმდინარეობს. მისი არსი პროცესის ინოვაციაში, ანუ პროცესის ახლებურად მართვაში მდგომარეობს. რეინჟირინგის თეორიის ფუძემდებლად მ. ჰამერი ითვლება. მან რეინ¬ჟირინგი განმარტა, როგორც „ბიზნესის პროცესებში გადაწყვეტილებების ძირეული გადააზრება და საქმიანობის კრიტიკულად მნიშვნელოვან მაჩვენებლებში ძირეული გაუმჯობესების მიღწევის მიზნით რადიკალური ცვლილება“ [3, გვ. 17]. მან ასეთ მაჩვენებლებად დაასახელა ხარჯები, ხარისხი და მომსახურების სისწრაფე.

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვები ევროკავშირის თანადგომით 2010 წელს ელექტრონულ მომსახურებაზე გადავიდა. ანუ ე. წ. ტრადიციული „პასტა-ფურცლის“ მეთოდის ნაცვლად აუქციონებზე დაიწყო ელექტროვაჭრობა. გაუმჯობესდა შესყიდ-ვების ხარისხიც, შემცირდა ბიუჯეტური ხარჯებიც და რაც მთავარია, დაიზოგა დიდძალი დრო.

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ შესყიდვებში ელექტრონი-ზაციის გატარებით ფაქტიურად გაიმეორა რეინჟირინგის ტიპიური სქემა - მოახდინა შესყიდვის პროცესების იდენტიფიცირება, ჩაუატარა მათ ანალიზი და გადაგეგმა ახლე¬ბურად, შეადგინა სამომავლო რედიზაინი და განახორციელა ტრადიციული შესყიდვის პროცესის ელექტრონულ შესყიდვაზე გადაყვანა. ამის გარდა, თუ დავაკვირდებით საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ქმედებებს შესყიდვებში ელექტრონული წესის დანერგვის საკითხში დავინახავთ, რომ მან გადაწყვიტა ყველა ის ამოცანა, რომელსაც რეინჟირინგი წყვეტს. ეს ამოცანებია: შესასრულებელი ფუნქციების თანამიმდევრობის ოპტიმიზაცია, პროცესების ადაპტირება მყიდველების მომსახურების ხარისხის ასამაღლებლად, რესურსების გამოყენების ოპტიმიზაცია, პარტნიორებთან (მოცემულ შემთხვევაში მომწოდებლებთან) ურთიერთობის ოპტიმიზაცია.

ყველა ამ ამოცანის გადაწყვეტით მან მიიღო დროის დიდი ეკონომია. ეს როგორც ვერტიკალურად, ისე ჰორიზონტალურად შესყიდვის პროცესების „შეკუმშვით“. პროცესების „ვერტიკალური შეკუმშვა“ ელექტრონულ შესყიდვებში გამოიხატა ზოგიერთი შესყიდვების ცენტრალიზებულად წარმართვაში, „ჰორიზონტალურად შეკუმშვა“ კი გამოიხატა ერთნაირი შესყიდვების გაერთიანებაში (შესყიდვების ელექტრონულად ჩატარებამდე შესყიდვების სააგენტო საჯარო ორგანიზაციების ყველა შეკვეთას, თვით ერთნაირ საქონელზეც კი, ცალ-ცალკე შეისყიდიდა, ელექტრონული წესის დანერგვის შემდეგ კი, იგი მსგავს საქონლებს თუ მომსახურებას ერთ ლოტად აერთიანებს).

არის კიდევ სხვა მსგავსება ელექტრონულ შესყიდვებსა და რეინჟირინგს შორის. ეს არის პროცესების მრავალვარიანტულობა და მიმდინარეობის პარალელურობა და აგრეთვე სპეციალური გუნდის შექმნა ამ სიახლის გასატარებლად და შემდეგში მის სახელმძღვანელოდ. საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ასეთი გუნდის სახით 2010 წელს შეიქმნა ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი, რომელიც დღემდე ხელმძღვანელობს შესყიდვებს საქართველოში. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დეპარტამენტში მომუშავე 8-კაციანი კოლექტივი მუდმივმოქმედი გუნდია. ისინი გადა¬პროექტებულ შესყიდვის პროცესს ხელმძღვანელობენ. თვით გადაპროექტება კი მოახ¬დინა ევროპულმა ე. წ. „ვირტუალურმა“ გუნდმა.

ასე რომ, ამ თვალსაზრისითაც სახელმწიფო შესყიდვების გადაყვანა ელექტრონულ წესზე არის რეინჟირინგი.

რეინჟირინგის გატარება წარმატებულია მაშინ, როდესაც არსებობს მისთვის სათანადო პირობები, კერძოდ, როცა ორგანიზაციის ხელმძღვანელობას კარგად ესმის პრობლემა, ორგანიზაციაში დასაქმებულებსაც აქვთ სწრაფვა გაუმჯობესებისკენ,

ორგანიზაციას ჰყავს კონსულტანტები, რომლებიც ურჩევენ მას და უთითებენ, რომ რეინჟირინგის გატარება არის საჭირო და სხვა. ვერ ვიტყვით, რომ 2010 წლისთვის, როცა საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო შესყიდვების პროცესის ელექ¬ტრონულ წესზე გადაყვანას შეუდგა, მას ყველა ეს პირობა ჰქონდა, და თვითონაც განცობიერებული ჰქონდა ამის აუცილებლობა. ამ დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს ის გარემოება, რომ საქართველოში შესყიდვების ელექტრონიზაცია მოახდინეს ევროპელმა სპეციალისტებმა და საქართველომ კი, ეს გააკეთა იმ ვალდებულებების ფარგლებში, რომელიც მან აიღო ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით (ACFTA). ასე რომ, ეს დიდი და კარგი საქმე, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს შესყიდვებში 2010 წელს განხორციელდა, სწორედ ევროპული გამოწვევების პასუხი იყო.

სახელმწიფო შესყიდვების ელექტროსერვისების პარალელურად ევროკავშირის რეკომენდაცია იყო მუდმივოქმედი გუნდის შექმნა ელექტროშესყიდვების სახელმძღვა¬ნელოდ. საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ ამისთვის შექმნა სპეციალური ინფორმაციული (წამყვანი პროგრამისტი, უფროსი პროგრამისტი, ქსელის ადმინისტრატორი და სხვები) ყოველდღიურად ჩართული არიან და უზრუნველყოფენ ქვეყანაში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას ელექტრონული წესით. ასე რომ, ევროკავშირის ეს რეკომენდაციაც ამ საკითხში საქართველომ მაღალ დონეზე შეასრულა.

რეინჟირინგის დასასრულს ყოველთვის ხდება მისი ეფექტიანობის გაანგარიშება, ანუ იანგარიშება სიახლის შედეგი. ასეთი გაანგარიშება სახელმწიფო შესყიდვების სამსა¬ხურს დღემდე არ ჩაუტარებია, არადა, სახელმწიფო შესყიდვებში ელექტრონული წესის დანერგვაზე ბიუჯეტიდან დიდძალი სახსრები დაიხარჯა. ამ სიახლით მიღებული მოგების გამოანგარიშება „დანახარჯი-სარგებლიანობა“ მეთოდით, ალბათ, მეტად რთული იქნება, რადგან არ ვიცით, კიდევ რამდენ ათეულ წელს იმუშავებს ელექტრონული შესყიდვების მეთოდი (გაანგარიშების ჰორიზონტის ცოდნის გარეშე კი, ეკონომიკური სარგებელი ვერ დაითვლება), მაგრამ შეიძლებოდა შესყიდვების „პასტა-ფურცლის“ ტრადიციული მეთოდის ნაცვლად ელექტრონული შესყიდვების დანერგვით მიღებული დროის ეკონომიკის გამოანაგრიშება.

ამის საანგარიშო ფორმულა არსებობს [4, გვ. 124]. ჩვენ მხოლოდ მოვახდინეთ მისი გამარტივება და იგი წარმოვადგინეთ შემდეგნაირი ფორმით:

ფორმულაში:

$$N = \frac{\sum_{j=1}^{n} J_{io}}{\sum_{J=1}^{n} J_{i1}}$$

N - არის ელექტროშესყიდვების დანერგვით დროის შემჭიდროვების კოეფიციენტი.

J_{io} - არის შესყიდვის პროცესზე დახარჯული დრო ელექტრომომსახურებაზე მის გადაყვანამდე.

J_{i1} - არის შესყიდვის პროცესზე დახარჯული დრო მის ელექტრომომსახურებაზე გადაყვანის შემდეგ.

აღნიშნული ფორმულა ერთ შესყიდვაზე დახარჯული დროის აღმნიშვნელია. თუ N ერთ მთელზე მეტია, ეს ნიშნავს, რომ ელექტროშესყიდვა იძლევა დროის

ეკონომიას, თუ ერთ მთელზე ნაკლებია, მაშინ არ იძლევა.

დასკვნა.

საქონლის, სამუშაოს თუ მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა ისეთივე ყიდვა-გაყიდვის პროცესია, რაც კერძო სექტორში ხდება. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ კერძო სექტორში კონკურენცია თავისუფალია, სახელმწიფო შესყიდვებში კი შეზღუ¬დული. 2010 წელს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ მომსახურებაზე გადაყვანა ეს იყო შესყიდვის პროცესის განახლება, ანუ რეინჟირინგი. შესრულდა რეინ-ჟირინგის ყველა პრინციპი, პირობა და გადაწყდა ყველა ამოცანა. არ გამოანგარიშებულა მხოლოდ ელექტრონული შესყიდვების ეკონომიკური სარგებლიანობა. ჩვენ მოვახდინეთ ელექტრონული შესყიდვების ეფექტიანობის გამოსაანაგრიშებელი არსებული ფორ¬მულის მოდიფიცირება მისი გამარტივების მიზნით და წარმოვადგინეთ იგი სტატიაში. ჩვენს მიერ შემუშავებული ფორმულით შეიძლება არა ყველა სახის ხარჯის, არამედ, მხოლოდ დროის ხარჯის ეკონომიის გამოანგარიშება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Hamer M., Champy J. Reenginering the Corporation: A Manifesto for Business Revolution, Harper Business, 1993.
2. IDG, 200-B, Boston Consulting Group, 2000.
3. ლობჟანიძე ვ. საერთაშორისო ბიზნესის მართვა და რეგულირება, „ლამპარი“, თბ., 2011.
4. რუსიშვილი ბ. ბიზნეს-პროცესების მართვა საქართველოს ენერგეტიკის სფეროში, თბ., 2019.

რეზიუმე

სტატიაში - „ელექტრონული შესყიდვა, როგორც რეინჟირინგული პროცესი“ განხილულია 2010 წელს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების გადაყვანა ელექტრონულ მომსახურებაზე და ეს სიახლე ჩათვლილია რეინჟირინგად. ამის დასადასტურებლად ერთმანეთს შედარებულია ამ ორი პროცესის, ე. ი. ელექტრონული შესყიდვების და რეინჟირინგის წინა პირობები და გადასაწყვეტი ამოცანები. დადგენილია მათი იდენ-ტურობა.

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვებში ელექტრონული მომსახურების დანერგვა ავტორს მიაჩნია მეტად საჭირო და ამასთან პროგრესულ ღონისძიებად, რადგან 21-ე საუკუნეში, ე. წ. „პასტა-ფურცლის“ ტრადიციული მეთოდით შესყიდვების განხორციელება, უკვე მიუღებელია.

ავტორი ასაბუთებს, რომ ელექტრონული შესყიდვები იძლევა დროის დიდ ეკონომიას და წარმოგვიდგენს ფორმულას, რომლის მეშვეობით შეიძლება მისი ანგარიში.

S U M M A R Y

Electronic Procurement as a Reengineering Process

Ekaterine Vepkhviashvili

Doctoral of Samtskhe-Javakheti State University

In the article - “Electronic Procurement as a Reengineering Process” it is discussed the transfer of public procurement in Georgia to e-services in 2010 and this news is considered with reengining. To prove this, these two processes are compared with each other, e.g. Prerequisites and tasks to be solved for e-procurement and re-accounting. Their identity has been established.

The author considers the introduction of electronic services in the state procurement of Georgia as a very necessary and at the same time progressive measure, because in the 21st century, so called Carrying out purchases using the traditional method of “pen and sheet” is already unacceptable.

The author argues that e-procurement saves a great deal of time and presents a formula through which one can account for it

Key words: Electronic state procurement; Reinstatement; Procurement process; The usefulness of e-procurement.

ტრადიციული და თანამედროვე კულტურის მახასიათებლები

მანანა გაგოშიძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

ხშირ შემთხვევაში გლობალიზაცია განიხილება როგორც მსოფლიო ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ინტეგრაციისა და უნიფიკაციის პროცესი. გლობალიზაციის პირობებში ეროვნული, კულტურული თვითმყოფადობა არაა წახალისებული და მხარდაჭერილი. არსებობს შიში, რომ კულტურული მრავალფეროვნება გარკვეულ კონფლიქტებს გამოიწვევს, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება არათუ სასურველია, არამედ აუცილებელიცაა. სხვა პირობებში კულტრული დაპირისპირება შეიძლება რეალობად იქცეს. უნდა ვიცოდეთ, რომ სახელმწიფოს ერთიანობა და კულტურული მრავალფეროვნება არ გამორიცხავს ერთმანეთს. ეს ორივე ერთდროულად შეიძლება სინქრონულად არსებობდეს. გლობალიზაციამ ინფორმაციის მოპოვების არნახული გასაქანი მისცა თანამედროვე ადამიანს. დღეს ყველაფერი ღია და ხელმისაწვდომი გახდა. არაფერი არ არის საიდუმლო და დაფარული. შეიცვალა ურთიერთობათა ნორმები, წესები, მიდგომები, დამოკიდებულებები და ა.შ. მიმდინარე რადიკალურმა ცვლილებებმა აქამდე არსებული ტრადიციული და სოციალური იერარქიები შეცვალეს საგრძნობლად. ადამიანები ერთ ადგილზე ვეღარ ჩერდებიან, ისინი მუდმივ მოძრაობაში იმყოფებიან, სოფლიდან ქალაქისკენ, ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყნისკენ და ა.შ. ყოველივე ეს ხელს უწყობს ეროვნულობის და ტრადიციულობის დაკარგვას.

მიმდინარეობს ადამიანებში მასობრივი ფსიქიკის მოშლა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ადრე „ჩვეულებრივი მოკვდავი“ დღეს აღზევებულია და პირიქით, ისინი, ვინც ადრე ძალაუფლებაში იმყოფებოდნენ, დღეს გავლენები დაკარგეს. ადრე თუკი ადამიანებს საერთო ინტერესები აერთიანებდათ, დღეს ყველა მათგანი პირადი და ინდივიდუალური მოთხოვნილებების წყურვილით არიან შეპყრობილნი. ასეთი ადამიანების რიცხვი თანამედროვე ეპოქაში გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. შედეგად კი ის მივიღეთ, რომ თითოეული ჩვენთაგანი საკუთარ ნაჭუჭში გამოიკეტა, ყველამ ერთმანეთს კარები ცხვირწინ მიუჯახუნა. გაიზარდა ეგოიზმი, ადამიანები გამოეკიდა რაოდენობას და ხელიდან გაუსხლტა ხარისხობრივი მაჩვენებელი. რეალური საფრთხის სწორად გაცნობიერების ნაცვლად, თანამედროვე ადამიანმა გამოსავლის ძებნა ვირტუალურ ურთიერთობებში დაიწყო. სამწუხაროდ ე.წ. „მსოფლიო აბლაბუდა“ გახდა თანამედროვე სამყაროს ფენომენი. ცხოვრების მანძილზე ჩვენ ვეძებდით ურთიერთობას მხოლოდ საკუთარი ეგოისტური ინტერესებიდან გამომდინარე და ეგოისტურ გამოვლენებში დავემსგავსეთ ერთმანეთს.

ეგოისტი ადამიანის მთავარი ამოცანაა გაერკვიოს საკუთარი სურვილების რეალურ ღირებულებაში და მარად ახსოვდეს: რასაცა გასცემს მისია, რაც არა - დაკარგულია. გასცემ სიყვარულს - მიიღებ სიყვარულს, გასცემ სითბოს - მიიღებ სითბოს, გასცემ უნდობლობას, შურს, სიძულვილს - მიიღებ შესატყვისს. სწორედ ამიტომ ინტერნეტი გვიქმნის შესაძლებლობას გლობალურად შევიგრძნოთ თვითოეული ადამიანის უბედურება - ეგოიზმი. ბუნებრივია, რომ უშუალოდ თვით ინტერნეტი ამას არ გვაძლევს, ის გვიქმნის ამის შესაძლებლობას. მაგრამ მას შეუძლია გააღრმავოს ადამიანებში ერთმანეთთან დაკავშირების საჭიროების აღქმა და შექმნას სოციალური და ევოლუციური დონეების შესაბამისად ადამიანთა

ჯგუფების გაერთიანების შესაძლებლობა იმისათვის, რომ ერთმანეთს გადასცენ საკუთარი ცოდნა და ენერგია, რათა უფრო ეფექტურად, უმტკივნეულოდ გადავიდნენ ევოლუციური განვითარების შემდეგ საფეხურზე. ამ ეტაპზე ინტერნეტი წარმოადგენს იმ საფეხურს, რომელზეც განვითარების პროცესში უნდა ავიდეს კაცობრიობის ნაწილი იმისათვის, რომ შემდგომში ვირტუალურ სამყაროდან გადავიდეს სულიერ სამყაროში. ეს შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როცა აღიქვამთ რომ ძალიან მყარი კავშირებით ვართ შეკრულნი, ერთი ორგანიზმის ნაწილი ვართ. ვირტუალური კავშირი არის მხოლოდ იმიტაცია, გონების მომზადება, მან მოშალა ყოველგვარი საზღვრები. სადაც არ უნდა ვიმყოფებოდეთ - ყოველთვის გვაქვს შესაძლებლობა ჩავერთოთ მსოფლიო ქსელში. მიუხედავად ეროვნებისა, რასისა ან რელიგიისა ჩვენ ადამიანები ვართ, ინტერნეტის მეშვეობით ჩვენ დედამიწელები გავხდით. მის მიერ შექმნილ სივრცეში ვირტუალურმა კავშირმა ფაქტიურად დაანგრია ნებისმიერი ხელისუფლების მოგონილი კანონები და დედამიწაზე ყველა თანასწორუფლებიანი გახადა. რას ნიშნავს ეს? მე, ისევე როგორც შენ, და როგორც ნებისმიერი სხვა ადამიანი გავხდით დედამიწის მფლობელნი - ერთის მხრივ და მისი პატრონები - მეორეს მხრივ. გლობალური სამყაროს რეალობა კი ისეთია, რომ ვერ ჩავიკეტებით მხოლოდ საკუთარ ინტერესებში არც ერთი ადამიანის ან ნახევარი სამყაროს მასშტაბით - ეს გლობალური სამყარო ამოგაგდებს, როგორც უცხო სხეულს და საუბარია არა იმაზე მოხდება ეს თუ არა, არამედ - რამდენად სწრაფად მოხდება ეს. რა თქმა უნდა, რამდენი ადამიანიც ცხოვრობს დედამიწაზე, იმდენი აზრიც არსებობს. თვითოეული ჩვენთაგანი ინდივიდუუმია და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ, ზუსტად განსაზღვრულ ევოლუციის ეტაპზე არსებობს, რაც განაპირობებს მის დამოკიდებულებას და მოსაზრებას თვითოეული საკითხის მიმართ. აბსოლუტურად იდენტური არც აზრი და არც ადამიანი არ არსებობს. მაგრამ, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ არსებობს იმდენი სიმართლე (ჭეშმარიტება) - რამდენი ადამიანიც ცხოვრობს დედამიწაზე.

იმავდროულად ის, რაც ერთი ადამიანისთვის მოცემულ ადგილას, მოცემულ დროში არის ჭეშმარიტი სრულიად განსხვავდება იმ სურათისგან, რომელსაც ხედავს სხვა. დრო გადის, იცვლება სივრცე, იცვლება ინდივიდუუმის ხედვა ან შეხედულება და შესაბამისად მისი ინდივიდუალური სიმართლე (ჭეშმარიტება). ის, რაც ერთი წამის წინ მიაჩნდა ჭეშმარიტებად, უკვე მოძველდა და არ შეესაბამება სიმართლეს. ახალი სიმართლე მოვიდა, რათა შეცვალოს ის ძველი იმისათვის, რომ შემდგომში ადგილი დაუთმოს შემდეგ ჭეშმარიტებას.გლობალური კულტურა და მასთან დაკავშირებული პროცესები მომდინარეობენ და სათავეს იღებენ თანამედროვე მსოფლიოს ძლიერი მეტროპოლიებიდან და კულტურის უმსხვილესი ცენტრებიდან. ესენი არიან თანამედროვე ახალი „კულტურული იმპერიები“. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი გლობალური კულტურა და კოსმოპოლიტური იდეები ყოველთვის წინააღმდეგობაშია და შეუთავსებადია სახელმწიფოს ძალისმიერ პოლიტიკასა და რაც ყველაზე მთავარია, თითოეული ქვეყნის კულტურულ მახასიათებლებთან. ზოგიერთ ქვეყანაში კულტურული გლობალიზაციის პროცესი დიდ წინააღმდეგობებსა და შეზღუდვებს აწყდება. ყოველი ქვეყნის კულტურა გამოირჩევა საკუთარი ბუნებით, სპეციფიკით, თვითმყოფადობით, ისტორიით, თვისებებითა და ტრადიციებით, ღირებულებებით, რომლებიც მეტ-ნაკლებად აფერხებენ ე.წ კულტურული იმპერიალიზმის მზარდ პროცესს. მაგრამ ხდება პირიქითაც, როდესაც ქვეყნის კულტურა იზღუდება, იჩრდილება ან ცვლილებას განიცდის გლობალური კულტურის მიერ. მიუხედავდ ამგვარი გავლენისა, ქვეყნის, ერის კულტურა მაინც ინარჩუნებს საკუთარ ბუნებას, რადგან მას გლობალიზაციის მავნე პროცესებისაგან გარკვეული სახის „თავდაცვითი მექანიზმები“ გააჩნია. აქ გარკვეულწილად, იგულისხმება ის მახასიათებლები,

რომლებიც თითოეული ერის, ეროვნული კულტურის განმასხვავებელ ნიშნებს მოიცავს. ესენია: 1) ეროვნული ხასიათი, 2) ისტორია, 3) ერისადმი კუთვნილების აღქმა და განცდა 4) დროის ფაქტორი, 5) გარკვეულ სივრცეში არსებობა, 6) ენა, 7) არავერბალური კომუნიკაცია, 8) ღირებულებანი და ფასეულობანი, 9) ქცევა: ნორმა, წესები, ტრადიციები და ჩვეულებები 10) სოციალური ჯგუფები, გაერთიანებები და კავშირები. გლობალიზაციის ერაში კულტურის თვითმყოფადობისა და მისი თვისებების შენარჩუნება დამოკიდებულია თავად იმ ქვეყნის, ერის, მოსახლეობის ეროვნულსიძლიერეზე,თურამდენადააისეროვნულადშეკრულიდაგაერთიანებული, რამდენად ძლიერი, ღრმაა მათი კულტურული მახასიათებლები, ისტორიული ფესვები, რამდენად ფასეულია ეს ტრადიციები, რამდენად მიიღებს მათი კულტურა გარედან შემოსულ გლობალურ გარდაქმნებს. მიუხედავად იმისა, რომ ერის როლი და მისი ფუნქცია სწორედ ამგვარი გარდაქმნების ფონზე საგრძნობლად შესუსტდა, იგი მაინც არსებობს და ზოგ ქვეყნებში გზასაც უღობავს და აფერხებს გლობალურ ცვლილებებსა და სიახლეებს, რაც მათი ეროვნული, თვითმყოფადი კულტურისათვის მიუღებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.ულრიხ ბეკი . „რა არის გლობალიზაცია?“ , თბილისი , 2013 ;

2.გაგოშიძე მანანა- გლობალიზაცია და თანამედროვეობა, თბილისი , 2009 ;

3.დავითაშვილი ზ. „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია“ , თბილისი , 2003 ;

4.სანიკიძე გ. კიღურაძე ნ. „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები“, თბილისი, 2001;

5. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3706

6. http://www.ambioni.ge/globalizacia-da-erovnuli-tvitmyofadobis-senarcuneba

SUMMERY

Exists fair, that cultural diversity will couse some problems, but we consider that it is not only desirable to maintain cultural diversity, but necessary. In other terms cultural multiplicity can become factuality. We should know that government unity and culturald diversity don’t excludes each other. They can exist both synchronously at the same time.

სახელმწიფო და რელიგია
ურთიერთობის ფორმები

მარინა იზორია
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია შედის პოლიტიკურ სისტემაში, როგორც უმნიშვნელოვენესი ელემენტი, ხოლო თავის მხრივ პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს რელიგია, ამ როლის მნიშვნელობის ხარისხი კი დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ სამართლებრივ - პოლიტიკურ რეჟიმზე, ვინაიდან პოლიტიკური სისტემა ხელისუფლების განხორციელების მეთოდების, საშუალებებისა და ხერხების ერთობლიობაა, რომელთა მეშვეობითაც პრაქტიკულად ხორციელდება სამართლებრივ-პოლიტიკურიპროცესებისადაურთიერთობისმართვა,საზოგადოების ინტეგრაცია, საზოგადოებრივი წესრიგის, სტაბილურობის უზრუნველყოფა. სწორედ პოლიტიკური სისტემა თავისი ელემენტებით განაპირობებს თუ რა ადგილი უნდა ეკავოს რელიგიას ამა თუ იმ ქვეყნის ცხოვრებაში. სახელმწიფო ყოველთვის განიცდიდა და განიცდის რელიგიასთან ურთიერთობის ცვლილებებს. დღეს ამ ურთიერთობებმა დასრულებული სახე მიიღო სამართლებრივ-პოლიტიკურ სისტემაშიც, ამიტომ მეტად აქტუალურია სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობათა განვითარების ეტაპების, რელიგიის, პოლიტიკისა და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების საკითხების შესწავლა. რელიგიას ყველა ქვეყანაში გადამწყვეტი როლი ენიჭება საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში და მისი ზემოქმედების ძალა საკმაოდ დიდია ადამიანთა ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე. სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ რელიგიას ასეთი დიდი ზეგავლენის მოხდენა შეეძლო ადამიანებზე, ხშირად ხდებოდა მათი გამოყენება პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. მრავალ ქვეყანაში ძნელია გაარკვიო სად გადის ზღვარი რელიგიასა და პოლიტიკას შორის, ისინი ერთმანეთში არიან გადაჭაჭვულნი და ზოგიერთ ქვეყანაში სულიერი ლიდერი პოლიტიკური ლიდერის ფუნქციასაც ითავსებს, რომელთა კარგი მაგალითებიც ჩვენ ძირითადად ისლამურ სახელმწიფოებში მოგვეპოვება.

რელიგია, ხშირად განსაზღვრავდა როგორც შიდა პოლიტიკურ, ასევე მსოფლიო ასპარეზზე ჩართულობასა თუ პასიურობას, ამის მაგალითები საკმაოდ გვაქვს მსოფლიო ისტორიაში. სწორედ იმიტომ, რომ იცოდნენ რელიგიის როლი და ძალა იგი გამოყენებული იყო, როგორც იარაღი მასათა სამართავად და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად. რა თქმა უნდა თავად მოსახლეობაზეც იყო დამოკიდებული თუ რისთვის იყო იგი მზად და რამდენად მისცემდნენ უფლებას საკუთარი გამოყენების უფლებას ზემდგომ ინსტანციებს, რომლებიც ამ დროს სასულიერო პირებს რთავდნენ აქტიურად და ორივე მხარის იტერესების დაკმაყოფილებაც ხდებოდა.

საუკუნეების განმავლობაში ვხედავთ რელიგიის ძალას, როგორც საგარეო პოლიტიკის მმართველობით საკითხში, ასევე საშინაო პოლიტიკის სფეროში. საქართველოში, მაშინ, როდესაც მეფეებისთვის რთული იყო დანაწევრებული ქვეყნის გაერთიანება, ისინი მიმართავდნენ იმ იარაღს, რომლითაც უფრო მარტივად და მოკლე ვადაში მიაღწევდნენ დასახულ მიზანს; ეს იარაღი ხშირ შემთხვევაში რელიგია იყო, ამ დროს მეფეები ერთ სახელმწიფო რელიგიის ქვეშ აერთიანებდნენ სხვადასხვა რეგიონებს, ხალხთა ჯგუფებს და განსხვავებული ტრადიციის მქონე საზოგადოებას.

ასე დაიწყო თვით ფარნავაზმაც, როცა მეორეხარისხოვანი გახადა ის კერპები, რომლებიც მის მმართველობამდე არსებობდნენ და შემოიტანა ერთი რელიგიური ფიგურა, რომლისთვისაც ყველას უნდა ეცა თაყვანი და ეს იყო ის ერთ-ერთი უდიდესი გადადგმული ნაბიჯი, რომლითაც მოახერხა განსხვავებული მრწამსის თუ კულტის მქონე საზოგადოების გაერთიანება. ასეთი მიდგომა ძალიან კარგად მუშაობს განსაკუთრებით ისეთ სახელმწიფოებში, როგორიცაა ღრმად ტრადიციული საზოგადოების მქონე საქართველო.

საგარეო პოლიტიკის საკითხში ზუსტად რელიგია განსაზღვრავდა რომელ ქვეყანასთან ექნებოდა მოკავშირეობრივი თუ მტრული დამოკიდებულება. ამის მაგალითი კარგად ჩანს მე-7 საუკუნეში ახალი რელიგიის აღმოცენების დროს, როდესაც უნდა განსაზღვრულიყო მკაფიო პოზიცია ამა თუ იმ სახელმწიფოსი და მის მიხედვით წარმართულიყო მათი ნაბიჯები. ასევე XI-XII საუკუნეში აგორებული ის ლაშქრობა, რომელიც კონკრეტული სახელმწიფოს წინააღმდეგ იყო მიმართული, რასაც, რა თქმა უნდა რელიგიური სარჩული ედო, სწორედ მათი მოკავშირეობა განსაზღვრავდა მსოფლიო ამინდში ჩართულობასა თუ პასიურობას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში სწორედ რელიგია განსაზღვრავდა სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, როგორც ინდივიდის ასევე ქვეყნის ცხოვრებაში. (მაგ. ე. წ. იჯარები, ხარკი, ჯიზია და ა.შ.).

მრავალ ქვეყანაში ძნელია იმის გარკვევა, თუ სად გადის ზღვარი რელიგიასა და პოლიტიკას შორის, ზოგ ქვეყანაში სასულიერო ლიდერი ითავსებს პოლიტიკური ლიდერის ფუნქციასაც (მაგ. ისლამური სახელმწიფოები). ზოგან კი, მაგალითად პროტესატნტულ ქვეყნებში, რელიგია დაეხმარა საზოგადოებას პიროვნული პასუხისმგებლობის, საკუთარი თავის სრულყოფისა თუ კანონისადმი მორჩილების იდეის ამაღლებაში, რასაც შეიძლება კლასიკური ლიბერალიზმი ვუწოდოთ. ქრისტიანულ დემოკრატიულ ქვეყნებში ისეთი ცნებები როგორიცაა ტოლერანტობა, თანასწორობა, განსხვავებული აზრის პატივისცემა და ა.შ. რელიგიამ მარეგულირებელი როლი შეასრულა, რადგან ისიც ამ პრინციპების „მქადაგებელი“ იყო (და ინდივიდში ეს ფასეულობები თაობიდან თაობამდე გადადის). შეიძლება არც კი მივაკუთვნებდეთ თავს ქრისტიანულ სამყაროს, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით იმ დამსახურებებს რაც მას მიუძღვის საზოგადოებრივი ამინდის

არსებობსენ ისეთი ქვეყნები, (მაგალითად სკანდინავიის ქვეყნები: ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი, ასევე ისლანდია), სადაც არც სახელმწიფოსა და არც რელიგიას არ ააქვს მაკონტროლებელი მექანიზმის სადავეები ხელში აღებული და ამავე დროს დაცულია ლიბერალური დემოკრატიის პრინციპები; რაც შეიძლება მივაკუთნოთ ქრისტიანული ფასეულობების, გაღრმავებას და საზოგადოების ცნობიერებაში შეჭრასა და დამკვიდრებას.

სახელმწიფოს რელიგიური ატმოსფერო ხშირად პოლიტიკური წყობილების ფორმასაც განსაზღვრავს და მისი მნიშვნელობა არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით არამედ საერთაშორისო დონეზეც აისახება. ამის ნათელ მაგალითად შეიძლება ეკონომიკის სფერო მოვიყვანოთ კათოლიკურ და პროტესტანტ სახელმწიფოებში, სადაც კათოლიკეთათვის ვაჭრობის საკითხი სპეკულირებით აიხსნება და მათი აზრით მოგების ნახვა ვაჭრობისგან ,,ღმერთისთვის“ არ არის მოსაწონი, ხოლო პროტესტანტიზმში ინდივიდს სრული უფლება აქვს საკუთარი ცხოვრების კეთილდღეობაზე იზრუნოს, რასაც მათი აზრით ღმერთი სულაც არ ეწინააღმდეგება; აქედან გამომდინარე პროტესტანტულ ქვეყნებში მოხდა კაპიტალისტური ეკონომიკის გეზის აღებაც.

იგივე საკითხი მუსულმანურ სამყაროში „ალაჰის“ ნებით გამოიხატება, მაგალითად

თუ სხვა რელიგიას სჯერა, რომ ადამიანი თვითონ ქმნის ისტორიას, აქ პირდაპირაა ასახული „ალაჰის“ განგება, ნება და მიზანიც. რაც უკვე არამარტო ეკონომიკის სფეროში აისახება, არამედ ინდივიდისთვის განათლების, პროფესიისა და ქვეყნისთვის კი საგარეო პოლიტიკაში გადადგმულ ნაბიჯებზეც ახდენს გავლენას.

ამასთან მხოლოდ რელიგია არ განაპირობებს იმას, თუ რა პოზიციას დაიჭერს საერთაშორისო ასპარეზზე თუნდაც ისლამის მიმდევარი ქვეყანა. იმის დანახვა, რომ ისლამურ სამყაროშიც შეიძლება ე.წ. შუალედური პოზიციის პოვნა, მარტივია. მაგალითისთვის თურქეთის სეკულარული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის კურსი მოვიყვანოთ, რომელიც ცდილობს, რომ საერთო „ენა“ აპოვნინოს ევროპასა და „ისლამურ სამყაროს“. აქ მისთვის ყველაზე მთავარ ამოცანას შეხედულებათა „დამსხვრევა“ წარმოადგენს, რომ ევროპა არ არის „ისლამის“ მტერი და ამასთან ევროპას აჩვენოს, რომ „ისლამი“ მხოლოდ ტერორიზმთან არ ასოცირდება. იგი ორივე ფრონტზე იბრძვის, როგორც საკუთარი მოსახლეობის ინტერესების, მისწრაფებისა თუ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის (რელიგიას მისთვის არ დაუკარგავს როლი და არც ცდილობს ამას), ასევე თანამედროვე გლობალურ სამყაროში მნიშვნელოვანი ადგილის დაკავებისთვის. პარალელურად თავის იდეოლოგიიდან გამომდინარე თურქეთი თავს არ შეიკავებს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში ჩართვისგან და გულგრილობას ნამდვილად არ გამოიჩენს მომმე მუსლიმების სისხლისღვრისას, რაც მსოფლიო პოლიტიკისთვის მნიშვნელოვანი საკითხია. თუმცა იგი ცდილობს, რომ მისთვის დაკისრებული „ნეიტრალური სახელმწიფოს“ ფუნქცია შეასრულოს და ეს მას შედარებით მოსახერხებელ მდგომარეობას უქმნის მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებაში და ეკონომიკისათვის ძლიერ მხარეს წარმოადგენს იმ ორგანიზაციებში გაერთიანება, როგორებიცაა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ევროკავშირის საბაჟო კავშირი, ნატო (ამას კიდევ სხვა დადებითი მხარეებიც აქვს) და სხვა, რასაც განსხვავებული რადიკალური კურსით ვერ მოახერხებდა. ამავე დროს ხელისუფლება ინარჩუნებს სტაბილურობას ქვეყნის შიგნით, აქვს ურთიერთობები ევროპის ქვეყნებთან და არც ნდობას არ კარგავს მომმე, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან.

დავუბრუნდეთ ისევ სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობას. ეკლესიისა და სახელმწიფო ხელისუფლების მუდმივი ურთიერთქმედების, გადაკვეთისა და დაპირისპირების მიუხედავად, ვერც ერთი მხარე თავისი მოთხოვნების სრულ რეალიზებას ვერ ახდენდა. შედეგად, ეკლესიისა და სახელმწიფოს დუალიზმი შუა საუკუნეების დასავლურ საზოგადოებაში უცვლელ მოვლენად დარჩა. უკვე შუა საუკუნეების ბოლოსკენ კათოლიკე მეფეებმა მიაღწიეს ფართო კონტროლს საეკლესიო დანიშვნებზე; თუმცა რეფორმაციის ეპოქაში სამეფო ტიტულის ღვთიური ჩამომავლობის თეორია დაიგმო პროტესტის ახლებური ფორმების გამოყენებით, რამაც, საბოლოო ჯამში, დასავლური ცივილიზაცია რელიგიური უფლებების მხარდაჭერის ახალ გზებამდე მიიყვანა.

ეკლესიის თავისუფლება სახელმწიფოს კონტროლისგან თანამედროვე რელიგიის თავისუფლების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. მაგრამ ის მხოლოდ ნაწილია. Libertas Ecclesiae[1], რასაც შუა საუკუნეების პაპები ითხოვდნენ, არ წარმოადგენდა რელიგიის თავისუფლებას თითოეული ინდივიდისათვის, არამედ მხოლოდ ეკლესიის, როგორც თავისი საქმიანობის ერთპიროვნულად წარმმართველი ინსტიტუტის, თავისუფლება იყო. იგი ღიად ტოვებდა ეკლესიის მიერ თავისი დისიდენტი წევრების დევნის შესაძლებლობას. შედეგად, როდესაც ეკლესიისა და სახელმწიფოს ინტერესები ემთხვეოდა ერთმანეთს, რასაც ძალზე ხშირად ჰქონდა ადგილი მწვალებლობის მიმართ, მნიშვნელოვანი სივრცე იქმნებოდა რელიგიური

1 საეკლესიო იმუნიტეტი საერო კონტროლისა და იურისდიქციისგან

დისიდენტების უსასტიკესი შევიწროებისათვის. თუმცა, მიუხედავად საუკუნეების მანძილზე წარმოებული დევნისა, ადგილი ჰქონდა შუა საუკუნეების აზროვნებისა და პრაქტიკის ისეთ ასპექტებს, რომლებსაც შეიძლებოდა ხელი შეეწყო რელიგიური შემწყნარებლობის ალტერნატიული ტრადიციისთვის.

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის სხვადასხვა რეჟიმები არსებობს:

დაწესებული ეკლესიები. ტერმინი „დაწესებული ეკლესია" საკმაოდ ბუნდოვანია და რეალურად შეიძლება მოიცვას სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის შესაძლო კონფიგურაციათა ფართო სპექტრი. დაწესებული ეკლესიის უკიდურეს მოდელს, რომელიც თეოკრატიული მმართველობის წესთან მჭიდრო კავშირით ხასიათდება, წარმოადგენს ისეთი რეჟიმი, სადაც მას მინიჭებული აქვს სრული, მკაცრი იძულებით უზრუნველყოფილი მონოპოლია რელიგიურ საქმეებში. იტალია და ესპანეთი თავიანთი ისტორიის განსაზღვრულ ეტაპებზე სწორედ ასეთი მოდელის კლასიკურ მაგალითებს წარმოადგენდნენ. დაწესებული რელიგიის შემდეგი მოდელია ისეთი რეჟიმი, რომელიც შემწყნარებლურია განსხვავებული მრწამსების შეზღუდული ერთობლიობისადმი, მაგალითად, ისლამური ქვეყანა, რომელიც ტოლერანტულია ბიბლიური ერების და არავითარ შემთხვევაში სხვების მიმართ. სხვა მოდელი შესაძლოა იყოს დაწესებული ქრისტიანული ეკლესია, რომელიც შემწყნარებლობას იჩენს რამდენიმე ძირითადი მრწამსისადმი, მაგრამ გმობს სხვებს. შემდეგი მოდელია ისეთი ქვეყანა, სადაც შენარჩუნებულია დაწესებული ეკლესია, მაგრამ უზრუნველყოფილია თანაბარი მოპყრობა ყველა რელიგიური მრწამსისადმი. დიდი ბრიტანეთი ამ მოდელის შესაფერისი მაგალითია.

მხარდაჭერილი ეკლესიები. ეს კატეგორია შედგება ისეთი რეჟიმებისგან, რომლებიც თუმცა ფორმალურად არ აღიარებენ ერთ განსაზღვრულ ეკლესიას ქვეყნის ოფიციალურ რელიგიად, მაგრამ ადასტურებენ, რომ შესაბამის ეკლესიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქვეყნის კულტურაში. ასეთი რეჟიმები ძირითადად დამახასიათებელია ისეთი ქვეყნებისათვის, სადაც კათოლიციზმი დომინანტურ პოზიციაშია, ხოლო კონსტიტუციები უახლოეს წარსულში იქნა მიღებული.მხარდაჭერილი ეკლესია სპეციალური აღიარებით სარგებლობს, თუმცა კონსტიტუციით სხვა ჯგუფებსაც თანაბარი დაცვა აქვთ მინიჭებული. ზოგიერთ შემთხვევაში მხარდაჭერილი ეკლესიის პირობებში არსებული რეჟიმი შედარებით უსაფრთხოა და მხოლოდ სახელმწიფოს ისტორიასა და კულტურაში ამა თუ იმ რელიგიური ტრადიციის მნიშვნელოვანი როლის აღიარებით შემოიფარგლება. სხვა შემთხვევებში მხარდაჭერის რეჟიმი მოქმედებს, როგორც დაწესებული ეკლესიის პრეროგატივების შენარჩუნების თვალთმაქცური მეთოდი, ლიბერალური მოდელის ფორმალურად შენარჩუნების ფონზე . ბულგარეთის კონსტიტუციაში ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესია არის აღიარებული, როგორც ბულგარელი ხალხის «ტრადიციული რელიგია», თუმცა სახელმწიფო რჩება სეკულარულად. კვიპროსის კონსტიტუცია ამბობს: «კვიპროსის ბერძნულ-მართლამდიდებლურმა ეკლესიამ უნდა იქონიოს ექსკლუზიური უფლებები, რეგულირებისა და ადმინისტრირებისათვის». ფინეთის მართლმადიდებლური ეკლესია და ევანგელისტურ-ლუთერიანული ეკლესია აღიარებულია, როგორც «ნაციონალური ეკლესიები». საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესია აქვს ოფიციალური შეთანხმება სახელმწიფოსთან. კონსტიტუცია აღიარებს «მართლმადიდებლური ეკლესიის როლს საქართველოს ისტორიაში და დამოუკიდებლობის მოპოვებაში». (იხ. 2002 წლის კონკორდატი)

ურთიერთთანამშრომლობის რეჟიმები. რეჟიმის შემდეგი კატეგორია არ ანიჭებს დომინანტ ეკლესიებს სპეციალურ სტატუსს, თუმცა სახელმწიფო აგრძელებს მათთან თანამშრომლობას სხვადასხვა გზით. ასეთი რეჟიმის პირობებში

სახელმწიფო სხვადასხვა ეკლესიასთან დაკავშირებული ტიპის ისეთ საქმიანობას აფინანსებს, როგორიცაა რელიგიური განათლება ან ეკლესიათა შენახვა, სასულიერო პირთა საქმიანობის ანაზღაურება და ა.შ. ძალზე ხშირად ამგვარი ურთიერთობა მოწესრიგებულია სპეციალური შეთანხმებების, კონკორდატების და სხვა ასეთ საფუძველზე. ესპანეთი, იტალია, პოლონეთი, საქართველო და რამდენიმე სამხრეთამერიკული ქვეყანა მისდევს ასეთ წესს. სახელმწიფოს ასევე შეუძლია დახმარება გაუწიოს რელიგიური ტიპის ორგანიზაციას შემოწირულობათა აკრეფაში (მაგალითად, საეკლესიო გადასახადის ამოღება გერმანიაში). ამის მიუხედავად, ურთიერთთანამშრომლობითი რეჟიმის მქონე ქვეყნები არც ერთი რელიგიის მიმართ არ იჩენენ სპეციალურ მხარდაჭერას და თითოეულ მათგანს თანაბარი მოპყრობით უზრუნველყოფენ. თუმცა, ვინაიდან სხვადასხვა რელიგიურ საზოგადოებებში განსხვავებული მოთხოვნილებებია, ურთიერთთანამშრომლობითი პროგრამების საფუძველზე შესაძლებელია თანაბარ მოპყრობასთან დაკავშირებული მრავალი ინტერდენომინაციური პრობლემის წარმოქმნა. არსებობს პოტენციალის მაღალი დონე თანამშრომლობითი პროგრამების სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული რელიგიური მიმდინარეობებისათვის უპირატესობის მინიჭებაში გადაზრდისა. გარდა ამისა, უფრო სეპარაციული რეჟიმების მიმართ გაცილებით კომპლექსური პრობლემები იწევს წინა პლანზე, რელიგიური ორგანიზაციების თვითგანსაზღვრებისა და შინაგანი ავტონომიის დაცვის სახით.

ადაპტაციური რეჟიმები. აღნიშნული რეჟიმის მოთხოვნას შესაძლოა წარმოადგენდეს სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნა, თუმცა, იმავდროულად, კეთილგანწყობილი ნეიტრალობის შენარჩუნება რელიგიისადმი. შესაძლოა, ადაპტაციური მიდგომა განხილულ იქნეს როგორც ურთიერთთანამშრომლობითი მოდელი რელიგიისა თუ რელიგიური განათლების პირდაპირი ფინანსური სუბსიდირების გარეშე. ადაპტაციური რეჟიმის პირობებში, ეროვნული თუ ადგილობრივი კულტურის ნაწილად რელიგიის აღიარების ყოველგვარი განზრახვის გარეშე ხორციელდება საზოგადოებრივ გარემოში რელიგიური სიმბოლოების ადაპტაცია, საგადასახადო, დიეტური, სადღესასწაულო, შაბათის წესის დაცვასთან დაკავშირებული და სხვა მსგავსი გამონაკლისების დაშვება ზოგადი დანიშნულების კანონმდებლობიდან. ასეთი რეჟიმის მაგალითს წარმოადგენს შეერთებული შტატები. ამ მოდელის დადებითი მხარე ის იქნება თუკი სახლმწიფო და ეკლესია საერთო საქმიანობას წამოიწყებდნენ და ყურადღებას მიაქცევდნენ ისეთ სფეროებს, როგორებიცაა: საზოგადოებაში მენტალიტეტისა და დამოკიდებულებათა შეცვლა იმ ადამიანების მიმართ, რომლების ცხოვრების რიტმს ვერ აყვნენ, ამის გაკეთება კი შეიძლება ქველმოქმედებით, ქუჩის ბავშვებზე ზრუნვით, უფასო ან დაბალფასიანი საავადმყოფოების გახსნა-განვითარებით, რომლებიც მოემსახურებოდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთ და მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობას. ასევე ეფექტურად შეიძლება მუშაობა ისეთ პროგრამებზე, რომელიც სულ მცირე გაანახევრებდა უსახლკაროთა რაოდენობას, სარეაბილიტაციო ცენტრებზე, რაც საშუალებას მისცემდა ნარკომანებს, მეძავებს, ლოთებს, რომ სხვა გზა ეძებნათ (თუ სულიერი ლიდერებიც ჩაერთვებოდნენ და მათ ფსიქიკასა და სულიერ მდგომარეობაზე იზრუნებდნენ, შედეგიც ხომ გაცილებით ეფექტური იქნებოდა). ამ საქმიანობით ხელი შეეწყობოდათ იმ არასამთავრობო ორანიზაციებს, რომლებიც ასეთ პროგრამებს ხელმძღვანელობენ და საქმეს ვერ აუდიან.

სეპარაციული რეჟიმები. როგორც ეკლესიისა და სახელმწიფოს სტალინისტური სეპარაციის დახასიათებისას აღინიშნა, „ეკლესიისა და სახელმწიფოს სეპარაციის“ ლოზუნგის გამოყენება შესაძლებელია ურთიერთსაპირისპირო რეჟიმების ფართო

წრის მიმართ. კეთილი მიზნებისათვის სეპარაციული რეჟიმი ძალზე მცირედით თუ განსხვავდება ადაპტაციური მოდელისგან. მთავარი განსხვავება მდგომარეობს სეპარაციული რეჟიმის უფრო მკაცრ მოთხოვნაში სახელმწიფოს ეკლესიისგან გამიჯვნაზე. ნებისმიერი წინადადება რელიგიის სახელმწიფო მხარდაჭერაზე შეუსაბამოდ მიიჩნევა ასეთი რეჟიმის პირობებში; აკრძალულია რელიგიური სიმბოლოების, მათ შორის ქრისტეს შობის სცენის დემონსტრირება სახელმწიფო შენობება-ნაგებობებში. თვით რელიგიების არაპირდაპირი სახით სუბსიდირება საგადასახადო გამოქვითვების ან გადასახადებისაგან გათავისუფლების გზით აკრძალულია ან, სულ მცირე, სადავოდ განიხილება. რელიგიის ნიადაგზე გამონაკლისების დაშვება ზოგადი დანიშნულების სახელმწიფო კანონებიდან რელიგიისადმი დაუშვებელ ფავორიტიზმად ითვლება. არ არის დაშვებული არანაირი სახის რელიგიური სწავლება ან ინდოქტრინაციის მცდელობა სახელმწიფო (საჯარო) სკოლებში (თუმცა რელიგიის სწავლება ობიექტურ ფორმაში შესაძლოა დაშვებული იყოს). სასულიერო პირთა წრის წარმომადგენლებს არ აქვთ სახელმწიფო (საჯარო) თანამდებობის დაკავების უფლება.

არაგამიზნული გულგრილობა. ხშირად ჩინოვნიკები არ განასხვავებენ ერთმანეთისგან ამა თუ იმ ქმედების რეგულირებას საერო და რელიგიურ განზომილებაში. ხშირ შემთხვევაში სამართლიანი რელიგიური ადაპტაციები დამაკმაყოფილებლად მოქმედებს ამგვარი პრობლემების მოგვარებაზე. ეს რეგულაციები ძალზე ხშირად არ არის ამა თუ იმ რელიგიის საწინააღმდეგოდ გამიზნული; მათი ავტორებისთვის, შესაძლოა, არც კი იყო ცნობილი რელიგიაზე მათი პოტენციურად უარყოფითი ზეგავლენა. ზოგჯერ არაგამიზნული ტვირთით დაზარალებულები ხელისუფლების წარმომადგენლებს აწვდენენ ხმას თავიანთი პრობლემების შესახებ. აქ კი უკვე ან გონივრული ადაპტაციის შემუშავება ხდება, ან არაგამიზნული გულგრილობა გადაიზრდება შეგნებულ დევნაში. არაგამიზნულ გულგრილობასმეორემხარეცაქვს.შესაძლებელიაისძალზემოქნილად(ანმოუქნელად) გადაიზარდოს ძირითადი მიმართულების ან დომინანტი რელიგიური ჯგუფების პრივილეგირებაში. ძალზე იოლია იმ თანამდებობის პირებისათვის, რომლებიც ძირითად რელიგიურ ჯგუფებთან მუშაობენ, ნაკლები დაინტერესება გამოიჩინონ მცირე ჯგუფების მოთხოვნილებებისადმი და მათ შესახებ დისკრედიტაციულად ისაუბრონ.

სახელმწიფო რელიგია იგივე დამკვიდრებული რელიგია. ეს არის ოფიციალური რელიგიის მქონე სახელმწიფო, რომელიც არ არის სეკულარული, არ არის აუცილებლად თეოკრატია, ქვეყანა, რომლის მმართველები არიან როგორც საერო, ასევე სულიერი ავტორიტეტები. სახელმწიფო რელიგიები არის ოფიციალური ან სამთავრობო სანქცირებული რელიგიები. სახელმწიფოს არ სჭირდება რელიგიის კონტროლის ქვეშ მოქცევა (როგორც თეოკრატიაში) და არც სახელმწიფო აწესებს სანქციებს რელიგიაზე და შესაბამისად, რელიგია არ არის სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ. ახლო და შუა აღმოსავლეთში, ბევრ სახელმწიფოში, რომლებსაც ძირითადად ისლამური მოსახლეობა ჰყავს, მიღებული აქვთ ისლამი, როგორც თავიანთი სახელმწიფო რელიგია და აღიარებულია ორივე, როგორც შიიტური ისევე სუნიტური მხრიდან. რელიგიური შეზღუდვების ხარისხი მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებაში განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. საუდის არაბეთის მმართველები იყენებენ როგორც საერო, ისე სასულიერო ძალას, მაშინ როცა ირანის საერო პრეზიდენტებმა უნდა დაიცვან და განახორციელონ რელიგიური ხელისუფლების გადაწყვეტილებები. სახელმწიფო დაფინანსებული პირველი ქრისტიანული ეკლესია იყო სომხური სამოციქულო ეკლესია, რომელიც დაარსდა 301 წელს. დღეს საბერძნეთის ეკლესია

არის აღიარებული კონსტიტუციურად, როგორც პრივილეგირებული რელიგია საბერძნეთში. ის არის ერთადერთი ქვეყანა მსოფლიოში, სადაც მართლმადიდებლობა არის აღიარებული, როგორც სახელმწიფო რელიგია. თუმცა ეს აღიარება არ აძლევს ექსკლუზიურ თაყვანისმცემლობის უფლებას მართლმადიდებელ ეკლესიას და ყველა რელიგიას თანაბარი უფლება ეძლევა აწარმოოს თავისი რიტუალები.

სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულების სახეების მიმოხილვა სასარგებლოა არა მხოლოდ ინსტიტუციური კონფიგურაციების სხვადასხვა ტიპების შედარების, არამედ ცალკეული რეჟიმების ინსტიტუციური პერსპექტივების განსაზღვრისათვის. განსხვავებული შესაძლო კონფიგურაციების ერთად თავმოყრა იძლევა შესაძლებლობას, ამოცნობილი იქნეს ის გზები, რომელთა მეშვეობითაც ერთი ტიპის რეჟიმი, რომელიც გამიზნულია, ხელი შეუწყოს რელიგიის თავისუფლების ზრდას, შესაძლოა თანდათანობით გადაიზარდოს უმცირესობათა შევიწროებაში ან, ზოგადად, რელიგიის დევნაში. სამწუხაროდ, ვინაიდან რელიგიური სახელისუფლებო ინსტიტუტები გავლენისა და პრესტიჟისკენ მიისწრაფვიან და რადგანაც ადაპტაციის მიღწევა არ არის მხოლოდ სუსტი წინააღმდეგობის „ბიუროკრატიული ბილიკი", მრავალ სისტემაში არსებული ტენდენციები არსებითად სცილდება რელიგიის თავისუფლების ოპტიმალურ პატივისცემას. ეს ნიშნავს, რომ აუცილებელია სიფხიზლე, ხოლო სამართლებრივი დაცვის საშუალებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ამ ტენდენციებისათვის წინააღმდეგობის გასაწევის თვალსაზრისით.

ხშირად ამ ორი ინსტიტუტის, ეკლესიისა და სახელმწიფოს, ბუნებათა მსგავსება გვაძლევს იმის უფლებას, რომ მათი თანაარსებობა მკაცრი დისტანციით განვსაზღვროთ და ცალცალკე როლები შეითვისონ, რაც ერთგვარი კონსენსუსი იქნება და ადვილად შეძლებენ თავიანთი ფუნქციების შესრულებას. ეს არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო მტრულადაა განწყობილი რელიგიისადმი, სხვა შემთხვევაში თავად სახელმწიფო გახდება ინდივიდისადმი იძულებითი იდეოლოგიის თავზე მომხვევი. როდესაც სახელმწიფო გადაწყვეტს რომ იყოს სეკულარული, გათვალისწინებული უნდა იქნას, როგორც რელიგიის თავისუფლებისა და ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აკრძალვა, ასევე თავისუფალი უნდა იყოს ნებისმიერი იდეოლოგიური გავლენისაგან და მთავარი საზრუნავი საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფა უნდა იყოს. ამ შემთხვევაში ნებისმიერი რელიგიურ ჯგუფს ფუნქციონირებისათვის უნდა მიეცეს ავტონომიური სივრცე, თუმცა გათვალისწინებული უნდა იყოს საჯარო სივრცის ბალანსი, რაც გამოიხატება სიფრთხილეში რელიგიის საჯარო სივრცეში დაშვებისას, რათა დაცული იყოს მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა და თავისუფლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იზორია მარინა „რელიგიური ფაქტორი საერთაშორისო ურთიერთობებში".თბ. 2018წ. რიდერი: ქვეთავი: რელგია და სახელმწიოფრიობა" გვ.18
2. ასადი თალალ - რელიგია, ერი-სახელმწიფო, სეკულარიზმი. (თარგმნა თ.ჭმბურიძე, გ. ვაჩნაძე) თბ. 2019
3. ჯუღელი ზ. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის სამი მოდელი: http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1281619861&kat=346
4..„რელიგია, საზოგადოება და პოლიტიკა საქართველოში" https://www.cipdd.org/upload/files/religion%20society%20and%20politics%20in%20Georgia.pdf
5.. . „საქართველოს 2018 წლის კონსოლიდირებული კონსტიტუცია"

https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35
6. Дмитрий Узланер - РЕЛИГИЯ И ПОЛИТИКА: НЕРАЗРЫВНЫЙ СИМБИОЗ?
https://globalaffairs.ru/articles/religiya-i-politika-nerazryvnyj-simbioz/
7. Н. Баранов. Лекция 24. Религия и политика. https://nicbar.ru/politology/study/kurs-teoriya-politiki/lektsii-po-kursu-teoriya-politiki-2008-g/69-lektsiya-24-religiya-i-politika
8.https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9D_%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90

SUMMARY

STATE AND RELIGION
FORMS OF RELATIONSHIP

Marina Izoria

This article is an attempt to study the role of religion, its influence or function in the management of the republic, where the attitudes of the republic and religion will be discussed. Since religion is an integral part of human history, and therefore there is probably no part of humanity that has not been touched or affected by its decisions, steps. Therefore, it is still a pressing issue today.

Many areas contribute to the formation of the republic, both in the formulation of public opinion and in the change of republic structures, among them is religion. Religion / faith has played a crucial role in the lives of many countries and people groups, it was often responsible for peace and chaos.

Religion often defined both domestic and global political involvement or passivity. We have many examples of this in world history. Precisely because they knew the role and power of religion was used as a weapon to control the masses and make important decisions. Of course, it was up to the population to decide how they were prepared and to what extent the authorities would be allowed to use it. But at that time the ecclesiastics themselves were actively involved and the interests of both sides were being met.

უფრო მტკიცედ უნდა მოვირგოთ ეროვნული ეკონომიკური სამოსელი

გლობალური ანტიგლობალიზმი და ღვთივკურთხეული საქართველო

რევაზ გოგოხია
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კორონავირუსულმა პანდემიამ და მისმა თანმხლებმა პროცესებმა მთლიანად გააშიშვლა თავისთავად უაღრესად წინააღმდეგობრივი, მაგრამ ბოლო პერიოდამდე მაინც მსოფლიო პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათის არსებითად განმსაზღვრელი გლობალიზაციის ფენომენის უამრავი მანკიერება და ის კანონზომიერი მსხვრევის გზას გაუყენა. მასთან ერთად, მომაკვდინებელი დარტყმა იგემა ზღვარგადასულმა ლიბერალიზმმა, რომლის თითქმის ყველა „წარმატება“ მყისვე გაცამტვერდა.

კორონავირუსმა სააშკარაოზე გამოიტანა და ერთბაშად გააშიშვლა მსოფლიოს განუკურნებელი მახასიათებლები. მან მძიმედ დაარტყა მსოფლიო ეკონომიკას, უწინარესად, გლობალიზებულ მსოფლიო ეკონომიკას და, რაც მთავარია, საყოველთაო გლობალიზაცია ქრება თვით ადამიანის გონებიდან, რაშიც, უწინარესად, იგულისხმება გლობალისტების თავგამოდებული, მაგრამ უსუსური მტკიცება იმისა, რომ სახელმწიფო, სამშობლო, პატრიოტიზმი, ტრადიციები, რელიგია და სხვა ეროვნული ფასეულობები თანდათანობით ტოვებენ ისტორიულ ასპარეზს, ან უკანა პლანზე დგებიან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადი უნდა იყოს ის, რომ საქართველოსთვის უცხო, უნიადაგო, გლობალიზაციის ბურუსში გახვეული კოსმოპოლიტისტური თეორიები, უცხოურ იდეოლოგიაზე აგებული სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობა, გარკვეულწილად, იმ „დიდი პოლიტიკის“ შემადგენელი ნაწილია, რაც სამამულო ინდუსტრიისა და არსებითად მყარი ეკონომიკის ჩაკვლას ისახავს მიზნად და საქართველოს (უკეთეს შემთხვევაში) ნავთობსადენის, გაზსადენის, ევრაზიული დერეფნისა და ტურისტთა საჯირითო ტერიტორიის მხოლოდ მიზერულ პერსპექტივას უტოვებს.

ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავითავისოთ, რომ მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებში საქართველოს ჩართვა მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული და ეფექტიანი, თუ ქვეყანა მტკიცედ მოირგებს ეროვნული ეკონომიკური და საერთოდ ქართული იდეოლოგიის „სამოსელს“ (**რ. გოგოხია, შერეული ეკონომიკური სისტემა... თბ., 2004, გვ.36**).

მსოფლიო ეკონომიკურმა პრაქტიკამ საბოლოოდ დაადასტურა, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკა, მთლიანად ქვეყანა არ არსებობს ეროვნული თვითგანსაზღვრულობის გარეშე, რომ ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოებრივი კვლავწარმოება ყოველთვის ხორციელდება როგორც ეროვნული კვლავწარმოება. სწორედ ეროვნულ ეკონომიკურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული, სოციალურად ორიენტირებული შერეული ეკონომიკური მოდელი (ამის საუკეთესო მაგალითია პოსტ-

სოციალისტური ჩინეთიძ უზრუნველყოფს ქვეყნის საუკეთესო მერმისს. ამიტომ ეროვნული სახელმწიფოს როლი კიდევაც იზრდება, რათა მოქნილად მოახდინოს თავისი საზოგადოების, ხალხის, ეროვნული ტრადიციების, მთლიანად ქვეყნის, ორმხრივად სასარგებლო ინტეგრირება მსოფლიოსთან. თუმცა, იმავდროულად გაძლიერდება ეკონომიკური ნაციონალიზმი, ანუ ეკონომიკების შემოსაზღვრა გარე სამყაროსგან. ამისათვის არც სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობის შეცვლაა აუცილებელი და არც ეროვნულობის ნიველირება, რასაც ქრისტიანულ-მართლმადიდებლური იდეოლოგია ადულაბებს. ამასთან დაკავშირებით, ფრიად საინტერესოა კოლუმბიის უნივერსიტეტის, ნობელის პრემიის ლაურეატის ჯოზეფ სტიგლიცის უახლესი მოსაზრება: **„ადრე ეკონომისტები ამტკიცებდნენ, რომ გლობალურ მსოფლიოში საზღვრები არაფერს ნიშნავს, მაგრამ ახლა საზღვრებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, კორონავირუსთან დაკავშირებულმა კრიზისმა ყველას შეგვახსენა,** რომ საბაზისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ერთეულად სახელმწიფო რჩება“.

დიახ, „კორონავირუსმა იმუშავა, როგორც ცეცხლგამჩენმა ნაერთმა, ის დაუნდობელია არამხოლოდ ჩვენი ჯანმრთელობის მიმართ, არამედ აშიშვლებს ჩვენს სისუსტეებს ეროვნულ, ევროპულ, სერთაშორისო დონეზე“, აცხადებს გერმანიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ზიგმან გაბრიელი, – **„გერმანიის კეთილდღეობა უზრუნველყოფილი იყო გლობალიზაციით, ჩვენ შემოგვაქვს ნედლეული უამრავი ქვეყნიდან, გვაქვს მაღალტექნოლოგიური წარმოება, მაგრამ დამოკიდებული ვართ უცხოელ მომწოდებლებზე. ეს ყველაფერი რომ გაუქმდება, გერმანია და ევროპა გაღარიბდებიან. კორონავირუსმა დაუნდობლად გააშიშვლა დასავლეთის სუსტი მხარეები, დასავლეთმა ფიასკო განიცადა კორონავირუსთან ბრძოლაში“,** – ასკვნის ის.

ამ მხრივ საქართველოს მდგომარეობა თითქმის არც არასოდეს ყოფილა სახარბიელო, უფრო მეტიც, ჩვენ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ დასავლური პარტნიორების სახით, ყოველ შემთხვევაში, ბოლო პერიოდამდე მაინც, ძირითადად გვყავდა ჩამოყალიბებული ტიპური იდეოლოგიურ-პოლიტიკური „მოთამაშეები“, რომელთა მსგავსიც ისტორიის მანძილზე ძალიან ცოტა გვსმენია. აბა, სხვა რაღა უნდა ვთქვათ იმ დასავლელ პარლამენტარებსა, სენატორებსა თუ კონგრესმენებზე, რომლებიც ხაზინის ფულის მიმთვისებელსა თუ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში აქტიურ მონაწილეს, რომელთაც ქართულმა სამართალმა პატიმრობა მიუსაჯა, პოლიტპატიმრებად აცხადებენ და ქვეყნის მთავრობაზე ზემოქმედებით, ათავისუფლებენ ყოველგვარი დამატებითი სამართლებრივი განსჯა-განხილვის გარეშე. ეს და სხვა მსგავსი ქმედებები იმის დემონსტრირებაა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მათ დიდად არ ეპიტნავებათ. რაც შეეხება **ევროკავშირსა** (რომლის ბევრი სისუსტე გამოავლინა კორონავირუსულმა პანდემიამ) და **ნატოს,** განსაკუთრებით, ამ უკანასკნელს, თითქმის ყავლგასული ორგანიზაციაა, თუმცა, ძალიანაც რომ გვინდოდეს მასში შესვლა, ეს მხოლოდ ოცნებათა რიგს განეკუთვნება. ასეც რომ არ იყოს, ნატოში შესვლა, რუსეთის ფაქტორის გამი, დიდი ალბათობით, სამუდამოდ უარის თქმა

იქნებოდა დაკარგული ძირძველი ქართული ტერიტორიების დაბრუნებაზე. ამიტომ, ამჯერად აუცილებელია რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა და ყოველგვარი ძალისხმევით, ორივე მხარისთვის მისაღები შედეგების მიღწევა. ამავდროულად უნდა ვესწრაფოდეთ აშშ-ის მთავრობასა და პრეზიდენტ ტრამპთან დაახლოებას, რომელიც გამოირჩევა ანტიგლობალიზმით, ლიბერტარიანიზმის წინააღმდეგ ბრძოლითა და ეროვნული ტრადიციების პატივისცემით, ასევე ურთიერთობათა გაღრმავებას საქართველოსადმი კეთილგანწყობილ ყველა ქვეყანასთან. სხვანაირად, სამწუხაროდ, არაფერი გამოვა... საქმის კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ მსოფლიო გლობალისტების უმეტესობა კაცობრიობის სულიერ-მორალური დეგრადაციითაა დაინტერესებული, რადგან ასეთი მასების მართვა მსოფლიო მთავრობისთვის (რომლის შექმნაც მათი ოცნებაა) გაცილებით მარტივი იქნება. როგორც ჩანს, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, ალბათ, ზნეობა და სამართლიანობა სულ მალე წარსულის გადმონაშთად გამოცხადდება. ამასთან დაკავშირებით, „საგულისხმოა“ დიდი ბრიტანეთის 74-ე პრემიერ-მინისტრის გორდონ ბრაუნის იდეა კორონავირუსის დაძლევის შემდეგ მსოფლიოს დროებითი მთავრობის შექმნის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს დედამიწაზე საყოველთაო წესრიგს. როგორც იტყვიან, ამით ყველაფერია ნათქვამი...

გარდა აღნიშნულისა, კაცობრიობას ემუქრება ციფრული ეკონომიკის საყოველთაოდ დამკვიდრების გარდაუვალობა, რაც მთლიანად უცვლის სახეს სახელმწიფოს მართვას, ჯანდაცვის, განათლების, მომსახურების სფეროს და ა.შ. ამის თაობაზე მრავალი მეცნიერი თუ ექსპერტი განგაშს ტეხს, რამეთუ საქმე ეხება „სახელმწიფოს მთლიანი სისტემის რადიკალურ რეფორმირებას“, რომლის მიზანია ყველასა და ყველაფერზე ტოტალური კონტროლის დამყარება, რაც, ფაქტობრივად, ხელოვნურ ადამიანთა ცივილიზაციის შექმნის და კაცობრიობის დამონების მომასწავებელია. ეს კი ადამიანთან ერთად ღმერთის სრული უარყოფაა, რაც ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ვერაფერს ვიტყვით, გარდა იმისა, რომ სავსებით მიესადაგება ამ რეალობას ცნობილი პოეტის ლაშა ნადარეიშვილის ერთ-ერთი ბოლო ლექსის სტრიქონები:

„გადმოიღვარა მრისხანების თასი ზეციდან,
ეს დედამიწა ამდენ ცოდვას ვეღარ დაიტევს“...

და, ასევე პუბლიცისტ ჯაბა ხუბუას მრავლისმეტყველი ამოძახილი: „კორონავირუსით ქრისტეს ვერ მოკლავთ!“.

ასეთ ვითარებაში ყველა ჭეშმარიტი ქრიტიან-მართლმადიდებლის ქცევას უნდა განსაზღვრავდეს სახარებისეული მოძღვრება: „იყ ვენით სრული, ვითარცა მამაი თქვენი ზეცათაი სრულ არს“. ეს იმას ნიშნავს, რომ უფალმა ადამიანი შექმნა თავის ხატად და მსგავსად, „ხატება-უფლისგან ბოძებული უნარია, ვიცხოვროთ სწორად, ხოლო „მსგავსება“ – შესასრულებლად აუცილებელი ღვთიური დავალებაა.

ამრიგად, საკაცობრიო აზრის განვითარების გზაზე ადამიანის წარმოდგენის განსაკუთრებულ მოდელს გვთავაზობს ქრისტიანობა. მან არა მარტო თვითგანვითარებისკენ მოუწოდა ადამიანს, არამედ

შესთავაზა ცოცხალი მისაბაძი ხატი იესოს სახით – „მის მიერ შემოტანილი დოგმა – „გაღვთიურება ადამიანის და გაადამიანება ღვთაებისა, – ადამიანს გამოყოფილ ადგილს აძლევს კოსმოსის მთლიანობაში“ (ა. ბრეგაძე, მარადიული სიბრძნე, თბ., 2016, გვ.18ძ.

მიუხედავად ამისა, და ფრიად სამწუხაროდ, ადამიანთა უმრავლესობა ღვთის ნებას კი არ მისდევს, არამედ იმას, რაც მას უნდა, მას ღვთის ნება – „„მე მინდაში“ ეშლება, რითაც უფალს ეწინააღმდეგება და ცხოველს ემსგავსება. დიახ, დღეს კაცობრი ობის დიდი ნაწილი სიბილწის მორევშია ჩაფლული და თუ ის ცოდვებს არ მოინანიებს, კორონაპანდემიაზე უარესიც შეიძლება მოხდეს, ხოლო ქრისტეს მეორედ მოსვლას ვერავინ დაუდგება წინ, ანუ განკითხვის დღე გარდაუვალია, რაც შეეხება უშუალოდ საქართველოს – ღვთის რჩეული და ყოვლადწმინდა დედაღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და ცოდვებიც ნაკლები აქვს ღვთის წინაშე. მარტო ის რად ღირს, რომ კორონავირუსმოდებული მსოფლიოს თითქმის ყველა სალოცავი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის დღეებში ჩაკეტილი იყო მომლოცველთათვის, ხოლო საქართველომ არ ჩაკეტა ეკლესიის კარი – ჩვეულებრივ აღევლინა ღმრთის სადიდებელი წირვა – ლოცვანი, ცოდვილი მიწიდან მრევლის მაღალი კულტურით დამშვენებული, რაც ცათამდე ქართულად ისმინებოდა. ესეც ხომ იმის მიმანიშნებელია, რომ სატანები და სხვა ჯურის ავანტიურისტ-ლიბერასტები, ჩვენს მართლმადიდებელ ქრისტიან ერს ვერ დაუჩოქებენ, რადგანაც უმრავლესობა არ ცხოვრობს მხოლოდ მიწიერი ფუფუნებით – სული აქვს სუფთა, მდიდარი, ღვთივკურთხეული, ანუ „ღმერთი ჩვენთან არს“ – და საქართველო უეჭველად გამთლიანდება და გაბრწყინდება.

ამ რწმენას განგვიმტკიცებს ის, რომ „სადაც ჭეშმარიტი სარწმუნოებაა, იქ სიხარული და სიყვარულია. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ვერავითარი უარყოფითი ძალა ვერ სძლევს საქართველოს სიყვარულსა და სიხარულს. საქართველო მტკიცედ იდგება მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე, ეს ჩვენი ბედია, ეს ჩვენი ჯილდოა, ღვთის ჯ ილდო, რომ საქართველო იყოს მართლმადიდებელი“ (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის 2020 წლის 17 მაისის ქადაგებიდან ოჯახის სიწმინდის დღესძ.

რაც მთავარია, ღვთის შემწეობით, საქართველომ დღეს უმცირესი დანაკარგებით, მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა ღირსეულად დაძლია კორონავირუსული პანდემია და მთავრობამ მოკლე დროში წარმოადგინა ანტიკრიზისული სტრატეგიისა და პოსტკრიზისული განვითარების გეგმა-განაცხადი, რაც საკმაოდ დასაბუთებულია. ის გზადაგზა შეივსება და ქვეყნის სრულფასოვანი სამოქმედო პროგრამა გახდება.

აქვე გვინდა ხაზგასმით ვთქვათ, რომ კვლავაც გაუაქტიურებელია, ქართველ მეცნიერთა ძლიერი ჯგუფის (ხელმძღვ. პროფ. პ. გიორგაძე) მიერ შემუშავებული „ქართული სასმელი წყლის ინდუსტრიალიზაციის კონცეფცია – პროგრამა“, რა-

მაც სამეცნიერო იერარქიის ყველა დონეზე წარმატებით გაიარა აპრობაცია და მისი საბოლოო ვარიანტი, 51 აკადემიკოსისა და პროფესორის ხელმოწერით გადაეგზავნა საქართველოს მთავრობას, ასევე ადეკვატური სტატიები გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკასა“ და თსუ-ის საერთაშორისო რეიტინგის მქონე ჟურნალში — „ეკონომიკა და ბიზნესი“, რასაც მრავალი მხარდამჭერის გამოხმაურება მოჰყვა. მთავრობის საბოლოო პოზიცია კი ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, ჩვენი განწყობა ოპტიმისტურია, რამდენადაც სასმელი წყლის ინდუსტრიის შექმნით საფუძველი ჩაეყრება ქვეყნის ყოველწლიური ფულადი შემოსავლის ზრდას 12 მლრდ აშშ დოლარით, დაახლოებით 10 წელიწადში ქვეყნის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 51 მლრდ დოლარს მიაღწევს. პროექტებში დასაქმდება 400 ათასზე მეტი ადამიანი საშუალო ხელფასით — 4500 ლარი, საბოლოოდ მოიხსნება უმუშევრობისა და სიღარიბის პრობლემა, მკვეთრად შემცირდება მიგრაციული პროცესები, რადიკალურად გაუმჯობესდება დემოგრაფიული სიტუაცია, ანუ საქართველო მართლაც გაბრწყინდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეჭვი არ გვეპარება, რომ საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს პოსტკრიზისულ გრძელვადიან სტრატეგიაში „სასმელი წყლის კონცეფცია-პროგრამა“ ერთ-ერთ წამყვან ადგილს უდავოდ დაიკავებს.

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს საიუბილეო თარიღებს აკადემიკოსებს

პარმენ ხვედელიძეს

ლია ელიავას

სოსო ძნელაძეს

გიორგი ხანიშვილს

თამარ დევიძეს

ნიკოლოზ ბაკაშვილს

ჯემალ ხარებავას

ნაზი ჭიკაიძეს



ელდარ ამაშუკელს

ანზორ დევაძეს

ნინო ცერცვაძეს

თამაზ ბიბილურს